

31  
1952

N<sup>E</sup>



31

1952



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის მუზეუმი  
Институт Истории им. И. А. Джавахишвили

# მ ა ს ა ღ ი ბ

საქართველოს ეთნოგრაფისათვის

МАТЕРИАЛЫ

ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

V

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში  
Издательство Академии Наук Грузинской ССР

თბილისი—1951—Тбилиси

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт Истории им. И. А. Джавахишвили

ЗАРЯДОВАНО  
ЗПЧПРИОБР

МАТЕРИАЛЫ  
ПО ЭТНОГРАФИИ ГРУЗИИ

V

Издательство Академии Наук Грузинской ССР

Тбилиси — 1951


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ავ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი  
მეცნიერებების გამსაზღვრული გამოცემები

# გ ა ს ა ღ ი ძ ი

საქართველოს ეთნოგრაფიისათვის

V



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა

თბილისი—1951

აღ. რობარიძე

## მეცნიტებრივი გურიაში

(ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

“ გურული ეთნოგრაფიული მასალა საესებით ადასტურებს ლიტერატურულ ტრადიციას კოლხეთში ძველთაგან და მძლავრად განვითარებული მეფუტკრეობის არსებობის შესახებ. გურიის დაბლობი და მთიანეთი წარმოადგენდა და წარმოადგენს მდიდარ ბუნებრივ გარემოს მეურნეობის ამ დარგისთვისაც.

ლანჩხუთის რაიონის ს. ორაგვეში ჩაწერილი მასალით (ი ე ს ე გ ე რ ა-სიმეს ძე ურუშაძე, 72 წლ.) აქ ძნელად მოიპოვებოდა ისეთი მოსახ-ლე, ორიოდე ძირი ფუტკარი რომ არ ჰყოლოდა. იყვნენ ისეთი მეფუტკრეებიც (მაგ., დავით ურუშაძე), რომელთა ფუტკრის რაოდენობა 100 ძირს აღე-მატებოდა. მრავალ ოჯახში მეფუტკრეობას თაობიდან თაობამდე მისდევ-დნენ; ამ ოჯახებში მეფუტკრეობა წარმოადგენდა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთ ძუკილებელ დარგს.

იგივე ითქმის მახარაძის რაიონის შესახებაც. ს. ვაკისჯვარში (ლომი-ნიკოლოზის ძე თხილაიშვილი, 88 წლ.) ფუტკარი მეტ-ნაკლებად თითქმის ყველას ჰყავდა. აქაც იყო მრავალი ოჯახი, რომლებიც მეფუტკრეობას მამა-პაპით მისდევდნენ.

მაგრამ ჩიხატაურის რაიონი და პირველ რიგში სურები მისი მიმდგომი აღილებით განსაკუთრებით ცნობილი იყო მეფუტკრეობის ძველთაგან მომ-დინარე ტრადიციებით და მისი მნიშვნელოვანი მასშტაბით.

ს. ნაბეღლავში (დიონმიდე გიორგის ძე მამალაძე, 83 წლ.) ცნობილი იყო არეამან კეკელიძე, რომელსაც ს. ზოტის მიდამოებში დიდი საფუტკრეები ჰქონდა გაშეინილი და რომელიც სისტემატურად აწარმოებდა მეფუტკრეობის პროცესში გაჭრობას. 60—70 წლის წინათ ს. ზოტი უკაცრიელი იყო—აქეთ მხოლოდ „თათრებს“ ამოყავდათ საქონელი საძოვრებზე. აქვე დამოწმდა ცნობილი გადმოცემა არეამან კეკელიძის გააზიარების შესახებ: კეკელიძეს გურიის ეჭვია თურმე სტუმრად დიდი ამაღლით. არეამან კეკელიძეს ყოველი სტუმრისათვის სანთლის როგო დაუდგამს სკამად და დიდი პატივი უცია. ამის გამო გურიელს კეკელიძისათვის ტყავზე დაწერილი სიგელი უბოძებია, რომლის ძალითაც ა. კეკელიძეს, ს. ბერების მცხოვრებს, აზნაურობა დაუმტკიცდა და დიდი აღგილები მიეცა.

შემდეგში არეამან კეკელიძეს ხაზინა დაედაგა. გაჩნდა სამართალი-სამართალს დავით კოროშინაძე დაესწრო (მისი შვილის ბეგლარის წამბობიც ამოწმებს ამას). სასამართლოს, მოწმეების დაკითხვის შემდეგ,



არქამან კეკელიძისათვის შემდეგი საზღვრები გაუჩენია: აღმოჩენილი თით—ლომის ციხის მთა (ზოტიდან 15 კმ იქნება), დასავლეთით—ჭალიგორია ან ლობოროტი (ზოტიდან 2 კმ დაცილებით), სამხრეთიდან — ხასუტეის ნაკლავი (ზოტიდან 10 კმ) და ჩრდილოეთიდან—წიწყატეს გორი (ზოტიდან 5—6 კმ). ამგვარად, არქამან კიკელიძეს დაუმტკიციდა ტყის საკმაოდ დიდი ფართობი (სათიბების გარდა), სადაც მას მრავალ ადგილას დიდი საჟუტკრები და კონახები (კარვები) გაუწყვია.

მეფუტკრეობის მასშტაბების წარმოსადგენად უფრო კონკრეტული მასალაც მოიპოვება. აქ ჩაწერილი მასალით ბესარიონ ბარამიძეს და მერაბ დარსალიას ხანის მოყვერილზე 80 ძირამდე ფუტკარი ჰყავდათ საზიაროდ; ოქროპირ ბარამიძეს გონიო-მერგში 60 ძირი ფუტკარი ჰყავდა; დიმიტრი კიკვაძეს ბარდნალში ასევე 80 ძირი ჰყავდა, ხოლო ან ტონ ბარამიძეს—ობაბექეში 60 ძირამდე, ლუკა ბარამიძეს და მიხეილ თვალაბე შვილს ურთხა-დელეში—80 ძირი. ას-ასი ძირი ფუტკარი ჰყავდათ ხარიტონ ბარამიძეს სახლის ეზოში, კოსტა ბარამიძეს ხინის წყალზე, ალმასხან ბარამიძეს—კოპურში, ბირელ ბარამიძეს—ფილათაში; ოქროპირ ბარამიძეს ნასაყდრში 120 ძირი ჰყავდა, ივანე ბარამიძეს ნამაინევში—300 ძირი და სხვ. აქ ათეული ოჯახებია დამოწმებული, რომელთა ფუტკრის რაოდენობა 50 ძირს აღემატებოდა.

ამ რიგის ეთნოგრაფიული მასალაც ცხადჰყოფს, რომ გურია მთლიანად და განსაკუთრებით სურები მისი მიმღვმი მთიანეთით წარმოადგენდა მძლავრად განვითარებული მეფუტკრეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საქართველოში.

რომ მეფუტკრეობას გურიაში სრულიად გარევეული სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ჩანს, სხვა მასალასთან ერთად, აგრეთვე იქიდანაც, რომ ოჯახის გაყრის ან, როგორც აქ იტყვიან, გარიგების დროს ფუტკრის გაყოფა საერთო წესებს ემორჩილებოდა და საოჯახო საკუთრების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენდა.

ს. ორავეში, ვაკისჯვეარში, ნაბეღლავში და გურიის სამივე რაიონის სხვა სოფლებში ჩაწერილი მასალით ფუტკრის მომელელად ოჯახში მართალია ერთი კაცი იყო გამოყოფილი, უმეტეს შემთხვევაში უფროსი კაცი, მაგრამ საოჯახო ქონების გაყოფის დროს ფუტკარი, ისევე როგორც სხვა საოჯახო ქონება, თანაბრად იყოფოდა.

ტყიური მეფუტკრეობის ის ფორმა, რომელიც მხოლოდ სარაჯის მოპოვებას ისახავს მიზნად და ფუტკრის დაგხებას (დანელება-ჩაქრობას) გულისხმობს, დიდი ხანია რაც გურიაში აღარ არსებობს. მხოლოდ აქა-იქ აღმოჩნდა ცნობები მეფუტკრეობის ამ ფორმის შესახებ, რომელსაც გურიაში თაფლის გატეხვა ეწოდება.

მახარაძის რაიონის ს. ვაკისჯვეარში ჩაწერილი მასალით (ლ. თხ 1 ლ ა-შვილი) აქ ტყიური ფუტკრის ან, როგორც ადგილობრივ ამბობენ, ხეფუტკრის საძებრად სიარული არ იყო მიღებული. დიდ ტყეებში მრავალი ფუტკარი იყო



და შემთხვევით თუ წაწყდებოდა კაცი ასეთ ხეს, მას ან მოჭრილი და მომოქმედი კარს ცოცხლად წამოიყვანდა სახლში, ან ფუტკარს დაანელებდა და მომლოდ მისი ნაყოფით ისარგებლებდა. ჩოხატაურის რაიონის ს. ნაბეღლავში (დ. მარგალაძე) ხელუტკრის საგანგებო ძიება მხოლოდ მის შემდეგ შემოვიდა წესად, რაც ტყეები გაიკაფა და ფუტკრის რაოდენობა შემცირდა. ფუტკრის დანელება ძველად ისეთსავე „ცოდოდ“ ითვლებოდა, როგორც კაცის მოკვლა.

ლანჩხუთის რაიონის ს. ქვემო-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (სილოვან ანტონის ძე მარგალაძე ტაძე, 56 წლ.) დადგინდა, რომ ძველად აქ სცოდნიათ სასკე ხის მიგნება ფუტკრის ფრენის მიმართულების მიხედვით. ამ წესით ნაპოვნ სასკე ხეს გარშემო ბალას შემოუტრუსავლენენ, ხოლო თვით ხეს დათარჯვადნენ (ერთ მხარეს ჩამოუთლიდნენ და ზედ ჯვარს ან მის მსგავს ნიშანს ამოკვეთდნენ), ზოგჯერ კი ამ ხეზე ხისავე ჯვარს დააკრავლენენ. შემდეგში შესაფერის დროს მოუქებნილენ და ფუტკარს ან ცოცხლად მოიყვანდნენ სახლში, ან დაანელებდნენ და მხოლოდ მის პროდუქტს გამოიყენებდნენ.

ამავე რაიონის მთასოფელ ორაგვეში (გასილ ხარლამშერეს ძე ურუშაძე, 59 წლ.) დამოწმდა თაფლის გატეხვის პრაქტიკის არსებობა ძველად. წესად იყო 3—4 კაცის ერთად წასვლა მრავალფუტკრიანობით ცნობილ ტყეებში მხოლოდ ფუტკრის ნაყოფის მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში სასკე ხის მიგნების შემდეგ ფუტკარს დაანელებდნენ, სარაჯს მთლიანად ამკვეთდნენ და მხოლოდ თაფლ-სანთელი მოქმედიდათ სახლში. ამ მიზნით ტყეში ერთხელ მგზავრობას ერთი დღე ყოფნიდა, რაღაც ფუტკრით მდიდარი ტყეები სოფელთან ახლო იყონებოდა. ადამიანს, რომელიც ამ სახის მეფუტკრეობას მისდევდა, მონადირეს უწოდებდნენ. ჩვეულებრივ, კვერნაზე მონადირეებმა უფრო იცოდნენ თაფლის გატეხვა. აქაც, მაშასადამე, მეფუტკრეობის უმარტივესი ფორმა მონადირეობასთან იყო შერწყმული.

ზემოხსენებული და სხვა ამ რიგის მასალა ადასტურებს, რომ თაფლის გატეხვა, როგორც ტყიური მეფუტკრეობის უმარტივესი ფორმა, გურიაში ძველად ცნობილი იყო, მაგრამ აქ იგი იდრე იქნა შეცვლილი ტყიური მეფუტკრეობის უფრო მაღალი, განვითარებული ფორმით.

ტყიური მეფუტკრეობის შედარებით მაღალ საფეხურს მეფუტკრეობის ის ფორმა წარმოადგენს, რომელიც გურიაში საყოველთაოდ გაგრცელებული ყოფილა და ცნობილია ბუკების შემოწყობის სახელით; იგი ამავე დროს ყურადღებას იპყრობს როგორც გარდამავალი საფეხური მოშინაურებულ ფუტკარზე დამყარებული მეფუტკრეობისაკენ.

ს. ქვემო-ჩიბათში (სილოვან მარგალაძე ტაძე) ძველად ფუტკრის მოპოვების მიზნით გათლიდნენ ბუკებს და შემოალაგებდნენ მათ (ჩვეულებრივ მარტში) კოპიტზე, ნეკერჩხალზე და სხვა ამგვარ ყვავილოვან ხეებზე. მარიამობის თვეში შემოუვლიდნენ შემოლაგებულ ბუკებს, რომელთა ნაწილი უკვე სავსე იყო ფუტკრით ან, როგორც აქ იტყვიან, გასულიერებული თუ გაცოცხლებული იყო, ჩამოილებდნენ მათ და საფუტკრეში დალაგებდნენ. აქვე დასძენენ (იასონ კონსტანტინეს ძე პატარაია, 64 წლ.), რომ ბუკე-



ბის შემოსაწყობად ირჩევდნენ მაღალსა და წყლის პირად ამოსულ შემოსაწყობად ნეკერჩხალს. ბუკების შემოწყობა 1 აპრილისათვის უნდა დამთავრებულიყო. ღალაზნობის დასრულების შემდეგ, ფუტკარი რომ მოიმარაგებდა თაფლს, ბუკებს ჩამოხსნილნენ და საფუტკრეში მოათავსებდნენ.

სოფ. ორაგვეშიაც (ვ. ურუშაძე) ფუტკრის მოსაპოვებლად წინასწარ გათლილ ბუკებს მაღალსა და შემხედვარე ხეებზე შემოსწყობდნენ—უმთავრესად საშეურზე წყლის პირად ამოსულ ცაცხვსა და წიფელაზე. აქაურთა დაკვირვებით ფუტკარი ყრისას ჩრდილოეთით მიემართება და უფრო იმ რეწოხებს მისღებს, რომელთაც დელები ჩამოუდის. ამ დელის ნაპირზე ირჩევს ფუტკარი ბინას.

ფუტკრის მოპოვება ბუკების შემოწყობის საშუალებით ლანჩხუთშიაც იყო გავრცელებული. 81 წლის არსენ ბესარიონის ძე ებრალიძის თქმით მამამისი მდ. ფსორისა და ფიჩორის ნაპირებზე წელიწადში 10—12 ბუკს „გააცოცხლებდა“ ხოლმე. აქაც სასკე ხედ (ე. ი. ბუკების შემოსალაგვებლ ხედ) წიფელა და ნეკერჩხალი იყო ცნობილი—ამ ხებზე თაფლი წვიმდებაო და ბუკის დასალაგებლადაც იოლი არისო.

ს. ნაბეღლავში (ვა სილ ეჭვთიმეს ძე ლომთაძე, 49 წლ.) ძველად ტყიური ფუტკრის მოპოვების ერთ-ერთ საშუალებას ხებზე ბუკ-კოდების შემოლაგება წარმოადგენდა. იგრევ წესი ტყიური ფუტკრის მოპოვებისა ფართოდ იყო ცნობილი სურებსა (ნოე ეფრემის ძე ბარამიძე, 41 წლ.) და გურიის სხვა სოფლებში.

გურიიში საყოველთაოდ გავრცელებული იყო ფუტკრის ჭურჭლის ერთადერთი სახეობა—ბუკი, რომელსაც ზოგ ადგილას (ს. ნაბეღლარი) როვ-საც უწოდებდნენ. საამისო მასალის ჩაწერის ყველა ადგილებში (ქვემო-ჩიბათი, ლანჩხუთი, ორაგვე, გომი, ვაკისჯვარი, ზემო-სურები, ნაბეღლავი და სხვ.) ძველად მხოლოდ ბუკებში ჰყოლიათ ფუტკარი.

საბუკე ხე (განსხვავებით სასკე ხისაგან, რომელზედაც ბუკების შემოწყობა იცოდნენ) აქ იმ ხეს ეწოდება, რომლისგანაც ჩვეულებრივ ბუკი გამოითლება ხოლმე. საუკეთესო საბუკე ხედ წაბლია მიჩნეული—მაგარია და მატლს არ იკარებს, თუმცა შედარებით სხვა ჯიშის ხეებთან იგი უფრო ძნელი საშოვნელია და რთული გამოსათლელი. ზოგ ადგილას (ს. ვაკისჯვარი, ლ. თხილა შვილი) ბზისაგან გამონათალი ბუკიც იყო ხმარებაში. აქვე დამოწმდა აქამდე გეჯად გამოყენებული ჭაბლის ბუკები, რომელთა ხნოვანება 40 წელს აღწევს. ბზისაგან გათლილ ამ ბუკებს შორის უდიდესის ზომაა  $1,00 \times 0,55$  სმ, ხოლო უმცირესისა— $1,00 \times 0,45$  სმ.

წაბლისა და ბზის შემდეგ ლანჩხუთში, მაგალითად (ა. ებრალიძე), საბუკე ხეებს შორის ცაცხვს აძლევდნენ უპირატესობას, ხოლო ამის შემდეგ მუხას—ბობოლი (პეპელა) ნაკლებად უჩნდებაო; ს. გომში ჩაწერილი მასალით (ლავრენტი იულინის ძე გიგინე შვილი, 74 წლ.) წაბლის შემდეგ ცაცხვს აძლევდნენ უპირატესობას—ცაცხვის ბუკების ბუკებში უფრო აღრე „ცოცხლდება“ ფუტკარით. ბოლო ხანებში საბუკე ხედ უმეტესობა თხმელის ხმარობდა—იოლად საშოვნელია და ადგილად გასათლელიო.

საბუკე ხის მოჭრა და ბუკის გამოთლა სვანეთში აღწერილი შესძის გი-  
ზედვით წარმოებდა, ე. ი. ი. საჭირო ზომის მორს გააპობდნენ შუაზე და  
აპოლებდნენ გულს ისე, რომ კედლის სისქე 2—3 სმ არ გადასცილე-  
ბოდა. შესაბამისად ქამისა, ბუკის ზედა ნაწილს ზედა ყბა ეწოდებოდა (ს. ნა-  
ბელლავში—საზედო ბუკი), ხოლო ქვედა ნაწილს—ქვედა ყბა (ს. ნაბელ-  
ლავში — საქვედაო ბუკი).

საბუკე ხის მოჭრა და ბუკის გამოთლა უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ  
დღესთან იყო დაკავშირებული, რომლის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი. მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ეს საქმიანობა გარკვეულ  
დღეს არ უკავშირდებოდა. როგორც ეს ჩანს ს. გომში ჩაწერილი მასალით




სურ. I

(ლ. გიგინე იშვილი), ბუკების გამოთლას რთველის მოთავების შემდეგ შე-  
ულგებოდნენ, რომ სასკე ხეებზე მათი შემოლაგების დროისათვის ბუკი ნელ-  
ლი არა ყოფილიყო — ნედლი ბუკი არც ფუტკარს უყვარს და ხეზე ასატანა-  
დაც უფრო ძნელიაო.

გურიაში საყოველთაოდ გავრცელებულ და, როგორც ეტყობა, ძველთა-  
გან ფეხმოკიდებულ ბუკთახ ერთად კოდიც იხმარებოდა — მთლიანი გაუბო-  
ბელი მორისაგან გამოთლილი ფუტკრის ჭურჭელი. ასეთი კოდები, სხვათა  
შორის ხმარებიდან მხოლოდ ორიოდე წლის წინ გამოსული, ს. ნაბელლავის  
კოლმეურნეობა „წინსკლის“ საფუტკრეში აღმოჩნდა. მათ შორის ერ-  
თის ზომაა  $71 \times 41$  სმ, ხოლო მეორესი —  $70 \times 32$  სმ (კედლის სისქე ორივე  
შემთხვევაში 3 სმ უფრისი). ჭურდები ცაცხვის ხისაგან იყო გამოთლილი. ამგვა-  
რი კოდები, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ზემო-სურებშიაც ყოფილა ხმარე-



ბაში. აქ ჩაწერილი მასალით (დავით ავთანდილის ძე კიჭაცავაშვილის წლ.) ივანე ბარამიძის საფუტკრეში ოცამდე ასეთი კოდიუნახავთ ერთმანეთზე შეღვმული. აქვე მიღებული განმარტებით კოდები მხოლოდ იმ მეფუტკრებს ჰქონდათ გამოყენებული ფუტკრის ჭურჭლად, ვისაც დიდი რაოდენობის ფუტკარი ჰყავდა და ყრის დროისათვის ვერ ასწრებდა საჭირო რაოდენობის ბუკების დამზადებას. ასეთ შემთხვევაში ერთ დიდ კოდში ფუტკრის 2—3 ოჯახს ათავსებდნენ ხოლმე.



სურ. 2

ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კოდებს შეუა-ში და გარდიგარდმო ე.წ. პაპაჯვარს—ჯვარედინად დამაგრებულ ჯოხს— უკეთებდნენ, რაც წარმოადგენდა ზევიდან დაშვერილი სარაჯის სამაგრს და ამავე დროს იმ საზღვარს, სადამდეც დაშვებული იყო სარაჯის ამოღება. გურული კოდის ეს ელემენტი პარალელ პოვებს (ჯერჯერობით) მხოლოდ სვანური ლურების რამდენიმე ეგზემპლარში და წარმოადგენს გეჯის გაუმჯობესების ცდას.

გურულ კოდთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მასი გავრცელების არე გურიაში მეტად შეზღუდულია—იგი დამოწმდა ჩიხატაურის რაიონის ორ სოფელში—ზემო-სურებსა და ნაბეღლავში. ამ უკანასკნელში ჩაწერილი მასალით (ზეგლარ დავითის ძე კოროშინაძე, 69 წლ.) ძველად არც აქ ყოფილა კოდები. ეს კოდები გაჩნდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ამ რაიონში მეთამბაქო ლაზები ჩამოვიდნენ. თამბაქოს მოშენებას ჩიხატაურის რაიონში ჩამოსული ლაზების მიერ მთხოვბელნი ათარიღებენ XIX ს-ის 80-იანი წლებით.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გურიაში ძევლად გავრცელებული იყო მხოლოდ ზემოაღწერილი ბუკი; კოდის გავრცელება ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ვიწროდ არის ლოკალიზებული; მის აქ გავრცელებას ხალხური გაღმოცემა ლაზებს უკავშირებს.

გურიაში დამოწმდა ოთხი სხვადასხვა სახეობის საფუტკრე, რომელთა ცალკე ტიპებად მიჩნევა—არ მიჩნევის საკითხი მთლიანად ქართული მასალის მოშველიების შემდეგ იქნება დასმული.

ყველა ეს საფუტკრე ლია ცის ქვეშა მოთავსებული, თუ არ ჩავთვლით საკოლმეურნეო საფუტკრეებს, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისადაა გაწყობილი.

საფუტკრის პირველი სახეობის შესახები მასალა ს. ორაგვეში დამოწმდა (კ. ურუ შაძე). აქ ჩაწერილი მასალით ხევებზე შემოწყობილი და „გასული-ერებული“ ფუტკარი მეფუტკრეებს ხშირად აღიარ ჩამოჰქონდათ ხიდან და ფუტკარს ზამთარ-ზიფხულ იმავე ხეზე იმყოფებდნენ. მეფუტკრე ფუტკრის „მოსახი-ლავად“ ყოველ წელს შემოუვლიდა სასკე ხევებს და მოწყველიდა ფუტკარს. ყოველ სასკე ხეს საკუთრების ნიშანი ეღო—ეს იმას ნიშანვდა, რომ ბუკის მოხილვა თუ სასკე ხის მოჭრა აღკვეთილი იყო. არამოთუ ბუკუდგმული სასკე ხე, არამედ ახლო-მახლო, ამ სასკე ხის მეცატრონის მიერ დანიშნული ხევბიც, რომლებიც მის მიერ მხოლოდ შეგულებული იყო ბუკების შემდეგში შემ-საწყობად, გარკვეული პირის საკუთრებას წარმოაღენდა და ამდენად ხელშეუხები იყო. მაშასადამე, სასკე ხის პატრონი წინასწარ „დათარჯავდა“ სასკე ხის მახლობლად მაღალსა და „შემხედვარე“ ხევებს, რომლებიც მის მიერ „დათქმული“ იყო და წინასწარ შემზადებული ბუკების შემოსაწყობად უკვე მოქმედი სასკე ხიდან ნაყრობის დროს გამოსული ფუტკრის მოთავსების მიზნით. ამ წესით გაშეიძილი საფუტკრეები ს. ორაგვეში ბევრ მეცატკრეს ჰქონდა: თადა გაბრიელის ძე ურუ შაძე ეს ყუნთალეთში, დავით სესიას ძე ურუ შაძე ს ჭიდნარში, მიხეილ გიორგის ძე ბურძგლას ქამანში და სხვ.

მახარაძის რაიონის ს. გომში ჩაწერილი მასალით (თეიმურაზ ილარიონის ძე ბურჭულაძე, 38 წლ.) აღვილობრივი მოსახლეობა სულ ბოლო დრომდე ფართოდ იყენებდა ბუკების შემოწყობის წესს. საამისო ადგილებად შერჩეული ყოფილა: ხაირშე, თხილნარა, წაბლისგული, საღაც მცენარეულთაგან ჭარბობს ცაცხვი, წყავი, შეერი, ხეჭრელი, ნეკერჩალი, ხურმა. ეს ადგილები ილპიურ ზოლს უახლოვდება და ამდენად თაფლოვანი ბალახე-



ულითაც მდიდარია (თეთრი და წითელი სამყურა, მოცვი, ბარბარა კუნძულის, მუკურა ჩუმელა, ჯინჯალუა და სხვ.). ამ სოფლის მეფუტკრეთა ნაწილსაც ბუკები მთე ლი წლის მანძილზე ხეებზე ჰქონდათ დატოვებული; მათი მოხილვა ხეებზე წარმოებდა. იგივე ითქმის ამავე რაიონის ს. ვაკისჯვრის შესახებაც (დიმი ტრი ჭავლის ძე მდინარაძე, 85 წლ.).



სურ. 3

ს. გომში ჩვენ შევესწარით ხეზე შემოწყობილი ბუკების მოხილვას. ლ. გინე ი შვილი, რომლის მამას ძეველად 60 ძირამდე ფუტკარი ყავდა სასკე ხეებზე დაბინავებული, ხის ძირას იდგა და ბაწრის ბოლო ეჭირა, რომლის მეორე ბოლოოთი მაღალი ხის ერთ ტოტზე ატანილი იყო სარაჯის ჭურჭელი. მოხუცებულობის გამო ლ. გიგინე ი შვილი თვითონ ვეღარ გასულიყო ხეზე, შვილიშვილი აეგზავნა და ქვევიდან არიგებდა მას.

ლანჩხუთში ჩაწერილი მასალით ბუკები ხეებზე წირეხით (ლელენჭით) იყო დამაგრებული და ისეთ ხეებზე ასასვლელად, რომელთაც მარჯვე ხელმოსაკიდი ბოლი (ტოტი) არ გააჩნდა, მიმართავდნენ გურიაში ფართოდ გავრცელებულ სამუალებას: წვრილ თოქს მოაბამდნენ მუშტისოდენა ქვას და გადაისრო-დნენ მას უახლოეს ტოტზე. ამ წვრილი თოქის საშუალებით მსხვილ ბაწარს

გადაიტანდნენ იმავე ტოტზე და ამის მეშვეობით აღიოდნენ ხეზე. ძველი და ადრენალინის ნაცვლად ზოგი მალლარი ვაზის ტოტს იყენებდა.

ზემო-სურებში ბუკების შემოწყობის წესი არ ყოფილა ცნობილი. სურებ-ლების წარმოდგენით (ან ტონ მაქსიმეს ძე ბარამიძე, 78 წლ. და სხვ.) მეფუტკრეობის ეს სახეობა მახარაძის რაიონის მხოლოდ იმ სოფლებშია ცნობილი, რომლებიც აჭარასთან ახლო მდებარეობენ—თითქოს სურებლებს ხევზე ჟემოლაგებული ბუკების მოხილვა აჭარლებისაგან ჰქონდეთ შეთვისებული.

გურიის დანარჩენ ადგილებში მეფუტკრეობის ეს სახეობა ეპიზოდურ ხა-სიათს ატარებდა. ლანჩხუთში ჩაწერილი მასალით მეფუტკრეობის ეს სახეობა აქ არ ყოფილა გავრცელებული. მხოლოდ ის მეფუტკრები, რომელნიც



სურ. 4

სხვათა შორის მისდევდნენ ამ საქმიანობას, ან რომელთაც არ ეხერხებოდათ მეფუტკრეობა, ხეებზე სტოვებდნენ ბუკებს და დროგამოშვებით სხვა პირთა დახმარებით მოიხილავდნენ ხოლმე მათ.

მახარაძის რაიონის ს. ვაკისჯვარში (ლ. თხილაიშვილი) გამონაკლისით შემთხვევების გარდა ბუკებს ხეებზე არ აჩერებდნენ. ხეებზე ბუკები მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩებოდა მთელი წლის მანძილზე, თუ მეფუტკრე რაიმე მიზე-ზის გამო ვერ მოასწრებდა ბუკების ჩამოხსნას ხიდან.

ამგვარად, საერთოდ გურიის რამდენიმე პუნქტში და განსაკუთრებით კი მახარაძის რაიონში დამოწმდა ამჟამადაც მოქმედი წესი ბუკების ხევზე მო-ხილვისა, რომელიც საერთოდ საფუტკრის ერთ-ერთ, შესაძლებელია, აღრინ-დელ სახეობას წარმოადგენს.



საფუტკრის მეორე სახეობად უკვე მოხსენებული არ ჟამან ტექნიკური მიზანით არ გამოიყენებოდა, რა მაგრამ მის მიზანი საფუტკრი მიგვაჩნია, ე. ი. მეტ-ნაკლები რაოდენობის ბუკები, რომლებიც სხვადასხვა სიმაღლის ორბორიკა ბიჯგებზე ან პირდაპირ ქვებზე იყო შეტყმული და მეჩერ ტყეში განლაგებული.

ს. ნაბეღლავში ჩაწერილი მასალით (დ. მამალაძე) გიორგი მამალაძეს 86 ძირი ფუტკარი ჰყავდა ამგვარად მოთავსებული ტყეში. იქვე იყო ის საფუტკრის მოწყობა ს. ორაგვეშიც იყო ცნობილი (იესე გერასიმეს ძე ურუშაძე, 72 წლ.). ლანჩხუთში დამოწმდა „გასულიერებული“ ბუკების ჩამოხსნა და იქვე ტყეში დაბალ საფუტკრელ მათი გაწყობა. ს. ზემო-სურებში (ნაუმ ეფრემის ძე ბარამიძე, 41 წლ.) ფუტკრის უმეტესი ნაწილი ტყეში გაწყობილ საფუტკრებში იყო მოთავსებული, რაც კარგად ჩანს სურებელ მეფუტკრეთა ზემოთ მოყვანილი სიიდანაც. სხვათა შორის ასეთი საფუტკრები დღესაც ფართოდა გავრცელებული როგორც ინდივიდუალურ, ისე საკოლმეურნეო საფუტკრებში.

ლანჩხუთში დამოწმებული წესით (ა. ე ბრალიძე) სასკვე ხევბზე შემოწყობილი ხევების „გასულიერებისა“ და ღალანობის დამთავრების შემდეგ ბუკებს ხევებიდან ჩამოხსნიდნენ და ე. წ. აგვართაში მოთავსებდნენ ან სახლში ეზოს საფუტკრეში მოიტანდნენ.

ტველად ლანჩხუთის რაიონის გლეხებს დაბლობ ადგილებსა და უმთავრესად რიონის ჭალებში ტყეში შეტყობილი ჰერხეული ჰერნიათ ტიალი ადგილები (ახოს აღება აქ არ სცოდნიათ), რომლებშიაც ისინი კარავს იდგამდნენ, ზაფხულ-შემოდგომობით ყანას ამუშავებდნენ და ზამთრობით საქონელს აბალახებდნენ—რიონის ჭალებში მისი რბილი ჰავის გამო ზამთარიში საქონლის შენახვა უფრო იოლი იყო. ამ შეურნეობას, უკეთ რომ ვთქვათ, ამ ადგილს აგვართა უფრო იოლი იყო. ამ შეურნეობას, უკეთ რომ ვთქვათ, ამ ადგილს აგვართა უფრო ბოლო—აგვართაში ყანა იხვნებოდა და ითესებოდა მთელი ოჯახის ძალებით (გარდა ოჯახის მაცევებისა, რომლებიც სახლსა და საქონელს უვლიდნენ და რომლებიც ამ ღროვისათვის ჯერ კიდევ არ იყენენ ჩამოსულნი დაბლობში). სიმინდის აღების უმაღლეს საქონელს აგვართაში ჩამოდენიდნენ; კარავში რჩებოდა ოჯახის ერთი წევრი, რომელიც საქონელს უვლიდა, რადის ნაწარმს ამზადებდა და ამავე ღროვის ნაღირობა-მეთევზეობას მისდევდა. თუ რომ ოჯახის ეს წევრი მცირეშლოვანი იყო და რადის ნაწარმის დამზადების ვერ მოერეოდა, იგი შეეზიარებოდა მეზობელს; შეზიარებული ერთად ჩაიდგამდნენ კარავს აგვართაში და, უმცროსი რომ საქონლის მოვლაში ეხმარებოდა უფროსს, უფროსი წველას და ყველის დამზადებას აწარმოებდა.

ს. ჩიბათის მიმღვმო ტერიტორიაზე სააგვართო ადგილები იყო: გვარა-დიდი (კ. პატარაია), ჯოხოთი (ი. კუკილაძე და ვ. ჭყონია), წყავი (კ. ჭყონია), ჩხუნი (ი. ჩახვაძე), ნაბაკევი (ო. ჯორბეგიაძე, ბ. ი. მნაძე, ა. მარგალიტაძე—ეს ორი მოზიარე იყო—დ. სარჯველაძე, ი. კუნძულია, ნ. ლომაძე, ს. კუნძულია), თხინარი (თ. სარჯველაძე, გ. სარჯველაძე, ს. კუკილაძე), ზრუგა (ზ. პატარაია), აშანათი (კ. პატარაია) და სხვ.

ლანჩხუთელ ა. ებრალი იძეს წყალთელაში ჰქონდა აგვართო, მეფუტკრეობა იგი მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან ერთად მისდევდა ჰქონდა და ნაღირობას, უმთავრესად გარეულ ღორსა და შველზე.

აგვართაში დაბინავებულ მეფუტკრეებს, როგორც წესი, ფუტკრის უდიდესი ნაწილი აგვართაშივე ჰყავდათ.

რიონის ჭალებსა და ჭალისპირებში გაწყობილ საფუტკრეებში ბუკები მაღალ, ორპოტიკა ბიჯებზე იყო დალაგებული. ზოგ შემთხვევაში ძველად (ისევე როგორც ახლაც) ბუკების სიმაღლე ერთნახევარ მეტრს აღწევდა. ბიჯების ასეთ სიმაღლეს ზოგი რიონის მოდიდების შიშით ხსნის, ხოლო ზოგი ნაღირისაგან დასაცავ საშუალებად მიიჩნევს. ერთია უდავო: მიწაზე (ქვებზე ან დაბალ ბიჯებზე) დალაგებულ ბუკებთან შედარებით კაცის სიმაღლეზე დადგმული ბუკის მოხილვა უფრო მოსახერხებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ მიერ დამოწმებულ ზოგ ასეთ საფუტკრეში ბუკის მოსახილავად კიბის მიღვმაა საჭირო, რაც საქმიანდ ართულებს მის მოხილვას.



სურ. 5


გურიის სხვა რაიონებში აგვართა ვეღარ დავამოწმეთ. მხოლოდ ს. ნაბელლავში ჩაწერილი მასალით (ბეგლარ დავითის ძე კოროშინაძე, 69 წლ.) ამ მიდამოებში აგვართებს მეგრელები იმართავდნენ ხოლმე, რომელთაც თხა ამოჰყავდათ საბალახოდ. აქაურები საქონელს ტყეში აბალახებდნენ.

ამგვარად, საფუტკრის მესამე სახეობად აგვართაში გაწყობილი საფუტკრე შეიძლება ჩაითვალოს.

გურულ მეფუტკრეთა ნაწილს მხოლოდ ეზოში ჰყავდა ფუტკარი. ასე იყო მაგ., ს. ზემო-სურებში, ნაბელლავში და სხვა მრავალ ადგილას. ამას-



თან ერთად, თითქმის ყველა მეფუტკრეს, მიუხედავად იმისა ხეგმენი მეფე და მეფე შემოწყობილი ბუკები, აგვართაში ჰყავდა ფუტკარი, თუ ტყეში ჰქონდა



სურ. 6



სურ. 7

გამართული საფუტკრე, ეზოში რამდენიმე ძირი ფუტკარი მაინც ჰყავდა სახალწლო დღესასწაულისათვის.



ჩვენი აზრით, ეს გურული საფუტკრის მეოთხე სახეობაა. ერთცხადი გურული იყო ის

ფუტკრის მოქლა-პატრონობის ღონე გურიაში შეპირობებული იყო ის  
ცოდნათა ფარგლებით, რომელსაც ფუტკრის ბინის თავისებურება ჰქონი-  
და. ფუტკრის ცხოვრება-მუშაობის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ბუქში მიმ-  
ღინარეობდა, გურულ მეფუტკრებს, ისევე როგორც ამ ღროვის სხვა მეფუტ-  
კრებს, არსებითად სწორი, მაგრამ მეტად ზოგადი წარმოდგენა ჰქონდათ.  
რაც შეეხება ფუტკრის კვება-მუშაობასა და მრავლებას, აქ ადგილობრივ მე-  
ფუტკრეთა ცოდნის ღონე დამკარებული იყო არა მარტო პირად გამოცდილე-  
ბაზე, არამედ ემპირიული ცოდნის იმ დიდ მარაგზე, რომელიც ხალხს საუკუ-  
ნეების მანძილზე დაკვირვების შედეგად დაგროვილი აღმოაჩნდა.

ამ გარემოების ნათელსაყოვად მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ თითქმის  
ყოველი სოფლის მეფუტკრემ ზედმიშვნით სიზუსტით იცის, თუ წლის გარ-  
კვეულ მონაკვეთზე სად და რა მცენარეზე „მუშაობს“ ფუტკარი, თაფლოვან  
მცენარეთა ყვავილობის ღრივ და ხანგრძლივობა, ამ მცენარეთა ავკარგიანობა,  
მათრობელი თაფლის გამომწვევი მიზეზი და სხვ. გურიაში მოიპოვება არა  
ერთი მეფუტკრე, რომელსაც თაფლის ფერის შიხედვით შეუძლია განსაზღვროს  
ფუტკრის საკვები მცენარის თავისებურება.

ს. ქვემო-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (ს. მარგალიტაძე) ირკვევა, რომ  
ამ მიღამოებში ნეკერჩხალი ყვავილობდა პპრილის მეორე ნახევარში, კვიდო—  
მაისის დამლექს, შავი ხეც დაახლოებით ამავე ხანებში, ზეწა ყვავილობას  
იწყებდა მარტის ბოლოს, ხოლო ტყეზალი — ამაზე ცოტა აღრე; ტყის გაშ-  
ლისა და ლიცის ყვავილობის ღრივ პპრილის პირველ ნახევარზე მოდიოდა,  
ხოლო აკაციისა — მეორე ნახევარზე; ამას მოყვებოდა ჭანჭუფას და ლუკუმხას  
ყვავილობა; მაისის პირველ ნახევარში ყვავილობდა ონგრეხაი, ხოლო ყველაზე  
გვიან ცაცხევი და წაბლი.

თაფლოვან ბალახეულთა შორის ცნობილი იყო ხახიე (მარტის ბოლო),  
ხამყური (პპრილის ბოლო), ხოლო ნაგვიანებთა შორის — დონიკა, ცახი, მთის  
ორჩხეულა, ოქნატო.

ს. ნაბეღლავში (ბ. კორო შინაძე) ზემოხსენებულთა გარდა თაფლო-  
ვან ბალახეულში არჩევდნენ ქურჩუმელას, იაბალახს, სახემშევნიერს.

გურიის მთიანეთში, სახელდობრ, ზემო-სურებში, ხალხს დადგენილი აქვს  
თაფლოვან მცენარეთა ყვავილობის სხვადასხვა ვადები. ღალანობა აქ მხო-  
ლოდ სამ თვეს გრძელდება; მეფუტკრეობის მდლავრად განვითარებას ხელს  
უწყობს მაღალი მთების სიახლოვე, სადაც ერთი და იგივე თაფლოვანი მცე-  
ნარე ყვავილობას მთის ძირში იწყებს და შემდეგ თანდათანობით მაღლა გა-  
ზადის. ასე მაგალითად, ყველაზე აღრე აქ წყავი იწყებს ყვავილობას და ზემო-  
აღნიშნული გარემოებას გამომისი ყვავილობის პერიოდი 20—25 დღეს გრძელ-  
დება. წყავის მაყვალი მოპყვება, რომელსაც აქ ბარდი ეწოდება. მისი ყვავი-  
ლობა თითქმის ერთ თვეს გრძელდება. ათიოდე დღის შემდეგ შემოდის წაბ-  
ლი, რომელსაც ცაცხევი მოჰყვება. ღალანობა ივლისის ბოლოს მთავრდება.

თაფლოვან მცენარეთა კარგი ცოდნის შედეგია ის გარემოებაც, რომ  
გურიაში დიდი ხანია, რაც ხელი მიჰყვეს თაფლოვან მცენარეთა ხელოვნურ



გაშენებას. თაფლოვან მცენარეთა შორის დღეს ყველაზე გაერცელებულია მცენარეთა კიბეჭის გაშენება გურიაში მე-19 საუკუნის ბოლოში დაწყეს, რაც გამოტვიული ყოფილა ტუების დიდი მასივების გაკაფვის შედეგად ფუტკრის საკებების ბაზის მნიშვნელოვანი შემცირებით. აკაციის შემოტანას მახარაძის რაიონში ხალხი მიაწერს მეფუტკრე ბოლქვადეს (ძველად მიქელ-გაბრიელის თემი), რომელსაც თურმე პერილაც შემოუტანია; ამ ბალახს ეხლაც „ბოლქვაძის“ ბალახს უწოდებენ.

რაც შეეხება სეფორას, გურიაში იყი თბილისის საცდელი საფუტკრიდან გადაუტანიათ.

კრიპუჭი მექამად გურიაში აღარ მოიპოვება. ს. ნაბელლავში (დ. მამალაძე) კრიპუჭის ძველ თაფლად მიიჩნევენ. შემოწყობილ ბუკებში კრიპუჭი თითქოს არ იცის. ბუკების „წალმა-უკულმა“ მოხილვის პირობებში, ე. ი. ერთ წელიწადს რომ ერთი ბოლოდან ილებენ სარაჯეს, ხოლო მეორე წელიწადს მეორე ბოლოდან, თაფლი არა ძველდება და ამდენად კრიპუჭი არ კეთდება. თუ რომ ბუკი მუდამ წელს ერთი ბოლოდან იხილება, ხალხის წარმოდგენით იქ შეიძლება განჩდეს კრიპუჭი.

დაბლარ საფუტკრეებში ბუკებს წელიწადში მხოლოდ სამჯერ ახდილნენ ზედა ყბას: გამარტებაზე (გაზაფხულზე), ნაყრობის დროს და ფუტკრის მოწველისას.

ერთი ბოლოდან აწეულ ზედა ყბას ორპოტიკა ჯოხს შეუყენებლნენ, თუ ბუკი ძირს იყო დაწვენილი, ზედა-ყბის აწეულ ბოლოს მუხლს შეუდგამდნენ და ქვედა ყბას ფეხს დაადგამდნენ. ამ წესით ნაწილობრივად თავახდილ ბუკს, რომელიც ოდნავ დაქანებული იყო ახდილი თავის მიმართულებით, გაზაფხულზე ჩახედავლნენ და გაასუფთავებლნენ. საამისოდ ბუკს ქვედა ყბის ბოლოზე საწრეო ჰქონდა გაკეთებული, რომელშიაც მეფუტკრე ჩახევტავდა ბუკში დაგროვილ ნაგავს. ბუკის გაწმენდისას, ისევე როგორც ბუკის თავის ახდის ყველა შემთხვევაში, ფუტკარს მიუბოლებლნენ ცეცხლმოკიდებულ კოტორს (ს. სურებში ნაკოტალას—სიმინდის ნაგული) ან ფოროს, რომ მუშაობისას ფუტკარს არ დაესუსხა მეფუტკრე.

ბუკთან მეორედ მიღიონდნენ ნაყრობისას, რომელსაც ამ მომენტისათვის დამახასიათებელი ხმაურობით შეატყობლნენ ხოლმე; ფუტკარი ამ დროს მიგურგუსული (ე. ი. ერთ დაგილას დახვეული) არისო.

ნაყრობის დროისათვის მომზადებულ ბუკებს წურუქას (სველს) მოავლებლნენ (ფუტკარს უყვარს) და ფუტკრის ოჯახს შიგ მოათვასებდნენ.

გურიის ქვედა სოფლებში (ს. ქვემო-ჩიბათი, იასონ კონსტანტინეს ქვემო-ჩიბათი, 45 წლ.) ნაყრობა აპრილის შუა რიცხვებიდან იწყება. უფრო გვიანი ნაყარი—ნაბეჭალა—უვარებისად არის ცნობილი, ხოლო პირველი ნაყარი საუკეთესოდა მიჩნეული. კარგი ოჯახი ხანდახან ორ, ხოლო ზოგჯერ სამ ნაყარსაც იძლევა ხოლმე; ჩვეულებრივად კი ერთზე მეტს არ ელოდებინა.

საფუტკრის მესამედ მოხილვა აქ ფუტკრის „მოწველის“ დროს სცოდნებათ. სამისოდ გარკვეული დღე დაწესებული არ იყო; ელოდებოდნენ ლა-

ლიანობის დამთავრებას და უმეტეს შემთხვევაში მოხილვას მარიამ გურიაში აწარმოებდნენ. ს. გაკისჯვარში, მაგ., მოხილვა წარმოებდა მოყოლებული იმ დღიდან, წაბლი რომ ფოთოლს დაყრიდა, ვიდრე გაზაფხულიმდე, მაგრამ ფუტკრის ზამთარში მოხილვის ეს შემთხვევა იშვიათია—ჩვეულებრივად ეს საქმიანობა გიორგობისთვეს (ნოემბერს) არ გადასცილდებოდა.

რადგან ტყიური მეფუტკრეობის ზემოაღწერილ ფორმებს საქმაოდ დიდი აღგილი ეჭირა მეფუტკრეობაში, მეფუტკრეობის ინვენტარში განსაკუთრებული იდგილი ჰქონდა დათმობილი სარაჯის საზიდ საშუალებებს. მაღლარი ბუქების მოხილვისას, გარდა უკვე მოხსენებული თოკისა, ლაფერასი და სხვა შვრილი ინვენტარისა, ტყიური მეფუტკრეობის ამ ფორმითა პირობებში საჭირო იყო ე. წ. ხოკერა. ს. გომში ჩაწერილი მასალით (თეიმურაზ ილარიონის ძე ბურჭულაძე, 38 წლ.) ხოკერას ადგილობრივი მოსახლეობა ნაძვის ხის ანახადისაგან აკეთებდა. 1,5 მეტრის სიგრძისა და 30—40 სმ სიგანის ანახადს—შლოფს ორად მოლუნავდნენ და გვერდებში ანაუადისავე ტიხერებს დაუდგამდნენ. ხოკერას ზედა ნაწილში შემოვლებული ჰქონდა რკინის სალტეები, რომლებზედაც დამაგრებული იყო ლითონისავე სამი რგოლი—ორი წინ და ერთიც უკან. ამავე რკინის სალტეებში დატანებულია მავთულის სახელური. წინა ორ რგოლში გავლებული, ხოკერის ძირზე ამოტარებული და უკანა რგოლზე დამაგრებული თოკის საშუალებით ხოკერა ზურგზე შემოიდებოდა და, თოკით ორივე მხარეზე დამაგრებული, იოლად სატარებელი იყო.

ს. გომში დამოშემცირებულ ეგზემპლარს (თ. ბურჭულაძის ოჯახში) სიმაღლე 62 სმ ჰქონდა, ხოლო უდიდესი განივეჭრილი  $28 \times 28$  სმ. ასეთი ჭურჭელი ცხენშე სატარებლადაც მოსახერხებელია. ხოკერა მხოლოდ სარაჯის ჭურჭელად იხმარებოდა, მას სხვა დანიშნულება არ ჰქონდა.

ს. გაკისჯვარში ბუქების მოხილვისას სარაჯის ჭურჭელად გუდას ხმარობდნენ, რომელიც ასევე მხოლოდ ამ დანიშნულებისათვის კეთდებოდა. გუდას თხის ტყავისაგან ამზადებდნენ. საამისოდ თხის უკანა ფეხებიდან ტყავს გახდიდნენ (საღვინე გუდისათვის კისრიდან გახდილ ტყავს ხმარობდნენ), რადგან კისრიდან გახდილი ტყავი ყელვიშროა და თაფლის ჭურჭელად ამ იგარებებს. ასე გახდილ ტყავს მუხლებში გადაჭრიდნენ, მარჯვენა და მარცხენა ფეხებს წყვილად გადაბამდნენ თოკებით, რომ გუდა ზურგჩანთასავით სახმარებელი ყოფილიყო; ხმარებამდე ტყავს (ბალანგაცლილს ან გაუცლელს) ფურიებით ან თივით დატენიდნენ და კარგად გაახმობდნენ. გახმობის შემდეგ მას წყალში დაალბობდნენ და მცირეოდენი დაქნის შემდეგ თაფლის საზიდ ჭურჭელად ხმარობდნენ. ხოკერა უმთავრესად მაღლარი საფუტკრის მოხილვისას იხმარებოდა, ხოლო გუდა—უმთავრესად დაბლარისა.

ამგვარად, ფუტკრის მოსახილავად წასვლისას ოან მიჰქონდათ ხოკერა (ან გუდა), ლაფერა (ხისაგან გამოთლილი ვიწროპირიანი დანისმაგვარი იარალი, რომელსაც ჩვეულებრივად სარაჯის ამოსაკვეთად ხმარობდნენ), ბარჯიკა (ეს ხშირად ადგილზე მზადდებოდა ხოლმე), ბაწარი და ფოურ (უკანასკნელი ახდილი ბუქის შესაბოლებლად).



ს. ნაბეღლავში ჩაწერილი მასალით (ბ. კოროშინაძე) ბუკინიშვილი გამდე ბუკინ თითის მიკაუნების საშუალებით დაადგენდნენ საით არის დედოფა საით მოსახილავი და შესაბამისად ამისა ზემოხსეხებული წესით ასწევდნენ ბუკის ზედა ყბას. თუ მოსახილავი იყო საოჯახო საფუტკრე, ბუკის ზედა ყბის დაწევის შემდეგ მას ქვეშ გობს შეუდგამდნენ და ლაფერით მოკვეთილ სარაჯს გობზე დაალაგებდნენ. ტყეში და საერთოდ სახლიდან მოშორებით მუშაობისას მოკვეთილ სარაჯს გულა-ხოკერაში ალაგებდნენ.

ს. ზემო-სურებში ჩაწერილი მასალით (დ. კიკვაძე) ამოჭრილ სარაჯებს ცარიელ ფიჭას მოაცლიდნენ, ხოლო სავსეს დაახარისხებდნენ—თეთრი ფერის სარაჯებს ცალკე დაალაგებდნენ საჭმელ თაფლად, ხოლო ზავი ფერის სარაჯს არყის გამოსახდელად მოიმარაგებდნენ.

დათვისაგან დაცვის მიზნით გურიაშიც სცოდნიათ ხარაკუნას დადგმა; ასეთი სარაკუნა დაშლილი სახით ს. ვაკისჯვარში აღმოჩნდა.

აქვე (ქიშვარდი ესეს ძე გიორგაძე, 86 წლ.) თაფლის შესანახ ჭურჭლად ხმარობდნენ ჭალიკას—თიხის დიდ ჭურჭელს, რომელშიაც ერთორი ფუთი თაფლი ეტევა. მას მოსდევს დოქი (3—5 ლიტრა) და ბოლოს ლაგინა (1—1,5 ლიტრი).


გურიაში დადგინდა თაფლ-სანთლის დაწურვის რამდენიმე წესი. ამ მხრივაც გურული მასალა გარკვეულ თავისებურებას წარმოაჩნის.

ს. ორაგვეში ჩაწერილი მასალით (ი. ურუშავაძე) თაფლის დასაწურად ძველად საგანგებოდ იწვენებოდა მრვვალი, შუაში ოდნავ ჩანხექილი ჩელტი, რომელზედაც დაალაგებდნენ ამოჭრილ სარაჯს და რომელსაც ქვეშ გობს შეუდგამდნენ. ასეთი წესით თაფლი 2—3 დღის განმავლობაში თავისთავად იწურებოდა; ასე მიღებული თაფლი „პირველ თაფლად“ ითვლებოდა. 2—3 დღის შემდეგ ჩელტზე დარჩენილ თაფლიან სარაჯს ხელით ამოსწურავდნენ და ამონაწურს—ნაბაჟაის (ასევე ეწოდება აქ ნიგვზის ამონაწურს) გადაადნობდნენ, საწური ტომარაში—ჩახვში გაატარებდნენ და სარაჯებში დარჩენილ თაფლს ამ წესით გამოაცლიდნენ. ჩახვში დარჩენილ სანთელსა და ცუხს, გადადულებისა და ჩახვში ხელმორედ გატარების შემდეგ, დააცალკევებდნენ.

თაფლის დაწურვის ასეთივე წესი დამოწმდა ს. ზემო-სურებში (ალექსანდრე ივანეს ძე ბარამიძე, 59 წლ.). აქ თაფლის დაწურვის მიზნით სარაჯს ჩამოკიდებულ გოდორებში ალაგებდნენ, რომელსაც ქვეშ გობი ჰქონდა შედგმული. მიუხედავად იმისა, რომ სარაჯის დაწურვას ზემოაღნიშნული წესით დიდი დრო ესაჭიროებოდა, იგი მიჩნეული იყო კარგი თაფლის მიღების საუკეთესო საშუალებად.

გურიის დანარჩენ სოფლებში (ვაკისჯვარი, ნაბეღლავი და სხვ.) სარაჯი დაწურვის წინ მის შეთბობას აწარმოებდნენ. სოფ. ვაკისჯვარში, მაგალითად, სარაჯს ჯერ კარდალაში ჩაყრილნენ, ლაფერით ან სუთით (ზემო-სურებში ღომის ჩუნით) ჩაყლეტდნენ და ცეცხლზე მი ითბობდნენ. სარაჯის მოთბობის შემდეგ სანთელს ხელით ამოსწურავდნენ და ამ გზით მიღებულ გორგოშებს ცალკე გობზე დაალაგებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ შემთბარი თაფლი ზედაპირზე მოიგდებდა ყაყვს (ზემოსურებში ყაჩყვი); მასაც ხელით მოაცლი-

ჩნენ და გორგოშებს მიუმატებდნენ. ამგვარად, იქ დაღვენილი წესებით კანაფისაგან ჩანაფისაგან მოქსოვილ ჩახვში გაატარებდნენ და იმ წესით გამოსწურავდნენ თაფლს. ჩახვში დარჩენილ მასას, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში ხელით



სურ. 8

ამოწურულ გორგოშებსა და ყაყეს, ძლიერ ცეცხლზე შესდგამდნენ და მაგრად ადულებდნენ. ადულების შემდეგ თხიერ მასას იმავე, კანაფისაგან მოქსოვილ, ჩახვში გაატარებდნენ. რომელიც ან ჩამოკიდებული იყო, ან აღამიანს ეჭირა ხელით. ორი დამტმარე კაცი ორი ბოლოში გადაბმული კეტის—შანკოების საშუალებით სწურავდა სანთელს.

ზოგ შემთხვევაში (მაგ., ზემო-სურებში) ხელით ამოწურულ სანთელს მის გადადნობამდე თბილ წყალში გარეცხავდნენ და ნარეცხს არყის გამოხდისას ხმარობდნენ. დაწურულ სანთელს სხვადასხვა ჭურჭელში ინახავდნენ, უმთავრე-სად კი გობსა და თიხის ჯამში.

მხოლოდ ს. ვაკისჯვარში (ქ. გიორგაძე) იღმოჩნდა სანთლის ჩასასხ-მელი თიხის ჭურჭელი სახელწოდებით სპარა, რომელსაც ძველად საგანგებოდ

სანთლისათვის ამზადებდნენ. სპარა სხვადასხვა ზომისა იყო, ჩვეულების შემთხვევაში სამი-ოთხი ტყის მოცულობისა.

სანთლის დაწურვის შემდევ ჩახვში ოჩებოდა უვარგისი მასა ცუხის სახელ-შოდებით. თუ მეფუტკერე ბეჯითად დასწურავდა სანთელს, დარჩენილი ცუხი სრულიად ჭვარვისი იყო. სანთელი ხშირად ბეჯითად არ იწურებოდა და ცუხს საქმიან რაოდენობის სანთელი გაჰყვებოდა ხოლმე. სანთლის დიდი რაოდენობით შემცველ ცუხს ყიდულობდნენ საცუხე ჭახრაკების შეპატრონე-ები—შემცუხები, რომლებიც ცუხში დარჩენილ სანთელს საგანგებო მოწყობი-ლობის საშუალებით სწურავდნენ.

ს. ზემო-სურებში, მაგალითად, ცნობილი შემცუხე ეცრეშ ბარამიძე იყო. მას მუდამ ჰყავდა დიდი რაოდენობით ფუტკარი და თაფლ-სანთლის დაწურვის შემდევ ბლომად რჩებოდა ცუხი. ამის გარდა იგი სხვა მეფუტ-კრებისაგან ყიდულობდა ცუხს და სწურავდა თავის საცუხე ჭახრაკით. სა-ამისოდ ე. ბარამიძეს ეხმში ედგა საცუხე ჯარგვალი—დიდი მორებისაგან მკვიდრად ნაგები შენობა, რომელშიაც დაყენებული იყო ჭახრაკი. ამ ჭახრაკის ერთი ძირითადი ნაწილი ოჯახში დაცული აღმოჩნდა.

ეფრემის მეულლის, აქ ს. ვანიძან გამოთხვილი, ამეამად 60 წლის მარ-თა რამიშვილის თქმით, ეს ჭახრაკი ზემო-სურებში არ არის გაკეთებული. მაგრამ ამ ჭახრაკზე უწინარეს ე. ბარამიძის ოჯახში სხვა ჭახრაკი ყოფი-ლა, რომლის ერთი გაცვეთილი ნაწილი ეხლაც ღობის მარგილადაა გამოყენე-ბული. 17 წლის მართას, ამ ოჯახში რომ შემოსულა, ეს ძელი ჭახრაკი დახვედრია.

პირელი ჭახრაკის მოტანის ადგილი ცნობილი არა; რაც შეეხება მეო-რე ჭახრაკს, იგი „გაღმიდანაა“ მოტანილი (როგორც ეტყობა ს. ზოტიდან).

საცუხე ჯარგვალი ოთხუთხი შენობაა, მთლიანად მუხის დიდი ძელები-საგან ნაგები. განსაკუთრებული ყურადღება საცუხე ჯარგვლის აგებისას ჯარ-გვლის საძირკველს ექცეოდა, რადგან ჭახრაკის მუშაობის მთელი სიმძიმე მას აწვებოდა.

საცუხე ჯარგვლის საძირკველს ამოდებული ჰქონდა 2 მუხის ძელი, რო-მელთა ერთ ბოლოებზე დასმული იყო ვერტიკალურად 2 მაღალი სვეტი, ასე-ვე მუხისაგან გამოთლილი. ეს ორი წყვილი კუთხურად დაყენებული სვეტე-ბისა წარმოადგენდა ჭახრაკის მყარ ჩარჩოს. ვერტიკალურ სვეტებზე 1,5 მ სიმაღლეზე და საძირკვლის ძელების პარალელურად დამიგრებული იყო კი-დევ ორი ძელის ბოლო, რომელთა მეორე თავისუფალი ბოლოები ამოდებული იყო მოპირდაპირე კედელთან საძირკვლის ძელებზე დაბჯენილი ჭახრაკის თა-ვის ქვეშ. ეს ბოლოები ჭახრაკის თავთან ერთად მოძრავი იყო. ჭახრაკის ფე-ხი ამოკვეთილი ფერდებით ამოდებული იყო ქვედა ძელებს ქვეშ და ამდენად ქვევიდან ზევით მოქმედ ძალას არ შეეძლო მისი ამოგდება.

თითონ ჭახრაკის სიმაღლე 2,5 მეტრს უდრიდა. ჭახრაკის ფეხის სიმაღ-ლე 10 სმ უდრის, ხოლო ქვეთი  $20 \times 25$  სმ. ფეხს მოჰყვება ექსტენზიად გა-მოთლილი ამავე კვეთის სვეტი 76 სმ სიმაღლისა, რომელსაც დატოვებული ჰქონდა ორი განივი კვეთი სახელურის გასაყრელად. ამ სახელურების მე-



ჭვეობით წარმოებდა ჭახრავის ტრიალი. ექვსკუთხა სვეტი შემდეგ გამოიყენებოდა ჭახრავში, რომლის კბილთა შორის მანძილი 10 სმ არ აღემატებოდა. ჭახრავს ბოლოში დადგმული ჰქონდა ხის ბალიში—ჭახრავის ზომაზე გახვრეტილი ოთხკუთხი მოკლე მორი. მორის ბუდეს შიგნით ჭახრავის კბილისოდენა ხრახნი ჰქონდა დატოვებული. ჭახრავის დატრიალების შედეგად ჭახრავის თავი ძირს მოიწევდა, აწევბოდა მის ქვეშ ამოდებულ ორ ვერტიკალურ ძელს, ძირიდან 1,5 მეტრის სიმაღლეზე ჰორიზონტალური დაყენებულს, რომლებიც, როგორც აღინიშნა, მეორე ბოლოთი მოპირდაპირე კედელთან დაყენებულ ძელებზე იყო დამაგრებული.

ასეთი იყო ჭახრავის ძირითადი შექანიზმი. ცუხის საწური წარმოადგენდა ძირდასგრეტილ დიდ ყუთს, რომელიც ქვედა ძელებზე იყო დაყრდნობილი. ამ ყუთში ფენა-ფენად ლაგდებოდა თივა და ცუხი. ყუთის ავსების შემდეგ ყუთში მოთავსებულ ცუხსა და თივას ზევიდან ფიცარს დააფარებდნენ, რომელზედაც შედგამდნენ ვერტიკალურ სვეტს ისე, რომ ეს სვეტი ჭახრავის ატრიალების შემდეგ ზედა ჰორიზონტალური ძელების დაწოლის ქვეშ მოქცეულიყო. ყუთს შედგმული ჰქონდა სანთლის ჭურჭელი, რომელშიაც სანთელი გროვდებოდა.

აქ სხვა მეტყველებიც იყვნენ, რადგან ცუხი ისეთი რაოდენობით გროვდებოდა, რომ გასატანადაც რჩებოდა. თავის დროზე დიდი რაოდენობის ცუხი გურთულელ ივანე პაიჭაძეს გაჰქონდა და თავის სოფელში ჭახრავით ამშევებდა მას.

როგორც ზევით დავრწმუნდით, გურია წარმოადგენდა მძლავრად განვითარებული შეფუტკრეობის კუთხეს. მიღებული თაფლისა და სანთლის რაოდენობა არამცულ ფარავდა აღვილობრივ მოთხოვნილებას, არამედ საგრძნობლად სჭარბობდა კიდეც მას. ამის გამო გურული თაფლი და სანთელი საკმიან რაოდენობით გადიოდა გურიის გარეთ. თაფლი გაჰქონდათ ახალციხეში, ფოთზი, ხოლო სანთელი—ბათუმსა და ფოთში.

გარდა იმისა, რომ სანთლის გარკვეული რაოდენობა ხატ-სალოცავებს ხმარდებოდა, მას იყენებდნენ საჯახო დანიშნულებითაც. ოჯახში სანთელი საჭირო იყო განათებისათვის, ძაფის გასასანთლავად, ჭურჭლის დასაკერებლად, ჭურის გამოსავლებად (ათფუთიან ჭურს ერთი კილო სანთელი მაინც დაჭირდებოდა).

ს. ორაგვეში დადგინდა (იესე გერასიმეს ძე ურუშაძე, 72 წლ.), რომ მეთევზები სანთელს ან ცუხს ხმარობდნენ სათევზაო ბადის გასასანთლავად — მოქსოვილ ბადეს ან საამისო ძაფს აღულებულ სანთელში ხარშავდნენ.

იცოდნენ აგრეთვე სანთელის ჭურჭლის გაკეთება. ს. ვაკისჯვარში (ქიშვარდი იესეს ძე გიორგაძე, 86 წლ.) აღმოჩნდა სანთლის ჭიქ-ლამბაძეში, რომელიც სანთლის არყის ჭურჭლიდ ისმარება და ამ სასმელს სპეციფიკურ გემოს აძლევს. ს. ნაბეღლიაგში (დიონმიდე გიორგი ის ძე მამალაძე, 83 წლ.) სანთლისაგან ყანწებსაც კი აკეთებდნენ. საამისოდ ყანწეს თბილი წყლითა და საპირო გარეცხავდნენ, შემდეგ ცივ წყალში დაასველებდნენ და აღულებულ სანთელში ამოავლებდნენ ერთხელ. სანთლის გაცივების შემდეგ



ყანწს ნელ-ნელა ამოილებდნენ სანთლის ბუდიდან ისე, რომ უკანას ცნობები მა არ დაეკარგა. აქვე იცოდნენ ხილის შესანთლვა — დიდ ხანს არ გაფუჭ-დებაო.

ამასთან ერთად სანთელი შეტირულების საგანსაც წარმოადგენდა. მეფუტ-კრები დიდი რაოდენობის სანელს სწირვ-დნენ, მაგ., ჯუმათის მთავარანგელოზს და სხვა სალოცავებს.

სანთელი გურიაში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სამკურნალო სამუალებადაც იხმარებოდა.

ქვემო-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (სილოგან ანტონის ძე მარგალიტაძე, 56 წლ.) სანთელს მიაწერდნენ სიცხის გამონელებისა და თვალის სიწითლის მორჩენის უნარს. აქვე, მუცლის აშლილობით დაავადებულს ან სანთლის ნაჭერს შეაჭმევდნენ, ან

სანთლის კვერს; ზოგჯერ ამ შემთხვევაში იცოდნენ წიწილის შეწვა სანთელში — მუცლით დაავადებულმა რომ შექამოს, მოარჩენსო.

ლანჩხუთში (არსენ ბესარიონის ძე ებრალიძე, 81 წლ.) ზეთში გადადულებული სანთლით დამწერობას მკურნალობდნენ და სანთლის არაყის კუჭის დაავადებისაგან განკურნების სამუალებად თვლილნენ.

ს. ორაგვეში (ვასილ ხარლამპრეს ძე ურუშაძე, 59 წლ.) ცუხსაც ხმარობდნენ წამლად: მექუძურ ქალს (ან ქროხას), თუ კუის ქარი გაუზნდებოდა (რძის დაგროვების შედეგად), მტკივან ძუძუს თბილი ცუხით შეუფუთნავდნენ; აქვე ცუხს ხმარობდნენ წამლად მუწუკის დამწიფების მიზნით. დამოწმდა აგრეთვე სხვა დაავადებათა მკურნალობაც გაცემებული ცუხის საშუალებით.


ს. ვაკისჯვარში (ლომინა ნიკოლოზის ძე თხილაი შვილი, 88 წლ.) ცუხით ნანჯაყევს (ნაღრძობს) მკურნალობდნენ — ნატკენ აღვილას თბილ ცუხს დაადებუნენ და მაგრად შეუკრავდნენ.

გარდა იმისა, რომ თაფლი ოჯახს ხმარდებოდა, ხოლო მისი დიდი ნაწილი ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა, თაფლი იხმარებოდა აგრეთვე სამკურნალოდაც.

გურიაში არა ერთგზის ჩაწერილი მასალით მელოგინე და ფეხმძიმე ქალების საუკეთესო საჭმლად თაფლ-ხავიწი ითვლებოდა (ორი წილი წყალი, ერთი წილი თაფლი და ერთიც — ფეხილი), შემზადებული ფაფის მაგვარად; ძველად ამ ხავიწს ღვინოსა და ღომს უმატებდნენ ხოლმე.

თაფლის წაცხება იცოდნენ აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც აღამიანს პირში მუწუკებს დააყრიდა. ამით დაავადებულ საქონელსაც თაფლით მკურნალობდნენ.

თაფლი იხმარებოდა როგორც შემადგენელი ნაწილი სხვა მრავალი წამლისა.



სურ. 9

მეფუტკრეობის მნიშვნელოვან პროდუქტს გურიაში სანთლის ზოგი მცხოვრის მოადგენს. სანთლის არაყის აქ ე.წ. „სანთლის წევნისაგან“ ხდიან, რომელიც არსებითად თაფლ-წყალს წარმოადგენს. გურიაში სანთლის არყის დამზადების ყველაზე გავრცელებული წესი შემდეგია: შემთბარი სარაჯებილან გორგოშებად ამოწურულ სანთლს, ვიღრე მას გადააღულებენ და ჩახვში გაატარებენ, ბევრნი თბილ წყალში გარეცხავენ ხოლმე და ამგვარად გაყოლილ თაფლს გამოაციან. ეს გორგოშების ნარეცხი თაფლ-გარეული წყალი სანთლის არყის დამზადების ძირითადი მასალაა. გარდა ამისა გორგოშების გადადულებისა და გამონარი მასის ჩახვში გატარების შემდეგ სანთლს მოყვება თაფლის ის ნაწილი, რომელიც გორგოშების გარეცხვის შემდეგ მაინც დარჩა მას., იმ თაფლს, რომელიც სანთლს ვაყვება მისი ჩახვში გატარებისას და ცალკე დაგროვდება სანთლის გაცივების შემდეგ, გურიაში სანთლის წყვენს უწოდებენ (ზემო-სურებში მას თიხარე ეწოდება); აქედან უნდა იყოს წარმოშობილი სანთლის არყის სახელწოდებაც, მიუხედავად იმისა, რომ იყიფაქტიურად თაფლის არაყად.

გორგოშების ნარეცხისა და სანთლის წვენის მიღების შემდეგ ნაზავს დააყენებდნენ ისე, რომ ერთი წილი თაფლი ყოფილიყო და ორი წილი წყალი. საჭირო კონსისტენციის თაფლ-წყალის მიღების შემდეგ მას ქვევრში მოათავსებდნენ და აღულებას დააცლიდნენ. აღულების დაქარების მიზნით ამ მასას მცირეოდენ ცუსს მოუმატებდნენ, რომელსაც ჭეო ურევია და ამდენად დამჟავების კარგ საშუალებას წარმოადგენს.

საარყე მასის დუღილის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თაფლისა და წყლის შეფარდებაზე, ჭეოს რაოდენობაზე, ამინცხე და სხვ. მზადყოფნას ზოგი სუნით ატყობდა (ს. ნაბეღლავი, ბ. კოროშინაძე), ზოგი ფერის მიხედვით (ს. ზემო-სურები, დ. კიკვაძე), ზოგი ხმაურობის მიხედვით (ს. ნაბეღლავი, დ. მამალაძე). პირველ შემთხვევაში სიმჟავეს უყურებდნენ და, რომ შეატყობდნენ, დუღილი კლებულობს, მაშინვე შეუდგებოდნენ არყის გამოხდას. მეორე შემთხვევაში ფერის დაწმენდას ელოდებოდნენ და, ვიღრე მასას „არეული“ ფერი ჰქონდა, გამოხდას არ შეუდგებოდნენ. მესამე შემთხვევაში—არყის გამოხდას შეუდგებოდნენ მაშინვე, როგორც კი სიხე ნელ-ნელა ფუქუებს დაიწყებდა და თხლე რომ დაიკრიფებოდა ჭეოს ძირში.

სამი ბათმანი თაფლის წვენიდან ვ ბოთლი კარგი ხარისხის არაყი გამოდიოდა. პირველი ბოთლი ისეთი მაგარი იყო, რომ ძეწყება არც კი იყიდებდა. მეორე ბოთლიდან მოყოლებული არაყი დაიწყებდა ძეწყვის მოკიდებას და ბოლოს (მეცხრე ბოთლიდან) ქაფს მოიგდებდა ხოლმე, ეს უკვე რახად ითვლებოდა და არყის სათვალავში არ შედიოდა; თუ მეფუტკრეს კიდევ ჰქონდა გამოსახდელი არაყი, იგი ამ რასს გადააბრუნებდა, თუ არადა გადააქცევდა მას ან საარყე ჭურჭლის გამოსარეცხად დაიტოვებდა.

მეფუტკრეობისათან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ფუკობა, როგორც ფუტკრის სალოცავად განკუთვნილი საგანგებო დღე.



ს. ქვემო-ჩიბათში ჩაწერილი მასალით (ი. პატარაია) როგორუც მეფებული რობა დღეს იკოდნენ ცხენის ლოცვა და ილორობაზე საქონლის ლოცვა, ასევე იკოდნენ ფუტკრის მოლოცვა ფუკობას. ს. გომშიაც (ლ. გიგინე იშვილი), ძელად არსებული რწმენით, ფუკობა ისევე იყო მიჩნეული ფუტკრის სალოცავ დღედ, როგორც ილორობა საქონლის სალოცავ დღედ.

რომ ფუკობა გურიაში ფუტკრის სალოცავ საგანგებო დღედ იყო მიჩნეული, ეს დამოწმებულია ქვემო-ჩიბათშიაც (ს. მარგალიტაძე), ლანჩხუთშიაც (ი. ებრალიძე), ვაკისჯვარშიაც (უკვე მოხსენებული ლომინა თხილი იშვილი) და სხვა მრავალ ადგილას.

ფუკობა, როგორც ეს დაფინდა ყველა მასალების ერთპირი ჩვენებით, დიდმარხების შუა ოთხშებათს სრულდებოდა.

ამ დღის აღსანიშნავად გურული მეფუტკრები საგანგებო რიტუალს ასრულებდნენ. ყოველ მეფუტკრეს ამ დღისათვის უნდა გამოეცხო რამდენიმე (ან ერთი მაინც) თაფლიანი ჭადი. მხოლოდ სუფსაში (აკაკი ნაკაიძის ჩვენებით) იკოდნენ ამ დღეს ჭადა-პურის—თაფლიანი პურის გამოცხობა, ისევე როგორც ლანჩხუთში (ი. ებრალიძე) სცოდნიათ ძეველად თაფლიანი ჭვაგის პურების გამოცხობა. მიუხედავად იმისა, თუ რისი ფქვილისაგან კეთდებოდა ეს ნამცხვარი, მისი დამზადების მიზნით ფქვილს თაფლიან წყალში აზელდნენ და დაატანდნენ იმდენ თაფლს რამდენსაც ცომი აიტანდა.

რიტუალური ნამცხვარი ჩვეულებრივი ჭადის მოყვანილობისა იყო. ს. ვაკისჯვარში (დ. მდინარაძე და ქ. გიორგაძე) დამოწმეს, რომ ამ თაფლიან ჭადს თითით ან ჩხირით „დატიკნიდნენ ფაჭის მაგვარად“—ო.

თაფლიანი ჭადების რაოდენობა ოჯახის შეძლებაზე და ფუტკრის სიმრავლეზე იყო დამოკიდებული.

ლანჩხუთშივე ჩაწერილი მასალით მეფუტკრები ამ დღეს გააწყობდნენ სუფრას, დაალაგებდნენ ზედ თაფლიან ჭადებს და სანთლის არაყის; სუფრას ჩამოურიგებდნენ ანებულ სანთლებს. ანთებულ სანთლებს დააკრავდნენ აგრეთვე სახლში კარებიდან მარჯვენა კედელზე. შუა ცეცხლთან მდგარი ქუდ-მოხდილი მეფუტკრე პირს კარისაკენ იზამდა და ფუტკარს მოილოცავდა: „ბატონ მეფუტკე, გამიმრავლე ფუტკარი“—ო. „ბატონ მეფუტკის“ სახელზე ლოცვა საერთოდ გავრცელებული იყო გურიაში, თუმცა აქა-იქ ფუტკრის მომრავლებას სხვა სალოცავაც თხოვდნენ ხოლმე. ს. ვაკისჯვარში მაგ. (ლ. თხილი შვილი იშვილი), ფუტკრის მომრავლებას ღმერთსა სთხოვდნენ, ხოლო ს. ნაბეღლავში (დ. მამალაძე)—იობს.

მეფუტკრები, რომელთაც ფუტკარი აგვართაში ჰყავდათ, სალოცავად ამ საფუტკრეშიაც მიღიოდნენ (ლანჩხუთი), მიპქონდათ თან თაფლიანი ჭადები, სანთლის არაყი, სანთელი, ფიჭა; ზოგს რამდენიმე მახლობელი მამაკაცი მიჰყავდა საფუტკრეში სალოცავად.

ს. ნაბეღლავში ჩაწერილი მასალით (დ. მამალაძე) ის მეფუტკრები, რომელთაც ბუკები ხებზე ჰქონდათ შემოწყობილი, სახლში დატოვებულ 2—3 ძირ ფუტკართან მივიღოდნენ ზემოხსენებული შესაჭირავით, ფუტკარს „მოილოცვიდნენ“ და გიდელაში ჩალაგებულ შესაწირავს იქვე მახლობლად ჩამოკიდებდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ თაფლიან ჭადას მეფუტკრეობაში რიბეს მეზობლებსაც უნაშილებდა (ს. ორაგვე, ვ. ურუშაძე). ზოგ იდგილას (ლანჩჩეთში, ა. ებრალიძე) მეფუტკრესთან ფუკობა დღეს საგანგებოდ მიღიოდნენ მოკეთე-მეზობლები თაფლიანი ჭადის საჭმელად; ზოგ შემთხვევაში (ს. ვაკისჯვარი, დ. მდინარაძე) მეფუტკრეები ამ დღეს საგანგებოდ აცხობდნენ დიდ კეცხე სასტუმრო თაფლიან ჭადს. საერთოდ მიღებული იყო, რომ ეს თაფლიანი ჭადი რაც შეიძლება მეტ ხალხსა რგებოდა.

ძელად არსებული შეხედულებების შესაბამისად ფუკობა დღეს, ზემოაღნიშნული რიტუალის შესრულების გარდა, საჭირო იყო რამე საფუტკრე საქმის გაკეთება: ამ დღეს იცოდნენ ბუკის გამოთლა ან უკვე გამოთლილი ბუკების შემოწყობა ხევბზე, „გაცოცხლებული“ ბუკების დათვალიერება და დასუფთავება, ე. ი. რამე სასკე საქმის გაკეთება ან ყოველ შემთხვევაში ამ საქმის დაწყება, იმ მოსაზრებით, რომ, თითქოს, ამის შედეგად ფუტკრის საქმე მოვლი წლის მანძილზე კარგად წარიმართებოდა.

რაც შეეხება საბუკვე ზის მოქრას—ამაზე სხვა წესები ვრცელდებოდა.

ს. ზემო-სურებში მასალები ფუკობის შესახებ ვერ იქნა მიკვლეული.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის აქაც ფართოდ და საყოველთაოდ იყო გავრცელებული ფუტკრის ყრის დროს რკინის არაკუნება, თოფის სროლა, მიწის შეყრა, წყლის მოპყურება და სხვ., როგორც მაგიური საშუალებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ფუტკრის დატოვებას საფუტკრეში.

ამასთან ერთად ქვემო-ჩიბათში, მაგ. (ს. მარგალიძე), ახლად გავსილი ბუკის ზედა ყბაზე ჯინჭარს დაალაგებდნენ და ცულით დაკეპავლნენ მას; ამ დროს მეფუტკრე დაიძახებდა: „დედო სკაი აქანაი, უუუ“. ჯინჭარი ავითვალის საწინააღმდევო მაგიურ საშუალებად ითვლებოდა.

მაგიური ზასიათის შეძახილებს წარმოადგენდა აგრძელებულ ამავე მიზნით წარმოთქმული: „ცხვარი, ცხვარი, ცხვარი“—ვითომ ახლად ნაყარი ფუტკრი ცხვარივით დამჯდარი იქნება, შინ დარჩება და ხალხს არ დასუსხავსო. ზოგჯერ (ლანჩჩეთი, ა. ებრალიძე) ფუტკრის შინ დატოვების მიზნით იმ მოქმედებასთან ერთად, რომელიც ავლრის იმიტაციას წარმოადგენდა (რკინის არაკუნება, წყლის შეპყურება და სხვ.) იცოდნენ შეძახილი: „დედო სკაი ბუკშიაო, დედო სკაი ბუკშიაო“.

ფუტკრის დანელება აქაც დიდ „ცოდნა“ ითვლებოდა. გურული მეფუტკრეები გაკვირვებით ყვებიან ქობულეთლების წესს, რომლებიც ფუტკრის მოწვევლის დროს სამჩხველ, ე. ი. სათესლედ, მხოლოდ 10—20 ძირ ფუტკარს მოიტოვებდნენ, დანარჩენს კი ღუპავდნენ.

ბუკების ავითვალისაგან დაცვის მიზნით, ს. ორაგვეში იცოდნენ ბუკების დატოვება ტყეუში და მათი შეხეჭვა დადევობაზე (ძვ. სტ. 31 აგვისტოს წინა ღამით). ავითვალისაგან თავის დაცვის მიზნით გურიაში სცოდნიათ სანთლით შებეჭვა ყველა იმ ობიექტისა, რომელსაც ამგარი საფრთხე მოექოდა. ამ მიზნით, სანთლის ნაცრისაგან გამოწინილ პატარა ჯვარს დააკრავდნენ სახლის კარს, საწნახელს, საქონლის სადგომს, ვენახის კარს; გარდა ამისა იცოდნენ



ადამიანის შეგეჭვნაც სქესისა და ასაკის განურჩევლად; ეს წეს-ჩეტვერტები სრულდებოდა ხარის მიმართაც; შებეჭვნა იცოდნენ აგრეთვე სამი ძირი ღო-მისა, სიძინდის კოტასი და ამასთან ერთად ზოკისაც.

ს. ზემო-სურებში ელიობას (ძ. სტ. 20 კვირიკობის თვე), საერთო წე-სად ჰქონდათ პაპაჯვრის გაკეთება იელის ტოტებისაგან. პაპაჯვარს მოათავ-სებდნენ ყანაში, სახლის სახურავზე, სამეურნეო ნაგებობებზე; მას დაასობ-დნენ აგრეთვე საფუტკრეშიაც. მა დღეს დაცხობდნენ თაფლიან კეკრებს, რომ-ლებსაც ჩაალაგებდნენ გიდელაში და ჩამოჰკიდებდნენ სხვადასხვა სამეურ-ნეო უბანზე. ასეთივე გიდელა ჩამოკიდებულა უნდა ყოფილიყო საფუტკრე-შიაც.

ბავშვები და მოზრდილები ამ სალამოს დაანთებდნენ ცეცხლს, ხტუნაობ-დნენ ზედ და გაიძახოდნენ:

„ჯვარი აქა კუდიანო,  
შენი სეი და შენი ჭამე,  
ჩემსას ჯვარი დამიწერე“.

ამავე მიზნით საფუტკრეში კიდებდნენ ეკლისაგინ მოწნულ გორგალს; ასეთი ეკლის გორგალი უნდა დაეკიდათ შეურნეობის სხვა უბნებშიაც.

ფუტკართან დაკავშირებულ წეს-ჩეტველებათა შორის აღსანიშნავია ის მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებდნენ ძველად გურულები ფეხის მდგომარე-ობას ბუკის გამოთლის დროს.

გარდა ამ დღისა, რომელიც საგანგებოდ ფუტკრის სალოცავად იყო მიჩ-ნეული, გურულ მეფუტკრებს წესიად ჰქონდათ მილებული სხვა დღეებშიაც გარკვეული შესაწირავის გამოლება. ს. გომში ჩაწერილი მასალით (ლ. გიგი-ნეიშვილი) აქ მეფუტკრები ბარბალობა დღეს (ძ. სტ. 4 ღეკვემბერი) შემო-ქმედში ლოცვას ასრულებდნენ ფუტკრის მომრავლების მიზნით და შეპირებუ-ლი რაოდენობის სანთელს სწირავდნენ მას.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩეტველებათა შორის, აქაც, ისევე როგორც საქართველოს ზოგ სხვა რაიონში, მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი თავისებურ შეხედულების სხვადასხვა ჯიშის ხეზე. ს. ქვემო-ჩიბათ-ში (ი. პატარა აია) დადგინდა ცხემლის (რცხილა) აღკვეთა საბუკე ხედ; ცხემლა უბედურ ხედ იყო მიჩნეული. შესაბამისად ამ წაომოდგენისა ცხემ-ლაში დაბუდებული ფუტკარიც უბედურების მომტანას ითვლებოდა. ამ ხეში დაბუდებული ფუტკრისათვის შემთხვევითაც რომ შეხედა ადამიანს, ცრუ-მორწმუნეთა შეხედულებით მას რამე უბედურება არ ასცდებოდა. ამის გამო ადამიანი, რომელიც ცხემლაში მოთავსებულ ფუტკარს შეხვდებოდა, ცდილობ-და ეს ფაქტი სასწრაფოდ გადაეცა სხვისათვის; ამის შემდეგ პირველიდ შემ-ხვედრ ადამიანს იგი მაძახებდა: „ფუტკარი ვნახე ცხემლაში“-ი. ამ თქმით ეს ადამიანი თითქოს თავს იხსნიდა უბედურებისაგან, თუმცა ამავე დროს ამ ამბის მომსმენს არავითარი საშიშროებას არ უქმნიდა.

ზემოხსნენებულ წარმოდგენათა შესაბამისად ცხემლაზე არც ბუკს შეს-დგამდნენ „გასაცოცხლებლად“ და არც ამ ხეში დაბუდებული ფუტკრის ნა-ყოფს გამოიყენებდნენ, რადგან „უბედური ხის ფუტკარიცა და მისი ნაყოფიც ერთნაირად უბედურიაონ“.



ცხემლას არც სახლის მასალად ხმარობნენ, არც საოჯახო არასამართვულის გასაკეთებლად. იგი მხოლოდ დასაწვავად იყო გამოსაღევი.

ასეთივე წარმოდგენა დადგინდა ლანჩხუთშიაც (ა. ებრალიძე), სადაც თურმე ცხემლაში დაბუღებული ფუტკრის ნახვასაც კი იბრძნიდა ადამიანი; „ცხემლა განსაკუთრებული ხეა და მარტო ცეცხლისათვის ხმარობენ მასონ“. ანალოგიური წარმოდგენის ქველად არსებობა ს. ორაგვეშიაც დადასტურდა (ერმალოზ სპირიდონის ძე კვაჭაძე, 78 წლ.). ს. ვაკისჯვარში (დ. მდინარაძე); ფუტკრის ყრის ღრმა სკა ცხემლას რომ დაეხვეოდა, ასეთ სკას თაოფს ესროლენენ და „გააფუჭებდნენ“. ანალოგიური წეს-ჩეულება ჩოხატაურის რაიონშიაც დამოწმდა. ს. ნაბელლაგში ჩაწერილი მასალით (დ. მამალაძე) ტყიურ ფუტკარს რომ ნახავდნენ ცხემლაში დაბინავებულს, ამ ხეს ცეცხლს მოუკიდებდნენ და ზარს იტკოდნენ — „ზარი ხეს გადახდება და კაცი უბედურებას გადარჩებაო“. აქაც ცხემლას არც საბუჭე ხედ ხმარობდნენ, არც სასკე ხედ.

ზემო-სურებში ამ შემთხვევაშიაც თავისებურება იჩენს თავს — წარმოდგენა უბედური ხის შესახებ აქ ვერ იქნა დადგენილი.

მეცნტრულობასთან დაკავშირებულ წეს-ჩეულებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მთვარეს. მეცნტრულობის წლიური ციკლის გარკვეული ეტაპები ორგანულ კავშირს ამჟღვნებენ მთვარესთან.

ს. ორაგვეში (ვ. ურუშაძე) არჩევდნენ მთვარის ფაზებს, რომელთაც აქ ეწოდებოდა პირველი მთვარე, საგვე მთვარე და დალეული მთვარე. აქ, ისევე როგორც გურიის სხვა მრავალ სოფელში, სამასალე ხე და მათ შორის საბუჭე ხეც ძველ მთვარეზე უნდა მოექრათ — ამ დღეს მოქრილი ხე, ხალხის წარმოდგენით, ვარგისიანი გამოდებოდა. ზოგინ ბუკის გამოთლასაც ძველ მთვარეს უფარდებდნენ — ძველ მთვარეზე გამოთლილი ბუკი დიდხანს გაძლებესო. ს. გომში კი (ლ. გიგინი იშვილი) ხის მოქრა (მიუხედავიდ მისი დანიშნულებისა) მართალია ძველ მთვარესთან იყო შეფარდებული, მაგრამ ბუკის გამოთლას კი ახალ მთვარეზე აწარმოებდნენ — ასეთი ბუკი მაღლ გაცოცხლდებაო.

ს. ვაკისჯვარში (ლ. თხილა იშვილი) საბუჭე ხის მოქრას მხოლოდ იმ შემთხვევაში უფარდებდნენ კარგ მთვარეს, როდესაც თხმელა იჭრებოდა — თხმელამ დარკილგა იცის და კარგ მთვარეზე მისი მოქრა მატლისაგან დაიცავსო. იქვე (ქ. გიორგაძე) წაბლის მოქრისას მთვარეს არ უყურებდნენ — წაბლი მაგარია და მისი ხანგრძლივად შენახვა საგანგებო წესების შესრულებას არ მოითხოვსო.

აქვე ჩაწერილი მასალით, ძველი არსებული წარმოდგენების მიხედვით, ყველა დღეები ორ ჯეფად იყო დაყოფილი: წარმო და უკუნი. ახალი მთვარის პირველი სამი დღე (ორშაბათი—ოთხშაბათი) წარმოდ ითვლებოდა, ხოლო უკანასკნელი სამი (ხუთშაბათი—შაბათი) — უკუნად; ძველ მთვარეზე კი პირიქით.

შესაბამისად ამ წარმოდგენებისა საბუჭე ხის მოქრა უკუნზე იცოდნენ — საუკუნოდ გასძლებსო, ხოლო ბუკების შემოწყობა წარმოზე — ბუკი აღრე გაცოცხლდებაო. მსგავსი შეხედულების ძველად არსებობა ს. ნაბელლავშიაც და-



მოწმდა იმ განსხვავებით, რომ აქ წარმოდ ითვლებოდა ახალი მთხვემსახულები შაბათი და ხუთშაბათი, ხოლო უკუნად—დანარჩენი დღეები (კვირის გარდა, რომელიც არც წარმოში შედიოდა, არც უკუნში). მეტ მთვარეზე აქაც შებრუნებული სურათია. სამშაბათი და ხუთშაბათი ითვლებოდა უკუნად, ხოლო დანარჩენი დღეები წარმოდ.

გურიაში ბუკების შემოწყობის დღეც ბევრგან მთვარის მიხედვით განისაზღვრებოდა. ფუკობაზე გათლილ ბუკებს ფუკობის მომდევნო ახალი მთვარის პირველ სამ დღეში შემოაწყობდნენ. ასე იყო ს. ორაგვეში (ი. ურუშაძე) და ს. ვაჭისეგვარში (დ. მდინარაძე); ამ უკანასკნელში ახალ მთვარედ პირველი სამი დღის მთვარე ითვლებოდა; 8 დღის შემდეგ ბუკების გათლა-შემოწყობა და მოხილვა აღკვეთილი იყო.

მეფუტკრეობის წლიური ციკლის კავშირი მთვარესთან ზემო-სურების მასლაშიაც იჩენს თავს.

საახალწლო ბუკის არსებობა ძველად მხოლოდ ს. ორაგვეში დადგინდა (ე. კვაჭაძე), აქ ჩაწერილი მასალით სახლში მყოფი ბუკებიდან ერთი ძირი ფუტკარი განსაკუთრებულ ძირად ითვლებოდა. მას წლის მანძილზე ხელს არ შეახებდნენ და მხოლოდ ახალწლის წინა დღით მოიხილავდნენ. ამ ბუკის თაფლს მხოლოდ ოჯახის წევრები შეჭირდნენ — მისი ნაყოფის გაცემა — გაყიდვა აღკვეთილი იყო. საახალწლო ბუკიდან აღებულ სან ჩელს მეფუტკრები ფერცვალობა დღეს (ძვ. სტ. 6 აგვისტო) ლოთაების ეკლესიას სწირავდნენ.

საფიქრებელია, რომ ტყიური მეფუტკრეობის გურული ფორმის პირობებში, სახლში რამდენიმე ძირი ფუტკრის გაჩერება რიტუალის შესრულების მიზნითაც იყო შეპირობებული. მას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ საახალწლო ბუკი აქ ხალცადი ბუკი ეწოდებოდა.

მეფუტკრეობასთან დაკავშირებული გურული ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს დანარჩენ კუთხეთა სათანადო მონაცემების საყურადღებო პარალელების შემცველია. შედარებითი მასალის გათვალისწინება უმცველს ხდის, რომ ამ შემთხვევებშიაც არსებითად ერთ ტიპოლოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ამასთან ერთად, გურული ეთნოგრაფიული მასალა რიგი თავისებურებით ხასიათდება, რომელიც საქართველოს სხვა კუთხეების ეთნოგრაფიულ მასალაში არ არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ გურული მასალა უფრო სრულად წარმოვედისახვს საქართველოში მეფუტკრეობის ძველი ფორმების სურათს. ამ მასალის საფუძველზე შემდეგი წინასწარი დასკვნის გაკეთება: შეიძლება:

1. გურიაში დამოწმებულია ფუტკრის საცხოვრებელი ბინის არსებითად ერთი ტიპი — ბუკი, რომელიც ქართული გეჯის ძირითადი ტიპის სრული ანალოგიაა.

2. გურიის ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დადგენილია საფუტკრის 4 სახეობა, რომელიც ხევსურულ საშინაო საფუტკრესთან და ქართლურ მოწმულ საფუტკრესთან ერთად საფუტკრეთა თითქმის ყველა შესაძლებელ ვარიანტს წარმოადგენს.

3. გურული ეთნოგრაფიული მასალის წყალობით შესაძლებელი უსტურებულებები დამზადების ხრული ხურათის წარმოდგენა, რაც გარკვეულ თავისებურებებს წარმოაჩენს საქართველოს სხვა კუთხეებში დადგენილ მასალასთან შედარებით.

4. გურული ფუკობა საბოლოოდ გვარწმუნებს ფუტკრის საგანგებო მფარელის არსებობაში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქართული მეცნიერების ძველთაგან მომდინარეობის ერთ-ერთ საბუთს.

## ს. ბეჭუქაძე

### ძვის დამუშავება მთიულეთში

ძველი ხანის ქართული რიგის მშენებლობის ხერხების შესახებ ისტორიული წყაროები საქმაოდ უხვ მასალას იძლევა, მაგრამ საქართველოში სამშენებლო ხელოვნების სრულყოფილად წარმოდგენისათვის აუცილებელი ხდება ხალხში შემონახული ცოდნის დაწვრილებით შესწავლაც<sup>1</sup>.

ცნობილია, რომ ქართველები აღრიდანვე ქვითხურობის დიდი ოსტატები იყვნენ, ამიტომ ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ შემონახა ხანგრძლივი ტრადიციის ქვენე ხერხები და მისი შესატყვევისი მდიდარი ტერმინოლოგია, რის შესწავლაც ნათელს ფენს ამ დარგის ისტორიის ზოგიერთ ბუნდოვან საკითხს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ქვის დამუშავების ხალხური ხერხების შესწავლა დღევანდელს ქართულ ეთნოგრაფიულ გარემოში, ჯერჯერობით მარტო არაგვის ხეობის ფარგლებში.

არაგვის ხეობაში არის ქვის დამუშავების ორი მნიშვნელოვანი ცენტრი: მთიულეთი და ქაისხევი („ქაისის ხეები“). ქაისხევის ქვის დამუშავების ხალხური ხერხები ცალკე ნაშრომშია განხილული, ხოლო მთიულეთის (არახვეთი, ჯალა, დიდველი და სხვ.) ცეცხლგამძლე კოხისა და „ქლდის ქვების“ დამუშავების ადგილობრივი — ხალხური ცოდნა წინამდებარე ანგარიშში არის წარმოდგენილი<sup>2</sup>.

## I

„საკოხესა“ და „დიდველის ძირის“ ქვის საბადოთა შესახებ მთიულეთში მრავალი გადმოცემა შემონახული. საკოხედან დიდი მანილით დაშორებულ მთიულთა სოფლებში ხშირად უჩვენებენ ამ საბადოდან წამოლებულ დიდ ლოდებს, რომელთა ზურგით ჩამოტანას მთიულეთში სახელგანთქმულ გმირებს მიაწერენ. ლეგენდებში შემონახულია კვალი „კადელთა“ და „ცხავატელთა“ შორის ბრძოლისა ქვის მოპოვების თაობაზე: კადელები ქვის საბადოების ბატონ-პატრონად სოვლიდნენ თავს და ცხავატელებს არ აძლევდნენ მით სარგებლობის უფლებას.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი დიდ ანგარიშს უწევს ეთნოგრაფიული ხასიათის მასალას და შშირად ისტორიულ წყაროებში მოცემულ მშენებლობის ხელოვნების მრავალ საკითხს ხალხური ცოდნის მარაგით ავსებს, იხ. მისი „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, თბილისი, 1946 წ., შესავალი.

<sup>2</sup> წაკითხულია მოსსენებად 1946 წ. 14 დეკემბერს ეთნოგრაფიის განყ. სხდომაზე.



შემონახულია გადმოცემა ცხავატიდან „დიდველზე“ ამავალი, კლდეში გაქრილი ერთახერთი გზის ჩამოტი ქვის კარის შესახებ, რომლის გაღება მხოლოდ ქადელი გმირი ქალის დედუნას ლონესა და სურვილზე ყოფილა დამოკიდებული; შეორე თქმულებით დედუნას ჩატეტილი პქონია ცხავატიდან დიდველზე გასასცლელი არაგვის ხიდი. „დევვემირობის დროს“ დადველზე ციხე ყოფილა მსხვილი ლოდით აშენებული, ნიადაგს ბარაქიანი პურის მოსავალი უძლევია, ხოლო „სისხლის წვიმის“ შემდეგ გაერანებული ციხე-სიმაგრე საძოვრად ქცეულა. ვფიქრობთ, სწორედ ამ ადგილის შესახებ ამბობს გახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ლუდოს ხევის ჩრდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ჭადა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე, მის ჩრდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და ჯ კოშკოვანი გარემოს“<sup>1</sup>.

ცად აზიდებულ „მაღალს კლდეზედ“ გაშლილი „დიდველი“ ნახევარკუნძულს მოგეგონებს; ჯვრის ულელტეხილიდან ხელისგულივათ გადაშლილს, რომლის ფრიალო კლდოვან კიდევებს სამი მხრიდან არაგვი და „ქადის წყალი“ ესაზღვრება; მათ შესართავთან ესლაც არის „არაგვის ხიდი“ და დიდველზე ამავალი კლდეში გაქრილი გზა, რომელსაც ამჟამად ადგილობრივი მცხოვრები და უმთავრესად არახეთელი ქვისმთლელნიდა იყენებენ. საქართველოს სამხედრო გზამ ამ ძველ გზის ჯვრის ულელტეხილზე ასავალის მნიშვნელობა სამუდამოდ დაუკარგა.

მთიულეთში შემონახულია ქვის დამუშავების აღრინდელ სახეობათა მდიდარი კვალი: წესად ყოფილა კერძო პირთაგან ხატებისათვის თლილი ქვის ჯვრების, ბარელიეფების, ნიშებისა და სხვა ამგვარი ქვის ნახელავის შეწირვა, ხშირად სცოდნიათ თლილი ქვის წყაროს კოშკაუზების აგება მიცავალებულის სახელზე და აგრეთვე ყოველ ცალკე გვარს საკუთარი ციხე პქონია, უციხო გვარის კაცს მთიული ქალს არ მიათხოვებდა.

ხსნებულ ჩვეულებათა საფუძველზე შემორჩენილი ძველი ნაგები თარიღიანი თუ უთარილო თლილი ქვის ძეგლები ჯერ კიდევ უხვად მოიპოვება ჭად-ცხავატის მიღამოებში, ხოლო ამჟამად აშენებენ მაღალი სვეტებითა და ცხოველთა ბარელიეფებით შემქულს თლილი ქვის საცხოვრებელსა თუ საჩოგადო საჩვებლობის ნაგებობებს<sup>2</sup>.

მთიულნი ასახელებენ ჩუქურთმიანი ჯვრებისა და წმინდანთა ბარელიეფების შეკვეთით ანდა პირადი სურვილით მქანდაკებელ სახელგანთქმულ ქვის-მთლელებს, მაგ., არახეთელ ივანე ბურდულს „ნიშთვაკეში“ აუგია ნიში და შეუწირავს საკუთარი ხელით გათლილი ჯვარი ქვისა. ქვისმთლელ იაგორ ბურდულს კაიშაურის ეკლესიისათვის შეუწირავს მთლიან ქვაზე ნაჩუქურთმევი წმ. გიორგის ბარელიეფი და მისივე სოფლის კვირაცხოვლის ეკლესიისათვის თლილი ქვის ჯვარი. ამავე ბურდულისათვის შეკვეთით წიფორის ხატისა-

<sup>1</sup> გახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 66.

<sup>2</sup> ქასხვისისთვის დამახასათებელი შეგნიდან და გარედან თლილი ქვით მოპირკეთებული დარბაზების შესახლისა და ბურის ქვების ჩუქურთმა მზის გამოსახულების, გეომეტრიული არნამერტის კ. ჭ. ბურდაურის გარიაცებს იძლევა, ხოლო მთიულური ნაგებობის შემკულობა უმთავრესად ცხოველთა ბარელიეფური გამოსახულებით კმაყოფილდება.

თვის გაუკეთებინებიათ ჯვარი, რომელზედაც წმინდა გიორგი და ყოჩაბერ ყოფილა გამოხატული და წარწერა: „ეს ნიში შევიწირ მე ნაცრობ ზაქაიძემ ჩენ სადღეგრძელოდ“. ლომისის გზაზე დაღმული ნიშიც არახვეთელი ქვის მთლელის ნახელავი ყოფილა, სოფ. არახვეთის მცხოვრებთა შეკვეთით დამზადებული.

მთიულეთშივე იციან თხელ ქანებად დალაგებული კლის ჯიშის ე. შ. სიპების გამოყენებაც საცხოვრებელი სახლის ბანების გადასახურავად, შიგნით ფილაქანის დასაგებად, საქონლის სადგომში „ზღვისა“ (ზღვე) და „დარანის“ გასაკეთებლად, კიბეების, გრძელი სკამებისა და სხვა მგვარი საჭიროებისათვის. მასვე სმარობენ კარმიდამოს შემოსაზღუდავადაც და სიბი ქვის მალალ ლობებს ივლებენ. მთიულთ ამ ჩევულების შესახებ ვახუშტიც აღნიშნავს: „აქა არს ქვა, რომელიც აიყრების კლისისაგან ფიქალ-ფიქლად და ასხელს მას ქვასა სიბრტყეზედ ხშირად მუშკთაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი ანუ ნარევი და ბბრტყებინავი ფრიად, ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ და არს პატიოსნება მათ შინა ესე“<sup>1</sup>.

ქვას დიდი გამოყენება ჰქონდა მიცვალებულის კულტშიც. ძველებური სამარხების სახეობათაგან აქ ვხვდებით სიპებისაგან შედგენილ ქვის კუბოებს, უბრალო ქვის მშრალი წყობით ნაეგბ „საქნებს“ ანუ აკლდამებს, რომელთა შიგნით, სამ ან ორ რიგად, გრძელი „სიბის ბაქნები“ არის მოწყობილი მიცვალებულის დასასევენებლად. გარდა ამისა, შედარებით მახლობელი დროის სასაფლოებებს „კუბოევები“ და იშვიათად კი ქვის „მატურები“ არის მიწის ქემოდან აღმართული, რომელთა ზედაპირი და გვერდები უმეტეს შემთხვევაში მზისა და მოვარის ნაირსახოვანი ორნამენტით, ცხვრის, ყოჩის, ირმის, ცხენისა და ადამიანთა გამოსახულებებით არის მოჩუქურობებული.

მთიულთა ადრინდელი რწმენით „სამზეოზე“ დაღებული საფლავის ქვის გამოსახულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს „საიქიონში“ მცხოვრები მიცვალებულისათვის. ამბობენ: „როგორც აქ ვხედავთო, ისრე იქ უდეგებაო დახატული ორ არისო“, ე. ი. სამზეოს საფლავის ქვის გამოსახულებანი საიქიოს ნამდვილ მოსახმარ საგნებად იქცევიან მიცვალებულისათვის. ამიტომაა, რომ საფლავის ქვაზე მიცვალებულს გამოხატავენ ძვირფასი ტანისაბოსით, გაშლილი სუფრით (პურ-ლვინით), საკლავი ცხვრით და იმ საქმიანობისათვის საჭირო იარალით, რომელსაც ის „სამზეოზე“ ხმარობდა<sup>2</sup> (გუთანი, კოშბალი, დუქარდი და სალამური, ცხენი და თოფი, გონიო და ფარგალი, ქაფხა და გონიო, გრძემლი და მარტუხი, საწველელი, საქსოვი, საკერავი და სხვ.). „როგორც ახლა სამზეოზე ვართ ცოცხლები, ეგრე საიქიოს ყოფილაო, ეგრე ტანსაცმელითა,

<sup>1</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>2</sup> პითაგორელების თვალსაზრისით ხელოსნებსა თუ არა თუ იმ საქმის მოქმედთ მათი საქმიანობის დამახასიათებელ იარალს საფლავის ქვაზე უხატავდნენ, როგორც საბუთს სამზეოზე ჸატარებული მძიმე შრომისა, რომლის სანახაუროდ ვითომც საიქიოს მუშმივად გაშლილი სუფრა ენიჭებოდათ (Franz Cumont, Recherches sur le symbolisme funéraire des Romains, Paris, 1942, გვ. გვ. 33, 224 და სხვ.). მთიულთა რწმენით მიცვალებული საიქიოშიც სამზეოზე ჴველ საქმიანობას აგრძელებს და იარაღიც ამ მიზნით ესაჭიროება.





რომელიც ტამონებული ყოფილა და მამგონი არა ჰყავ, დამონებული და მაშინ მას მისი მიზანი იყო მოვალებულთან. მთიულნი ამბობენ „ვანც მხე ნახა მოკვდება, მარტო მხე არის ქვეყანაზე უკვდავი“, „მხე თხოულობს, თუ მხე ჩავალის, მაშინ სხვა ვინმე კიდევ უნდა მოკვდეს. მხე ამბობს მე ჩავკდი ვიდრე არ წავიდაო და ეხლა სხვა ვინმე გაძყვეს ოჯახილანაო“. ამიტომ იშვიათად ნახავთ საფლავის ქვას, რომლის თავზე, ზურგზე ან ბოლოზე „ზემოჭრილი“ ან „ზიგჩიჭრილი“ ბუღაური არ იყოს ამოღებული. ამ ორნამენტის მთიულნი ბუროს, ქადას, მზეს ან ვარსკვლავს უწოდებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე. წ. გახელებული კუბო-ქვა, რომელიც ძირში სიბრტყეზედ თითქმის მთლად გაკვეთილია, ქვედა ნაწილად ტახტი რჩება, ზემოთ კი კუბო-ქვა; მათ შემარტებლად კი ექვსი მრგვლად გამოთლილი ბურო (თავ-ბოლოში ოთხი, შუაში ორი) არის დატოვებული. ვთიქირობთ, ამ ბურთებზე შეყვენებულ კუბო-ქვას კავშირი უნდა ჰქონდეს ხალხის ძეველ წარმოდგენასთან მზის დახმარებით სამზეოდან საიქიოში მიცვალებულის გადასახლების შესახებ. მიცვალებულის სახელზევე იციან თლილი ქვის წყაროების შენება ცადაჭნილი ან ბანიანი სახურავით.

მთიულეთის კოხს ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებითაც: ხელსაფეხვავები, წისქვილები, სალეშები, პურის საცხობი ღუმელის ქვები არა მარტო ადგილობრივად გამოიყენება, არამედ აქედან შორეულ კუთხეებშიც ვრცელდება. აქვე იციან ე. წ. „ქვაკაცას“ შენება უბრალო ქვის წყობით. ქვაკაცას უმთავრესად მშენებები აშენებენ მაღალ, საჩერ ადგილებზედ და მას საძოვრის საზღვრის ნიშანად სოვლიან<sup>1</sup>.


„საკოხისა“ და „დიღველის ძირის“ ქვას ამჟამებს წარის, თავკალისა და წარის მოსაზღვრე ცხავატის მოსახლეობა. მაგრამ ამ საქმიანობით ერთი გვარი ბურდული არის განთქმული, რომელსაც თემში საპატიო ადგილი უქირავს. ხალხური გაღმოცემები მოგვითხრობენ ბურდულთა გვარის მოთავეობის შესახებ წარის და ცხავატი მოთარებელ დევალთა ლაშქარის განადგურებაში-აღსანიშნავია, რომ ხალხური გაღმოცემისათვის ჩვეული მანერით თქმულებებში ამ გვარის რომელიმე ბუმბერაზი ღონის ვაჟაცეტი კი არაა დასახელებული, არამედ გვარის წარმომადგენელთა მიერ ბრძოლის დროს ქვის ლოდების, ღრმა თხრილების, ლასტებისა და სხვა საშუალებათა ხერხიანად გამოყენების შემთხვევები არის მოთხოვნილი<sup>2</sup>. ადგილობრივი გაღმოცემის მიხედვით თვით გვარი ბურდული ოსების მიერაა შერქმეული, რაც მათ ენაზე ყვითელ ქვას ნიშნავს. მართლაც ძირითადად ბურდულებით დასახლებული მლეო-

<sup>1</sup> მ. კედელაძის ცნობით, ქვაკაცას ესა თუ ის ვაჟაცი თავის სახელზე დგამს მაღალ საჩერ ადგილზედ, რისთვისაც ჩშარად შორილი უხდება ლოდების ზიდვა და, რაც უზრო მაღალი და შორილი კარგად საჩერი იქნება ეს ქვაკაცა, მათ მეტი სახლია ამგებისათვის.

<sup>2</sup> თქმულება ბურდულთა მიერ შენიბლებული ლოდების დასახრებით ოსების ლაშქრის გაწვეტისა ირ. სონღულაშვილსაც აქვს გამოქვეყნებული. საქ. მუხ. მომბე, ტ. X.



არახვეტის „მცხოვრებნი დღესაც დიდველის ძირის საუკეთესო ხარისხზე მყენება თელი ქვის“ დამშევებელ სახელგანმანქომულ ხელოსნებად ითვლებიან და, ეთ-ნოგრაფიულ მონაცემთა მიხედვით, ისინი ქვის კილის ცოდნის ხანგრძლივი ტრადიციის მატარებელნი არიან. ბურდულთა გვარის სიძლიერესა და თემის წინაშე დამსახურებას მიაწერენ მთიულეთში წესად მი დებულ ჩვეულებას, რომ მთიულთა სხვა გვარებს უფლება არა ჰქონდათ ბურდულის გვარის ვაჟაცისა-თვის ქალის მითხოვებაზე უარი უთქვათ.



სურ. 2

მთიულეთის ქვისმთლელობის ისტორიის გასათვალისწინებლად გვერდს ვერ-აგუზევთ ჯალაში შემონახულ, ოდგილობრივი ქვით ნაგებ, ქოროლოს ძელი ექლე-სიის იმ ბარელიეფებს<sup>1</sup>, რომლებიც უმთავრესად ტაძრის აგებისათვის საჭირო ქვის დამუშავების პროცესებს გამოსახვენ (სურ. სურ. 1,2,3). აქ, დასავლეთის კედ-ლის ფასადზე ოდნავ ცადაქნები სახურავის ქიმის გასწვრივ ბარელიეფთა მარ-ცხენა ფრთა იწყება ქვის მთლელის გამოსახულებით, რომელსაც ქვის სათლელი

<sup>1</sup> ამ ბარელიეფების ფოტოგადანაუგები ს. მაკალათიას აქვს გამოქვეყნებული. ს. მაკალა-თია, მთიულეთი, თბილისი, 1932 წ., გვ. 52, ხოლო მეტების მუზეუმში ზ. მაისურაძის მიერ 1939 წ. ეკლესიიდან აღებული ესტამპაჟებიც ინახება.



იარაღი გამოკვერილ ქვაზე აქვს შექებული. ბარელიეფის ზედა ქიმურული მოკლე მოაკვეთილია ექვსი ასო ცხრმატ (აჭარმა), წარწერას დასაწყისში ში ერთი ასო უნდა ძელდეს, რადგან ქმის ნაპირი ჩამოტეხილია. ეს მოკლე წარწერა, რომელიც მომდევნო ქვის ბარელიეფთა იმგვარადვე გამოკვერილ ქიმებზე იმია გრძელდება, როგორც ჩანს, სახელი უნდა იყოს ტაძრის მშენებელი „გალატოზისა“. სხვა ბარელიეფებზე მოცემული ქვის დამუშავების პროცესიც ამჟამად მთიულეთში გაერცელებულ ხერხებს გვაგონებს. მაგ., ერთ ბარელიეფზე მოცემულია ქვას გაჭრის დროს ე.წ. „მორბედით მუშაობა“ ბურის დამჭერისა და უროს დამრტყმელის სახით. ორი ქვის მკვეთრილიდან ერთს ქვის სიღრმეში ჩარაღი უჭირავს და მეორეს მაღლა აღმართული დიდი კვერი ამ იარაღზე დასარტყმელად აქვს მომარჯვებული: ქვის აკიდება, ქვის წალება ზურგით, ქვის გადატანა ხელის მარხილით, ქვის გადატანა თურმში შებმული ხარებით და სხვა. მრავალი ამ ბარელიეფზე დიდი რეალობითა და საუკეთესო შესრულებით არის გამოქანდაკებული.

ზაღის ხეობაში დაბადასტურდა ამჟამად გამოკვენებაში მყოფი ქვის ოსტატთა პირადი ნიშნები, რომლებსაც ქვის საბაღოში დასამუშავებლად არჩეულ ლოდზე ამოკვეთენ ხოლმე; ასეთ ლოდებს მთიულნი „ჯვარდასმულ“ ლოდებს უწოდებენ. თავჭადის სოფ. ბენიანის ქვისმთლელები გიორგი ზაქარიაშვილი და ბენიანი და ბავლე ბენიანი კლდის მოჭრის დროს ამჟამადაც იყენებენ ასეთ პირად ნიშნებს: —|— (გ. ზაქარიაშვილი), —| (ბავლე ბენიანი), || (სიმონ ბენიანი)

ეს ეთნოგრაფიული ფაქტი და აგრეთვე დადასტურებული ჩევულება, რომ მთიული ქვისმთლელები ქვის ჯვრებსა და ნიშებს სდგამდნენ საუკორი ან შემკვეთის გვარის წარწერით, გვაფიქრებინებს, რომ სოფ. წერერეში (აღვილობრივ პირთა გადმოცემით) დაშლილი სახლებიდან ამოუბულსა და ამჟამად წყაროს აუზებად გამოკვენებული მთლიანი ლოდებისაგან გამოთლილ „გეჯებზე“ გეჯიბის გამოლელ ოსტატთა ნიშნები უნდა იყოს ამოკვეთლი(სურ. 4,5):



,ხოლო სოფ. მულურეში კვირიას ხა-

ტის კარისა და კედლის ქვებზეც ამ ქვების გამომთლელი ოსტატების პირადი ნიშნები უნდა იყოს გამოსახული:



მსგავსივე ნიშნები გვხვდება სოფ. წერერეში ძველად ნაგები საცხოვრებელი სახლების, შესავალი კარისა და კედლებში ჩატანებულ სხვა ქვებზეც.

## II

მთიულეთის კოხი ცეცხლგამძლე „დაჭოჭნილი“ (დაკენკილი) ქვა არის. საბას განმარტებითაც „კოხი არს ქვა მქისე და ცეცხლში არ მტკრცოლელი<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ს. ორბელიანი, ლექსიკონი, თბილისი, 1928 წ.



„აგური დაიწვის ცეცხლში და საკონის ქვა არ დაიწვისო“—ამბობენ <sup>მარცხელი</sup>  
ქვის ოსტატები. არახვეთელი ქვის მთლელის დახასიათებით „იქამდე რბი-  
ლია საკონის ქვა, რომა კვერი ილესება ზედა თლის დროსა, რო სცემ ილესება  
და არა ფუჭდება, როდისმე გვან მოცვდება მხოლოდ და კი არ დაიჟევება“.  
კონს სირბილის გამო აღვილად ეკიდება ხავსი, განსაკუთრებით „ჩირდილი“  
ადგილის ქონი ხავსიანდება, „მხვარე“ ადგილიდან მოჭრილი კონი წვიმის  
შემდეგ სინოტივეს არ ინარჩუნებს, აღრე შრება და ხავსიც არ ეკიდება.




სურ. 3

სათალი კონი ოთხგვარია: ლურჯი, ყვითელი, წითელი და შავი, არის კი-  
ლევ დასამუშავებლად—გასათლელად უვარგისი ჭადა, ბასრი და ჭაჭი კონი. ბას-  
რი კონი შეიძლება დატეხონ კვერით, მშრალი წყობის კედელში გამოსა-  
ყენებლად. ჭადა კონი რბილია და ფხნადი, ჭაჭი კონი კი დაჭიშულია (და-  
წივრეტილი). კარგი ხარისხის დაჭიშული კონი ხელსაფქავად, წისქვილად და  
ქვის საწმენდად <sup>1</sup> გამოიყენება.

<sup>1</sup> ქვის მთლელი იაგორ ბურდული ასე ახასიათებს ქვის საწმენდ კონს: „აეგ ნატეხი კონი  
რო მაქს ქვის საწმენდად, ეგ არი პირველი საწისქვილე ქვა, იმიტომა რომ რო გაილევა სხვა  
ამოცვივა და სუმუდამ მოკოდილია“.

სათალი კოხი დასამუშავებლად რბილი და კედელზე ასატანბლიმუტებული ქვაა სხვა ჯიშის ქვებთან შედარებით. ლურჯი, ყვითელი (|| თეთრი) და წითელი კოხი ქვის საბადო „საკოხეში“ მოიპოვება, რომელიც მღებარეობს ჯვრის გადასავალზე გუდაურის ჩრდილო-აღმოსავლეთით; საკოხის საზღვრებად ადგილობრივი მწყემსები სთვლიან: „გალმით ჩირდილი, მაღლა უკან კუდები, აღმოსავლეთით წითელი მთა და მუღურის ყელი და მერე ვაკე-ლელე“.



სურ. 4

ადგილობრივ ქვისმთლელთა დახსიათებით საკოხის ქვებიდან „წათე-ორო ლურჯი“ საუკეთესო ხარისხისაა, რომ გატეხავ, თითქოს ვერცხლის ნატეხები ურევია და სათლელადაც ადგილია; მთლიან ლურჯი კოხი ხავსს არ იყიდებს, მხოლოდ „უმაგრდება თლაში“, ძნელი სათლელია; წითელი ქვა ადგილი სათლელია, მაგრამ ხავსს იყიდებს; ასევე ყვითელი კოხიც.


წადისა და ცხავატის ქვის მთლელნი კოხის ქვას პირდაპირ საკოხეში სჭრიან და საჭირო ადგილზე „თუშებით“ (|| ქვის მარხილებით) ეზიდებიან, თავჭადის (|| წადის ხევის) მცხოვრები კი საკოხედან წყლის მიერ ჩამოტანილ ლოდებს „მირისეში“ პოულობენ და იქვე ამუშავებენ.

მთიულეთში საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე კარგი ხარისხის ქვის მეორე საბადო—„დიდველის ძირი“ ანუ „დიდველის პირი“ (იგივე „ქვეშითავი“). იგი სათალი კლდის ქვაა, მოყვითალო ფერის, ფიცხი, მაგარი, „საჯსრიანი“, „კულა-დაჭულა მიწყობილი“. მშენებლობისა და საფლავის ქვებისათვის „ქვეშითავის“



ქვა საუკეთესო ხარისხადაა მიჩნეული, რადგან იგი ხავს არ იყიდების შესაბამის გაცილებით ძნელი დასამუშავებელია, მას „მეტი ბრძოლა და მეტი სოლი უნდა“.

კლდეს გამოჩენა უნდა. ამგვარ მუშაობას „კლდის გახსნა“ ეწოდება, გამოჩენის შემდეგ იწყება კლდის მოჭრა, რასაც მთიულნი „კლდის დაშლას“ ან „კლდის გადმოვდებას“<sup>2</sup> უწოდებენ. კლდის დასაშლელად რკინის იარაღებს ხმარობენ, რომელთაც „კლდის საშლელი იარაღი“ ჰქვია. კლდის საშლელ იარაღს მუდლობით სახელგანაგენული უშარისენი ამხადებუნენ და ამჟამადაც ამზადებენ მლეფუარახევების ქვისმთლელებისათვის.



სურ. 5

კლდის საშლელი იარაღია: დიდი კვერი, ანუ ვარიოზი („ოცგირვანქიანი“), სოლაპირიანი კვერი, ბური სხვადასხვა სიგრძისა, სოლები, სოლის რკინები და კეტები, კვერი, პატარა კვერი და სხვ. კლდეში გამგზავრებისას იარაღებს გუდაში ჩატყობენ და ისე წაიღებენ. მთიულეთში ამჟამად კლდის საშლელი იარაღები ყველა რკინისა და სხვაგვარად გაჭრის წესის არსებობა არ დგინდება.

კლდის მოჭრისათვის „კლდეს მიუდეგბიან“, მაგრამ მას წინასწარი შერჩევა უნდა საგანგებო დაკვირვებით. ცუდად შერჩეული ქვა შეიძლება „გაიშალოს“, შრიანი ალმოჩნდეს და შერჩე დატყდეს; შეიძლება „ერთიანი კლდე“ შეხვდეს—უსახსრო და რამდენიც უნდა სცემოს დიდი კვერი, კლდე „ვერ დაძალოს“, ამიტომ კლდის ყოველი ძარღვი ფრთხილად უნდა გადაისინჯოს თვალით, იარაღის დარტყმის შედეგიდ გამოლებულ ხმანობას ყური დაუგდოს და წყლის დასხმით გამოაჩინოს ზოგი უჩინარი ხაზი.

არის დასამუშავებლად უვარგისი კლდეები: კუტი, ანუ მჯდომი, კლდე (II „ბითუნი კლდე“), სალი კლდე, ბასრი კლდე და საშალი კლდე, ამგვარი კლდე არ მოიჭრება. კუტი (მჯდომი) კლდე გადაერთებულია, „საქსარი“ არა აქვს და ვერ გაიჭრება. არეული კლდე—სხვადასხვა ჯიშის ქვა არის ერთ-

<sup>1</sup> მტბეთელი ქვის მოლეული ამ თვისებაზე იტევიან აზური ქვა“ არ არისო.

<sup>2</sup> საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კლდის დაშლის სხვაგვარი ხერხებიც დასტურდება, ხელუსნებს ცეცელის, წყლით გადელთილი ხის სოლებისა და ქვაჭრის დაშვარებითაც ხშირად ურღვევით ქვის საბადოები.



მანეთში არეული და „დატყდება“, არ გამოდგება. ბასრი კლდეჭურულა, ზეს ბური ვერ მოერევა, ვერ დაიბურება; სალი კლდე მაღალი, შემცირებული; შრიანი კლდეც შეიძლება კარგი ხარისხისა იყოს, მაგრამ პატარა ნაგრებად დაიწლება და არაფერში გამოდგება. საშალი კლდე მხოლოდ სიპებად შეიძლება ბიყაროს, მისი მოქრა არ შეიძლება.

კლდეს უნდა უპოვონ ძირი, ღრმადაა ჩაშეგბული სხვა კლდეში—ჩირ-ჭობილია თუ ზემოდან არის<sup>1</sup>. ქვის შეიძლება ჰქონდეს: საჯარი, შრე (|| ძარ-ლვი), მუწუკი, ჯავარი, მუჯრი. შირიმი, ქუმიშელა, შლე, ტვინი, გული, ფხა და სხვ. კლდის მერელმა უნდა გაითვალისწინოს, საბადოს მდებარეობა „ჩირდილია“ თუ „ჩევარე“, რადგან მზეარის ქვა სოუკეთესოა. უნდა შეაფასოს კლდე სალია თუ უვარევისი, თუ სალი კლდე არის, ფიცხია და მაგარი თუ რბალი და მსუბუქი. ამის მიხედვით იქნება კიდეც დამზადებული კლდის საჭრელი თუ საზიდი იარაღები.

ქვისმთლელთა განმარტებით: საჯარი კლდის „კულათაშორის“ არსებულ „გადახსნილ“ ოდვილს ეწოდება, „საჯაროთხ ერთმანეთზეა მიყუდებული კლდე-ები, მხოლოდ კლდე კლდეს არ არის გადაერთებული“. სათალი კლდე აუცილებლად სახსრიანი უნდა იყოს („სათალი ქვა ძულადაულა არი მიყუდებული საჯარი აქვ და ბითუნი ქვა გამბულია ერთოანაღა“). შრე კულად დაწყობილი კლდის ერთეულში არსებული ოდნავ შესამჩნევად ან მთლად შეუმჩნევლად დაყოლილი მიწის ზოლი არის „რაღაც მიზეზი აქვ, გახსნილივით არი, ზოგჯერ არ ჩას და მერე გამოჩნდება თლაში“ და მთლად გაიხსნება მიშერებე. ამიტომ ქვის შრიანობა-უშრეობას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი დაშუ-შავების დროს და კარგი ქვისმთლელი იშვიათად შეცლება. ნაჯლებ საშიში და ქვის მცირე არეზე მოქმედი ნაჯლი არის მუჯრი. მუჯრი მაგარი, კაფის ჯიშის, ხშირად მუშტის ოდენი ან მასზედ მცირე ქვის ნაშილია, სათალი კლდის ამა თუ იმ ადგილას ჩაყოლებული; მუჯრი თლის დროს კვერის ცემაში ამოვარდება და ამოღარული ბუდე დარჩება (მუჯრი თუ საჩენ ადგილზე არის, მას თაგვემარილოთი ამოგლესენ ხოლმე). მუჯრივით მაგარია კლდის შირიმი, რომელიც „თვალი და თვალია“ დაჩრდეტილივით და სშირად აქვს დატანებული სალ ქვას ამა თუ იმ ადგილას. შირიმიც ამოვარდება ხოლმე თლის დროს და ქვა ჩახინჯდება. ქვის აქვს ყაგრეთვე გულა<sup>2</sup>, რომელიც მრგვალია, კვეგრცხის მსგავსი და მაგარი, ზოგჯერ კი ქვის დაყოლილი აქვს „ცოცხალ ჭიათუათ“ რბილი და ფეხვილივით ფეხნაცი ნაშილი, რომელსაც ტვინი ეწოდება. ქვის აქვს აგრეთვე ფრა, რომელიც მას მჭრელობის თვისებას ანიჭებს. ფხიანობა მთიულეონის კოხის ზოგიერთი ჯიშის

<sup>1</sup> მცენეოლი ქვისმთლელების განმარტებით, კლდეს ძირზედ თირი უნდა ჰქონდეს, თირ-ზე დამზარი კლდე ადგილად გამოცურდება—ადგილი გადმოსალებია.

<sup>2</sup> შემოსაგან ნაგორებ დიდი ზომის, მრგვალი მოყვანილობის ქვის გულებს ხალხი შშირად შეცდომით ძველი დროის ადამიანთა ნახელავად მიიჩნევს და ქვის გულის ამოვარდის შემდევ კლდეებზე დარჩენილ ადგილებს კი დევის ნამუხლარებს უწოდებს.



ქვას ახასიათებს<sup>1</sup>. ქვისათვის სიმაგრის მიმცემი არის ჯავახისა და ლიც ხის ჯავარის მსგავსად ხვეულ ხაზებადაა ქვაზე განლაგებული<sup>2</sup>.

ქვის შერჩევის შემდეგ იწყება კლდის დაშლა, ანუ კლდის მოჭრა. საბადოს ძლებარეობის მიხედვით ამ პროცესს კლდის გადმოგდება და ქვის ამოღებაც ეწოდება. ძნელად მისადგომ კლდეში ქვის მჭრელებს ზოგჯერ საგანგებო კიბეების გამოკეთაც უხდებათ.

კლდის მოჭრა ხდება დასოლფითა და დაბურვით. „ქლდეს საბურავიდ რომ მიუღებიან“, პირველად „მწვეტი ქვერაით“ ამოსთხრიან ბურის პირის დასაქერს „ერთ გოჯს“, რომ „ბურმა დაიჭიროს პირი, ქანგა აღარ დაიწყოს იქი-აქა“. დაბურვა ხდება ორი კაცის მეშვეობით—ერთს ბური უჭირავს და მეორე კვერს სცემს. ბურის დამჭერი ბურს ატრიალებს ქვაში, ბური რომ ტრიალებს ნაბურალში ქვას ფშვნის და „ნაფქავი“ ჩნდება. ნაფქავის ამოწმენდა ხდება „კოვზის“ დახმარებით, ნაბურალში დაგროვილ ნაფქავზე წყალს ჩასხამენ „ნაფქავი აიზილება“ და კოვზით ადვილად ამოიცვეტება. ნაბურალის სიღრმე ქვის საღიდეზედ არის დამოკიდებული, თუ მოხერხებულადაა ქვა შეყვენებული, ორი სოლით გაიჭრება და ორი ნაბურალი დასჭირდება; თუ დიდია და 4—5 ნაბურალიც უნდა. ნაბურალები ზუსტად ერთ ხაზე უნდა იყოს განლაგებული, შიმშით გახაზავენ და ისე ამოჭრიან თითო მტკაველის დაშორებით („ბური მტკაველზე დავკრითო“, ისე ამბობენ). შემდეგ იმ ბურს ამოიღებენ და ნაბურალებში სოლს დაუშვებენ, ე. ი. „სოლს დაურიგებენ“. სოლს გვერდებზედ ე. წ. სოლის რკინებს დაატანენ, მათ შეა ჩაშვებულ სოლს „კვერს დაპრევენ“, სოლი და სოლის რკინები „მოეკიდება“ ნაბურალის პირში, გაიჭედება და რამდენიც მეტს დაპრევენ პეტრ სოლზედ, სოლი „ძალაობს“ და ქვას ხეთქავს. რაც უფრო მჭიდროდ არის სოლი ნაბურალში, მით მეტი ძალა აქვს.

როდესაც ბურითა და სოლით იჭრება კლდე, მაშინ ნაბურალი უფრო ღრმა არის სოლის სიგრძესთან შედარებით. კლდის მჭრელთა განმარტებით სოლი ნაბურალის პირში უნდა იყოს გაჭედილი, სოლის რკინებს შორის შოთავებული სოლი რკინებს აწვება, ამ უკანასკნელთ კი ქვის კედლებზედ მიაქვთ ძალა. საკონეში გაზომილი ნაბურალების სიგრძე 7—10 სმ სიღრმისა და 3—4 სმ სიგანისა იყო. შევეხვდა ლოდები ორიდან ექვსამდე ნაბურალით. „ნაბურალში რომ გასჭედენ სოლებს, მერე ერთი კაცი უნდა არტყამდეს გარიობის გარიგებით—ყველა სოლს თითოჯვერ, რომ ერთ-ნაირად გადასწიოს; თუ დიდი ქვაა, ორნი ჰქოვენ, ერთი იქიდან მაუღება, მეორე აქედან, ჯერ უნდა დავკრათ ცოტა-ცოტა რო გაიჭედოს, მემრე მაუძალე და გრიალს გადაიტანს. ისეთი სახალისოა გვიხარიდის ის ქვა, შე, შეაბ! ეგრე რამეს იზამს ქვა და სწორედ გასქდება, გული გალალდება“ (80 გ. გ. ჯალმაიძე, ქადა).

<sup>1</sup> ქვის ტიპისა და ფის შესახებ დაწვრილებით იხ. Автореферат диссертационной работы „Поточные мельницы Арагвского ущелья“, Тбилиси, 1950, გვ. 5.

<sup>2</sup> მცხოვრები ქვისმთლებრი ასეთ ქვას ხვეულ ქვას უწოდებენ.

ზოგჯერ სცოდნიათ გასაჭრელი ქვის „წევტი კვერით“ მთელს უგრძე-ზედ გაღარვა და შემდეგ მასში სოლის „ჩაკრევა“, სოლის რკინების საშუალებით, მაგრამ იდგილობრივი ქვისმთელები ამბობენ: „ამ ამოლარებასა დიდი ჯაფა უნდა და ისევ ნაბურალსა ვრჩეობთ, რო მშვიდად გრჩებით, ბევრი ჯაფა არ გვინდაო“. როდესაც სოლითა და ბურით ვერ მიუდგებიან კლდეს დასაშუალებად, მაშინ მას ანგრევენ. კლდის დანგრევას ასაფეთქებელი წიმლით აწარმოებენ. საგანგებოდ ამ საქმისათვის გამოჭრდილი „გრძელი ბურით“ კლდეს მეტრზე ან ნაკლებ სილრმეზე ამოხვერეტენ, ერთმერევედ სილრმეზე წამალს ჩაყრიან, ქაღალდშემოხვეულ წკეპლას დაატანენ, ირგვლივ დარჩენილ ადგილს მშრალი კლდის მიწით ამოავსებენ, წკეპლას ამოილებენ, წამალს ჩაყრიან, თავზე დადგებულ აბედს ცეცხლს წაუკიდებენ და გაეცლებიან. კლდის ასაფეთქებელი წამლის კუსტარული წესით დამზადებას გვარჯილა-გონირდისა და ხის ნახშირის ნარევისაგან მცხეთელი ქვის მთლელები ამჟამადაც კი მისდევენ, რადგან ქარხნული წესით დამზადებულ ასაფეთქებელ წამალს სიფიცხეს უჩივიან: „ქვას გვიფუშებოს“. გაჭრილ ქვას გაკოპიტება უნდა, გაკოპიტების დროს ქვას „მუჯრი“, ზედმეტი „მუშუკი“ ვარიოზით ჩამოეცლება, შემდეგ კვერით აიყრება „ვარი-ოზისაგან დაძრული გვერდები“ (ვარიოზი დიდი კვერია, დიდ კვერს ორი ხელით უნდა დაჭრა, კვერს კი ერთი ხელი უნდა ერეოდეს. „კვერს ერთი პირი კუთხიანი აქვს და ერთი პირი ხოლა“). შემდეგ კულმუქში გამოიყვანება ( ॥ წერაქვში). ამით მთავრდება გაკოპიტება.

ქვის დამუშავებას მთიულნი ოთხ საფეხურად ყოფენ: მოჭრა, გაკოპიტება, გაწმენდა და ამოლება. ეს პროცესი, საფლავის ქვის დამუშავების შემთხვევაში, შემდეგნარად ნაწილდება: თითო ქვას წადელი ოსტატი რვადლეს ანდომებს: მოჭრა და გაკოპიტება ოთხი დღე, გაწმენდა და ამოლებაც ოთხი დღე. მლეთე-არახვეთისა და ქვეშის ხელოსნები გაწმენდასა და ამოლებას მეტ დროს ანდომებენ (10 დღე) და მათი ნახელავიც გაცილებით მეტი ღირსებისაა. წელიწადის დროს მიხედვით მუშაობას ასე ანაწილებენ. მოჭრასა და გაკოპიტებას ზაფხულში ახდენენ, ხოლო მარხილებით სახლში მოტანილი გაკოპიტებული ქვების გაწმენდასა და ამოლებას ზამთარში დათბუნებულ ადგილზე. საერთოდ კი ქვის დამუშავება ზაფხულში სჯობს. გაყინული ქვა ძნელად ითლება.

გაკოპიტების პროცესში ქვას ეძლევა ესა თუ ის გარკვეული სახე, კოპიტიდან ითლება: ა) ნაგებობისათვის: ქვის ბოძი, ბოძის ქვა, კარისთავი ( ॥ თავჭუდი), სარკმლის თავი, კუთხი, კარის ამყოლი, ყრუ კედლის ქვა, ფაიის ქვა (ხშირად ცხოველთა—ლომი, ირემი, ყოჩი—ბარელიეფებით შემკული, ზოგჯერ კი ასტრალური გამოსახულებებითა და სხვადასხვა ორნამენტით მოჩუქურობებული), გონიოსა და ბედგონიში გათლილი ქვები. ბ) წყალგაყვანილობისათვის წყაროს კოშკები—ცადაქნილი ან ბანური სახურავით, წყაროს აუზად—მთლიანი ქვის ზოდისაგან გამოთლილი ქვის ფილები ( ॥ გუჯები), ან რკინის გამირებით გადასაბმელი საგამირე ამოჭრილი ქვის ნაჭრები. გ) საკულტო და-



ნიშნულებისათვის: მთლიანი მაღალი ქვის ჯვრები, ნიშიანი ქვის ჯვრები, ქვრებული ქვის ბარელიფები ცხვრის, ირმის, ლომის, ცხენის, გველების, იესო ქრისტეს, მზის, მთვარის და სხვა გამოსახულებებით. დ) სამეურნეო საჭიროებისათვის: სალეშები, ხელსაფქვევები, წისქვილები, წისქვილის თოლლ-კოჭები, ბანის საზეპი საგორიავები, ქვის სკამები. ე) მიცვალებულისათვის: სიპებისაგან შედგენილი ქვის კუბოები, სამარხი საკნების (|| იკლდამების) შიგნით ზედაქვეებად (|| რამდენიმე სართულად) დასაწყობი სიპის ბაქნები, მატურები, კუბოები (ჯვრიანი, გახედებული და სხვ.), დაბალი ქვები (|| საია), ქვის ბალი შები (|| შუთაქები) და ტახტები. ვ) ოჯახური საჭიროებისათვის: ნატეხარები (თითისტარებისათვის), გუგულის მძავები (აკვნის ბაგშვის მშეიღი ძილისათვის), ქვის საწონები და სხვ. ზ) იარაღებად: სალესავები, ქვის საწმენდი კოხები და სხვ.



სურ. 6


დამუშავების პროცესში ამა თუ იმ სახეობის გამოყვანის დროს ხდება გახაზება, გაჭუთხვა (|| გონიოში გამოყვანა), გაწარბევა, დაკავშევა, გაწმენდა, გაგლუვება, ამოთხრა, ამოღება.

ამოიღება: ქვის თავი, ფეხი, სარტყელი, მხარი, წარბი, ნაშიბური, კანჭი, ჟურგი, ძირი, ბოლო, კაპები, საფარიშე, საგამირე, ლარი, ფთები, ნავები;

გამოსახულებები: ცხოველების, იდამიანების, იარაღების, და სხვა მარტივი მოვალეობის; ორნამენტები: ბორჯლო, ბურთი, მზე, ქადა, მთორე, ფოთოლი, და სხვ.

გაწმენდისა, და ამოლებისათვის საჭირო იარაღებია: კვერი, წერაქვი ორპირი და ცალპირი (|| კულმუქი), წვეტი კვერი, პირიანი კვერი (|| ტარალი || საკოდელი, ცალპირი და ორპირი), სატეხი, ჩაქუჩი (ჩაქუჩი-კანჭმოპირული, ფხიანი), კალამი, ქვის საწმენდი კოხი ტარდაგებული (ქასრი), ქვის საწმენდი ტყვავი, ანდაზა, წინასაფენი, საოვალე და სხვ. (სურ. 6, 7).

ქვის გადატანისათვის იხმარება: ქვის მარხილი, თუში, ალახი, დაბალი ჭრები.



სურ. 7

ზემოდ ჩამოთვლილი ქვის დასამუშავებელი იარაღების ნაწილებისა და დაშუშავების პროცესების ცალკე საფეხურების შესასწავლად მრავალი დაწვრილებითი მასალა მთიულეთში შემონახული, რომლის შესახებ ამჯერად იღარ ვილაპარაკებთ.

ბოლოს უნდა იღინიშნოს, რომ მთიულეთში ქვის გათლის ქვის დაწერასაც უწოდებენ და საოალ ქვას—დასაწერ ქვადაც მოიხსენიებენ. მაგ., სოფ. წერეს



მცხ. 85 წ. ჯლუნა გიორგის ძე ნარაიძე ამბობს: „მშეადა ქვა ფარაონის სათალში—დასაწერ ქვაში და თეთრ ქვას არაუშავრა, ის რბილი გამოღის და დასაწერი კარგიაო“ არახვეოთელი ქვისმთლელის სიმონ სიმონის ძე ბურ-დულის თქმით: „[საფლავის ქვაზე] ზევიდან არის ჯვარი, ჯვარი გამოგვყავ, ჯვარი დაიწერებასწორი“. ზოგის თქმით „ჯვარი გაწერილია“ საფლავის ქვის ზურგზე. კადელი მეწისქვილის სიტყვით კი „წისქვილი დაწერილია“, რომ დაფქვა კარგად (სურ. 8).



სურ. 8

როგორც ჩანს, ქვის დაწერა ძველად ქვის გათლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამას ადასტურებს ქვის სათლელი იარალის სახელშოდებაც. საბა ორბელიანის განმარტებით: „წერაქვი—ესე არს ცალგნით სათხრელი აქუნდეს კლდეთა დასარღუებად, წილკატი არს ორგნითვე საკვეთი აქუნდეს ქუათა სა-თლელად“, ხოლო წალკატზე ამბობს:—ორწვეროსანი წერაქვი არისო (ლექს.)<sup>1</sup>. ქართულ ხალხურ მასალაშიც ქვის დასამუშავებელ იარალს წერა ქვი, წე-რეთი, წეროიანი ან წვერო ეწოდება. წერაქვითა და წალკატით მწვერავ (|| მოწვერვა || დაწვერა) ქვის მოხელეს იმერეთში გარკვეული პროფესი-ული სახელშოდებაც აქვს შემორჩენილი „მჯორლლავი“, რომლის საქმიანო-

<sup>1</sup> საერთოდ „წერ“ ძირის კვეთასთან კავშირი მრავალი სხვა ეთნოგრაფიული ფაქტი-თაც დასტურდება.

ბაში ბრტყელპირიანი საკოლეგით მოქმედება, ე. ი. წმინდად თლი, ალაო შედის. საფიქრებელია, რომ ქვის გათლის მნიშვნელობით მთიულეთში შემორჩენილი „ქვის დაწერაც“ ქვის დამუშავების აღრეული საფეხურის აღმნიშვნელი ტერმინია, იმ დროისა, როდესაც ბრტყელპირიანი რკინის საკოლეგით „წმინდად თლა“ ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული და წერაქვით დაწვერილ ქვის მხოლოდ ქვისავე ქასურით აქასურებდნენ, ანდა უმეტესად ისევე ტოვებდნენ.

ვ. ბარბარელიძე

შართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან  
 IV. ხარმოვნები

უკანასკნელი წლების მანძილზე ინტენსიური მუშაობა გაიშალა ქართული ხალხური სარწმუნოებისა და კერძოდ ხალხურ დღეობათა შესახებ მასალის შესაგროვებლად. ეთნოგრაფიული ფაქტების ფიქსაცია ხდებოდა უმთავრესად მთიყელ ქართველებში<sup>1</sup>—სისტემატურად, ხელბებისა და სოფლების მიხედვით და წინასწარ შემუშავებული გეგმითა და პროგრამით. ასე წარმოებული მუშაობის შედეგად დღეისათვის მოპოვებულია ხევსურული, ფშაური, თუშური, მთიულური, გუდამაყრული, სვანური, რაჭული, ლეჩებურული, იმერული წლიური (და აგრეთვე ავარლებში რუდიმენტების სახით შემორჩენილი) დღესასწაულებისა და სარწმუნოებრივი წესებით აღმერდილი დღეების ცოტად თუ ბევრად სრული იღწერილობანი<sup>2</sup>, რომლებიც ლიტერატურულ მონაცემებთან ერთად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენენ მეცნიერული კვლევა-ძებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ მასალის მეცნიერული დამუშავება შრავლისმეტყველი აღმოჩნდება როგორც ქართველების უძველესი სარწმუნოების ისტორიის შესწავლის საქმეში, ისე ამჟამად ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების წინაშე დამუშალი ეთნიკური გენეტიკისა და კულტურულ-ისტორიული საკითხების გასაშუქრებლად.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი იდეების, საზოგადოებრივი თეორიების, საზოგადოებრივი შეხედულებების წარმოშობის წყარო უნდა ვეძებოთ არა თვით იდეებში, თეორიებსა და შეხედულებებში, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებში და საზოგადოებრივ ყოფიერებაში, რომლის ასახვასაც ისინი წარმოადგენენ. თუ საზოგადოების ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მოცემულია სხვადასხვა საზოგადოებრივი იდეები, თეორიები, ეს აიხსნება არა იდეების ხასიათით, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში<sup>3</sup>.

ერთს ჩვენს აღრინდელ ნაშრომში იყო გარკვეული, რომ ქართულ ხალხურ ქრისტიანულ ბარბარეს ინსტიტუტში თავშეფარებულია ქართული

\* წაკითხულია მოხსენებად 1944 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფლების სხდომაზე.

<sup>1</sup> ხოლო უკანასკნელ ზუთშლებში საველ ეთნოგრაფიული მუშაობის ცენტრში ძარის საქართველოც მოწევა.

<sup>2</sup> ამას ერთვის უკანასკნელ ზუთშლებში ასევე ინტენსიურ-კომპლექსური მეთოდით ქართლსა და სამეგრელოში შეგროვებულ ანალიგიურ მასალათა აღწერილობანი.

<sup>3</sup> ი. სტალინი, ლენინისმის საკითხები, თბილისი, 1951, გვ. 683; ი. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1950, გვ. 3.



პანთეონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟის—მზის ლვთაების კულტია. რომელიც მთიანეთში შემონახული გაღმონაშებით მსხვილფეხა მესაქონლეობის მეურნეობას უკავშირდებოდა. მზე-ქალის, ქალ-ბარბარეს, ანუ ქალ-ბაბარის, სახელით ცნობილი მზის ლვთაება შინაური ცხოველების უზენაეს ბატონ-პატრონად ითვლებოდა, თუმცა, როგორც ქალური ნაყოფიერებისა და გამრავლების საშეიძის. პირველ რიგში მდედრობითი სქესის—ცხოველებიდან ძროხების, ხოლო ძალიანებიდან ქალების—მფრიველად და დამხმარედ იყო მიჩნეული. ამასთან ერთად დადგენილ იქნა მზისადმი განკუთვნილი დღეობები, რომლებსაც გაზაფხულისა და ზამთრის ე.წ. „ცეცხლის დღეობათ“ ქართულ ვარიანტებს შორის საპატიო ადგილი უნდა, სჭეროდათ, ლვთაების სახელობის სადღე-სასწაულო პროცესიები, შესაწირავი ცხოველები, საბორჯარი „ზედაშე“, „კულუხი“ და მისთ., სავალობელთა ფრაგმენტები და კულტის სხვა ნაირსახის ელემენტები. გამოაშეარავდა უძველესი დუალისტური კონცეფცია გარეშე ბუნებასა და ძალიანთა ცხოვრებაზე მნათობი ქალ-ლვთაების დადგებითი და უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, რომლის თავდაპირველ საფუძველს უკველია მზის ორგვარი—ა. როგორც სითბო-სინათლის წყაროსი და ბ. როგორც მწველი მნათობის—გამოვლინება შეადგენდა.

მეორე მხრით, გაირკვა, რომ მზე-ქალის ანუ მზე-ბარბარეს კულტი უკავშირდება წინა აზიის უძველეს ასტრალურ რელიგიებს. ხოლო ქართველების მზის ლვთაების სახელის შედარებამ მნათობთა ქართულ, სხვა კავკასიურ და სუმერულ სახელებთან ყველა ამ სახელისათვის საერთო ძირის არსებობა გამოავლინა და ამასთანავე ნათელი გახადა, რომ სიტყვა ბარბარე თავდაპირველად „მნათობთა-მნათობის“ აღმნიშვნელი ლვთაების ეპითეტი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

ასტრალური კულტების სპეციფიკურ თავისებურებათა ასეთი ერთგარობა და სოლარულ ლვთაებათა სახელების შეხვედრები როგორც ფორმალური მხრით, ისევე შინაარსით იმ რიგის მონაპოვრებია, რომლებიც გარკვეულ წვენებებს იძლევიან: ისინი ან წინა აზიის აღნიშნულ ხალხებთან ქართველთა წინაპრების მყიდრო და ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული კავშირის არსებობას მოწმობენ და ან ქართველ-კავკასიელთა და წინა აზიის უძველესი მოსახლეობის გენეტიკურ ნათესაობაზე უნდა მიუთითებდნენ.

სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში<sup>2</sup> ერთი მეორეს მიყვება სამი დღეობა<sup>3</sup>—ე.წ. აქნაშ (ფრ, ცხ, ლტ, ლჯ, მტ, კლ, იფ), || აქნაშ (მლ, უშგ) || აქნაშ

<sup>1</sup> ვ. ბარ დავითიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ლვთაება ბარბარ-ბაბარ), თბილისი, 1941; მისივე, სვანური საგალობელი „ბარბარ დღლაში“, „ენი-მეი-ეს“ მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 541—573. ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1946.

<sup>2</sup> ვ. ბარ დავითიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I. ახალწლის ციკლი, თბილისი, 1939, გვ. 21, 30.

<sup>3</sup> შემოკლებანი: ზსვ=ზემოსანური, ქსვ=ქვემოსანური, ბზ=ბალსხემოური, ბქვ=ბალსხემოური, ლტ=ლახამულური, ჩბ=ჩუბერევური, ფრ=ფარული, ეც=ეცერული, ცხ=ცხუმარული, ბჩ=ბეჩამური, ლტ=ლატალური, ლჯ=ლენჯერული, მტ=მესტიური, მლ=მუღასური, კლ=კალური, იფ=იფარული, უშგ=უშგულური, ლბ=ლაშხური, ჩლ=ჩოლურული, ლნ=ლნორებური.



(ქსვ) | ხანობ (ჩბ, ფრ), ჭიგდობ (ფრ, ცხ) || ჭიგთობ (ცც, ლჯ) ა ლიჭიგთობის შემდეგ მიშდვრობ. ეს დღეობები სვანების თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კარგა ხანია რაც გაქრობის გზას დადგომიან. დღეობა ხანობს ლახამულის და ბეჭრს მოსახლეობა უკვე აღარ იცნობს, ჩუბეხევში ძველი ტრადიციის მიმდევარნი ამ დღეს მხოლოდ უქმობენ, მაგრამ არსად ნაჩვენებ თემებში ღრმა მოხუცებსაც კი არ შერჩენიათ იმის სსოვნა, თუ რის გამო ან რა მიზნით სრულდებოდა ეს უქმე. რაც შეეხება ორ დანარჩენ დღეობას,—მათი დამოწმება რამდენიმე თემშიღა მოხერხდა: ჭიგდობისა—ჩუბეხევში, ფარში, ეცერში, ცხუმარსა და ლენჯერში, ჭიშდგრობისა კი—მხოლოდ ფარსა და მესტიაში. ზემო სვანეთის დანარჩენ თემებსა და ქვემო სვანეთში ამ დღეობათა კვალი სრულიად წარხოცილია.

სამივე ახალწლის ციკლის დღესასწაულთა რიცხვს განკუთვნებოდა. მათგან ხანობი უძრავი დღეობა იყო, რომელსაც ძველი სტილით 9 დეკემბერს იხდიდნენ, ჭიგდობი ეცერსა და ცხუმარში ხანობის წინადღეს, ჩუბეხევსა და ლენჯერში ხანობის მეორე დღეს, ხოლო ჭიშდგრობა მესტიაში ხანობის მეორე დღეს, ფარში კი ჭიგდობის წინადღეს მოღილდა. თარილის მხრივ ასეთ მციდრო კავშირთან ერთად, ერთნაირი იყო ამ დღეობათა ძირითადი რიტუალი, შესაწირავი ობიექტები, მათი შეწირვის მომენტები, წესი და, ბოლოს, სამივე დღეობა ერთი და იმავე უზნაესი არსების—მათის სახელზე სრულდებოდა. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება გვაფიქრებინებს, რომ ხანობი, ჭიგდობი და ჭიშდგრობი ძველად ერთი მთლიანი ხანგრძლივი დღესასწაულის სახით უნდა არსებულიყო.

სვანეთში ხანგრძლივი დღესასწაულები და მათში გაერთიანებული ცალკეული დღეები თავ-თავის სახელებს ატარებდნენ. ასე, მაგალითად:

ხანგრძლივი დღესასწაული:  
ზომხიერ

ლიფანშლი (ბქვ) || ლიფანშლი  
(ბბ) || ლიფანშლი (ლშ, ჩლ)

მასში შემავალი დღეები:

ზომხა (ბბ, ლშ, ჩლ) || კანდა (ბქვ) ||  
კალანდა (ლნ); ნანკ (მლ, იფ) || კუმთ (ლჯ, მტ, უშგ) || კვიმშტ (მლ, კლ) ||  
კვიმტობ (ლტ) || კვიმტრ (ლბ, ფრ, ეც, ცხ, ბჩ) || კვიმტრეშ (ჩბ).

ადგომ; განცელებ(ზსვ) || ლიცი ლიპრისდასლ(მლ); ლალხორიშლ (უშგ) ||  
ლალხორი საფრინ(იფ); სვალიტშლ (ლტ) || ლალხორი მიშლადელ (ლჯ, მტ, იფ); ჯედი ჰამ (ლბ) || ჯველი ჰამ (ფრ) || ჯოდი ჰამ (ჩბ, ეც, ცხ, ბჩ) ||  
ჯოდი ჰამ (ბბ, ლშ, ჩლ) || ლიპლომშლ (მლ, იფ).



ლიმპშრიელ (ბზ) || ლინედურსლ (ბქვ)

ლიმპშრი (ბზ) || „ჯგურგვი ჭარხლის მუსიკა  
(ლხ, ჩბ) || ხოშა ღერთემი ლალელ (ცხ);  
ლიმშრი (ბზ) || „მგხერი ლალელ (ლხ,  
ჩბ); გაბრელი ლალელ (ბქვ); კოსანდილ  
ლალელ (ლხ) || ხოჩა ჯგმშშ (ცხ); მა-  
ცხარი ლალელ (ბქვ), „ნეალმობ“ (ბქვ).  
თეთნე ფხუ (ეც, ცხ) || თეთნე ფხუ  
(მტ); ლილაობ (ეც, ცხ); ალბ ლალრსლ  
(მლ).

თანფიერ (|| თამფიერ)

თანაფ; ლიჯგრი დაშდიშ (მტ) || ლიჯ-  
გრელ (ცხ); თარი ჯგმშშ (ლტ) || ჭაბგობ  
(ცხ); ხარნენსგვ ცხშ (ცხ) || ხარვნენსგვ  
ცხშ (იფ); კაშიშობ (ზხვ).

უფლიშიერ (|| ხოშა თანფიერ)

უფლიშიერსამტინ (ეც, ცხ); უფლიშ; აებ-  
გრობ (ლხ) || მგხერიშ ლალელ (ცხ) || ხაც-  
ოობ (ეც); გულა თახშშ (ბქვ); გიმი ლიმ-  
ზირი ცხშ (იფ); ჭაშგშთობ (იფ)...

ამათ მსგავსად, ჩვენს ხანგრძლივ დღეობასაც საკუთარი სახელი რქმევია, რომელსაც ვნახულობთ ჩუბექევის ჰკეგდობის სახელწოდებაში: „აენშიერთ ჰკეგთობ“. აქ პირველი სიტყვის ფორმანტი -იერ ხანგრძლივ დღეობათა მაჩვე-  
ნებელია (შდრ: ზომხიერ, ლიმპარიელ, თანფიერ, უფლიშიერ), ხოლო ბო-  
ლოვიდური -ი ნათესაობითი ბრუნვის ნაწილაკი. როგორც ჩანს, დღეობის სა-  
ხელწოდების ჩუბექევურ ვარიანტში სიტყვით აენშიერ ხანგრძლივი დღესას-  
წაული ივარაუდება, ხოლო ჰკეგდობ-ით — ამ ხანგრძლივ დღესასწაულში შემა-  
ვალი დღე. ამგვარად, ახალწლის ციკლის დღეობები ჰანობ, ჰკეგდობ და ჭიშ-  
დგრობ ძველად წარმოადგენდნენ აენშიერ-ის სახელით ცნობილი ხანგრძლი-  
ვი დღესასწაულის დღეებს, რომლებიც საერთო რიტუალით და თაყვანის-  
ცემის ერთი და იმავე პერსონაჟით იყვნენ გაერთიანებული.

ჰკეგდობ || ჰკეგთობ და ლიჭიშდვები || ჭაშდგრობ სახელები სიტყვებიდან  
ჰკეგდ და ჰკეშდვები არიან ნაწარმოები. ჰკეგდს სეანები ფეტვის (და აგრეთვე  
სიმინდის) მჭადს უწოდებენ. სეანური ჭიშდვების ფეტვის (და აგრეთვე სი-  
მინდის) მჟადია, ოლონდ ყველში გადახელილი. მესამე დღეობის სახელწოდე-  
ბის ფორმა აჩნდა || აენშშ ლატალის თემის ერთ-ერთი სოფლის სახელს  
ემთხვევა და დღეობებში ასახული პერსონაჟის საკუთარი სახელიდან — აჩნ  
ნაწარმოები ჩანს.

დღეობის საერთო რელიგიური წესებისა და რიტუალურ საგნებზე მო-  
ნაცემების მოკლე შეჯამება ხანგრძლივი დღესასწაულის შემდევ სურათს იძ-  
ლება:

აენშიერს უქმობდნენ. ხალხში შემონახული გადმოცემების თანახმად  
უქმე დაწესებული იყო ფეტვის მოსავლის დასაბევებლად. დღეობისათვის სამ-  
ზალისი იწყებოდა ჯერ კიდევ შემოდგომის პირზე — ახალი მოსავლის აკრეფის-



ღრმს ფეტვის საკუეთესო მარცვლეულს გადაარჩევდნენ, დაფეხვავლენიშვნებია მარცვლეული განვითარებოდა. ამ მარაგს ფარგლები გვიზ, ანუ მარაგი გვიზ, ეწოდებოდა. კიდობანს დიასახლისი პირველად ენშიერს გახსნიდა, გვიზს ამოილებდა და მისგან შესაწირავებს დააწარებდა—ჰანობსა და ჭიკლობს მარტო ფეტვის, ხოლო ჭიშდვრობს ყველში გადაზიდილი ფეტვის ტაბლებს გამოაცხობდა ფეტვის მოსავლიანობისათვის<sup>1</sup>. უმრავლეს შემთხვევაში საღამოს, ვაშშის წინ სახლის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარტყელთან იმართებოდა მანის სახელშე ლოცვა-ვედრებისა და შეწირვის რიტუალი. ოჯახის უფროსი დაიჭირდა ხელში ფეტვის კვერებს, გააღიდებდა მანს და შესთხოვდა მას ფეტვის მოსავლის ბარაქას, ყოველთვის ფეტვის „დაჯვარება“ და სხვა მისთ. შემდეგ შეწირულ კვერებს დაანაწილებდა და მათ ოჯახის წევრებს დაურიგებდა.

ამ საერთო წესების გარდა, ხანგრძლივ დღესასწაულ ენშიერში შემავალ მანობ დღეს სპეციფიკური თავისებურებებიც ახასიათებდა. მანობს უქმობდნენ არა მხოლოდ ფეტვის მოსავლის დასაბევებლად, არამედ თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდაც. ამ დღეს ოჯახის ყველა წევრი, ბავშვებს გარდა, ზოგან მსხველფეხა საქონელიც, სხვაგან კი ოჯახის ერთი რომელიმე წევრი, რომელიც ზოგიერთ ოჯახებში თვალის ტკივილით დაავადებული პირი იყო, თავისი სურვილითა თუ მარჩიელის მითითებით ან ის პირები, რომლებსაც თვალთა სნეულებისაგან თავდაცვის მიზნით აღთქმა ჰქონდათ დადებული, დილიდან მზის ჩასვლამდე საჭმელ-სასმელს სომობდნენ. ამის შემდგომ დიასახლისი გვიზის ფეტვის ცომს მოზელავდა და ფეტვის მჭადებს გამოაცხობდა ზოგან დიდი რაოდენობით, ზოგან ოჯახის სულზე ორ-ორ ცალს, რომელთაგან ერთი განკუთხნილი იყო ფეტვის მოსავლისათვის და მეორე თვალის ტკივილის საწინააღმდეგოდ, და ზოგან კი ერთ დიდ ტაბლის—ფეტვის ბარაქისა და თვალის შუქის მატებისათვის. ამას გარდა, თვალით სნეული პირისათვის ცალკე ცხვებოდა ფეტვის სამი ტაბლა, რომლებსაც სანთელთან ერთად სწირავდნენ, და ცალკე ცხვებოდა მჭადები საჭმელ-სასმლის მთმობი საქონლის ბეღზე. ზოგან მხოლოდ სახლში, ზოგან კი სახლშიცა და ეკლესიის კარზეც ფეტვის ცომსა და გამომცხვარ ტაბლებს მანის სახელზე სწირავდნენ. იქ, საღაც ფეტვის ცომის შეწირვა იცოდნენ, აუფუუბელ ცომს ორად გაცყოფდნენ, ოჯახის უფროსი დაიჭირდა ხელში ერთ ნაწილს, აღიდებდა მან ლატალისას და შეეველრებოდა მას—ფეტვის მოსავლით გავეახარეთ. შემდეგ ამ შენაწირს პატარ-პატარა ნაჭრებათ დაგლევჯდა, ოჯახის წევრებს ჩამოურიგებდა და ისინიც თავის წილ ცომს შეეცემდნენ. ხოლო ცომის მეორე ნახევრიდან სულზე ორ-ორ ცალ ტაბლას გამოაცხობდნენ და ტაბლების საერთო რაოდენობიდან ნახევარს შესწირავდნენ მანს კვლავ ფეტვის კარგი მოსავლისათვის, მეორე ნახევრით კი მას ევედრებოდნენ—ჩენს იჯახში მყოფ ადამიანს ააცილე შენგან წარმოგზავნილი ჭირი, გააქრე ჩენს სახლში მყოფი

<sup>1</sup> გვიზის შესახებ იხ. В. В. Бардавелиძე, Земельные владения древнегрузинских святыни, Советская Этнография, № 1, 1949, 105—106, 108.



ადამიანის თვალთა ტკივილი, ქვემოთ წყალს მიეცი, ზემოთ ქარსში ჭარხულად დოდ, ანობ დღეს ტაბლების შეწირებისას დანს ადიდებლენენ და შესთხოვდნენ: შეწევნას, დღეობის კარგ გულზე მოსწრებას, კაცის სულადობის სიმრავლესა და მშეიღობას, ფეტვის მოსავლის მინიჭებას, ყოველთვის ფეტვისა და აგრეთვე ლოცვის „დაჯვარვას“, თვალისა და გულის სიმხიარულეს, თვალთა სწეულებისაგან განკურნებას, ჭირის აცილებას და სხვა მისთ.

სამივე დღეობისათვის საერთო მხარეები: დაუქმება ფეტვის მოსავლის დაბევების მიზნით, დღეობისათვის ფეტვის საუკეთესო მარცვლეულის გადარჩევა და ე. წ. ფართვა გვიზის დამზადება, შესაწირავი ფეტვის ცომი, რიტუალური ფეტვის ტაბლები, შეწირვა და ლოცვა-გედღება ფეტვის მოსავლისათვის და ბარაქიანობისათვის და, ბოლოს, დღეობების სახელწოდებანი ჰქედობდა ჭიშლეგრობ, რომლებიც „მჭადობას“, ანუ „ფეტვისკვერობას“, აღნიშნავნ, — ეს ფაქტები ცხადყოფენ, რომ ენშიერი ფეტვის კულტურასთან იყო დაკავშირებული და ამ მარცვლოვანის კულტურასახი იყრებდა.

1944 წლის ზაფხულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სვანეთის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს ჩვენ მოვიპოვეთ ფეტვის კულტის ნივთიერი გამოსახულებაც — ფეტვის თავთავის გამომხატველი რიტუალური კედრი ფეტვა შდა (იხ. ნახატი), რომელსაც სვანები დღეობა ლილაშუნებს აცხობდნენ (და რომლის ერთი ეგზემპლარი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების კოლექციათა ფონდში შევიდა — იხ. კოლ. № 22—44/13).

ფეტვის კულტი სვანებში უმცირლია ორქაული დროიდან მომდინარეობს, რამდენადაც თვით ამ მარცვლოვანის კულტურის წარმოშობა უაღრესად ძველი ჩანს. სვანების მეურნობაში ფეტვს დღესაც განსაკუთრებული იღვილი უჭირავს. მას დაკისრებული აქვს საპატიო როლი მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მეურნე სვანმა კარგად იცის, რომ ფეტვს დამწიფებისათვის მცირე დრო სჭირდება და ფეტვის ვეგეტაციის ხანას ჯეროვნად იყენებს. როდესაც ის ყამირზე პირველ წელიწადს დათესავს საშემოდგომო პურს — მეორე წელიწადს მასზე ქერს, მესამე წელიწადს საგაზაფხულო პურს ან შვრიას და მეოთხე წელიწადს ფეტვს თესავს. ფეტვის დათესვის ძირითადი მიზანია საყანე მიწა სარეველა ბალახის გადახდა და შემდეგნაირად ხერხდება. პურისა და ქერის ყანაში ჩვეულებრივად სარეველა ბალახი მრავლად გრცელდება. მათგან გაწმენდის საშუალებას ფეტვის ყანა იძლევა. ვეგეტაციის მოკლე ხანის გამო ფეტვი გვიან ითესება — მაისის ბოლოში, როდესაც წინა პურისა და ქერის ყანად გამოყენებულ მიწაზე სარეველა ბალახი უკვე ამოსულია. ამ დროს სვანი მოხნავს ამ საყანეს და მაშინ მო-





ზნულ საყანეში ადვილად ისპობა სარეველა ბალახი ძირებითურთვების გადასაცემა  
ზადებულ საყანეში დათვისილი ფეტვი ადვილად იმარგლება და მასში ჯერ  
კიდევ დარჩენილი სარეველა ბალახი საგანგებო სამარგვლელი იარაღის (რო-  
მელსაც სეანურად წარ ეწოდება) შემწეობით საბოლოოდ ისპობა. სოფლის  
მეურნეობაში ფეტვის გამოყენების ამგვარი წესი ამ მარცვლოვანი კულტუ-  
რის სიძველის მაუწყებელია<sup>1</sup>. ძველი ისტორიული წყაროების შესწავლის საფუძ-  
ველზე აკად. ივ. ჯავახიშვილს<sup>2</sup> ფეტვის კულტურა ქართველი ტომების  
უძველეს მონაპოვრად მიაჩნია. ამ აზრს ადასტურებს არქეოლოგიური მონა-  
ცემიც—ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე, ანაკლიის ე. წ. „დიხა გუძუბას“  
გათხრის დროს აღმოჩენილი ფეტვი<sup>3</sup>. ეს მარცვლოვანი სხვა მცენარეებთან  
ერთად ნაპოვნია განათხარის ქვედა კულტურულ ფენაში, რომელიც დაახლო-  
ვებით ნეოლითის ბოლო ხანით თარიღდება<sup>4</sup>.

მრავალ ჩევნებას, რომელიც იღმოსავლეთის ნახევარსფეროს სხვა-  
დასხვა ადგილებიდანაა მოპოვებული, იმ აზრამდე მივყევართ, რომ პირველი  
მარცვლოვანი, რომლის კულტივაციაც ადამიანმა მოახდინა, ფეტვი იყო.  
ახალი ქვის ხანაში, ალნიშნავენ მკვლევარები, ჩინეთის მოსახლეობის მთა-  
ვარ საკვებს ფეტვი (*Panicum miliaceum*) შეაღვენდა, მაგრამ იგი აღმოსა-  
ვლეთ აზიისათვის ადგილობრივი მცენარე არ იყო და ჩინეთში მან კულტუ-  
რული გავრცელების შედეგად ინდოეთიდან ან ინდოეთზე გავლით მიაღწია<sup>5</sup>.  
კაცობრიობის ისტორიაში რომ ფეტვი ღრმად იჭრება, ეს ამჟამად არაესი  
საეჭვოდ არ მიაჩნია. ძველ მესოპოტამიაში, ძველ ეგვიპტეში, ძველ ჩინეთში  
და ხიმინჯებიან ნაგებობათა ხანაში ფეტვი ეჭვმიუტანლად გვხვდება<sup>6</sup>. ვერო-  
დოტეს<sup>7</sup> მითითებით ფეტვი მიწათმოქმედ სკვითებსაც მოპყავდათ. ჩიგი  
მეცნიერები ფეტვის თოხის კულტურის ხანას მიაკუთვნებს<sup>8</sup>. დღესაც აფრიკაში  
ფეტვის საყანეს დასამუშავებელ იარაღიდ მხოლოდ თოხია გამოყენებული და  
არა სახვნელი.

დენზიერში თაყვანისცემის ცენტრალურ ფიგურად დანი ისახება. დიდები-  
თა და თხოვნა-ვედრებით დანს მიმართავენ და შესაწირავებს მას მიუძღვ-  
ნიან. დღეობასთან დაკავშირებული ხალის რწმენისა და ლოცვა-ვედრების

<sup>1</sup> გ. ჩიტაი, 1944 წლის სეანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიური.

<sup>2</sup> საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I<sup>2</sup>, ტუ., 1930, გვ. 322, 364.

<sup>3</sup> В. Л. Менабде, Ботанико-систематические данные о хлебных злаках древней Колхида, Сообщ. Груз. фил. АН СССР, ч. I, № 9, 1940, გვ. 683—684; ნინო ხოჭარია, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 208, 210.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> C. W. Bishop, The beginnings of civilization in Eastern Asia, Smithsonian Report for 1940, Washington, 434; П. Жуковский, Культурные растения и их сородичи, Москва, 1950, გვ. 148.

<sup>6</sup> Der Mensch aller Zeiten, B. III, I, Die menschliche Wirtschaft. Regensb. 1924,  
552-553.

<sup>7</sup> IV, 17.

<sup>8</sup> E. Hahn, Die Getreidenahrung im Wandel der Zeiten, Berlin, 1916.



შინაარსის თანახმადაც ფეტვით მოსახსენებელი და ფეტვით საჭიროებული ხანია („ფეტვებზე ლალშვერ ხი“), ფეტვი მის გვიზს შეადგენს („სი ჯევშერალდ ისგვა გვიშს“), ფეტვის ქოსავალს ხანი იძლევა („ფეტვ მასპრდ ანიკლ“... „ჯაბიცდ, ერე ხოჩა ზე პნიდ ფეტვიშ“, „ფეტვ მაჯპდ ანჯიდ“) და ფეტვს ხანი მფარველობს. ამავე დროს მას შეუძლია ამ მარცვლოვანის „მაგნე რაიმე ჰქინას“ („ფეტვებ მავინ ნოსა ახსყა“) და ამით ხალხს ფეტვის მოსავალი წაუხდინოს. ეს ფაქტები ლაპარაკობენ იმას, რომ ფეტვის უდიდეს ბატონ-პატირონად და მფარველ ღვთაებად ხანი ითვლებოდა. ამასე იუწყებოდნენ ზემო სვანეთში მოხუცები, რომლებთანაც ამ რამოდენიმე წლის წინათ ხალხურ დღეობათა კალენდრის მასალებს ვაგროვებდი.

სადიდებელ-საველრებლებში ხანი იხსნიება როგორც ‘ბატონი’ ანუ ‘უფალი’ („ეპნ ფუსდ“), ‘მადლიანი’ („ეპნ მშლდინ“), ‘ზეამაღლებული’ („უიბე ლექლათხე“) და ‘ხანი ზეცის’ („ეპნ დეცშ“). უნდა ითქვას, რომ სვანების წარმართულ რელიგიაში მრავალი ღვთაება მოიხსენიებოდა როგორც ‘ცის’ ღმერთი, ‘ზეამაღლებული’. ამ ეპითეტების მეცნიერული ღირებულება უმთავრესად იმით განისაზღვრება, რომ ისინი გარკვეულ ღვთაებათა ზეციურობის, ე. ი. ასტრიალური ხასიათის, მაჩვენებლები არიან. მათი მიხედვით ხანიც ასტრიალური ხასიათის ღვთაებად გვევლინება.

ციური სამყაროს ღვთაებათა საკრებულოში ხანის გამოსარჩევად და მისი სპეციფიკური ბუნებისა და რობის გასარკვევად ჩვენ მოგვიპოვება ორი რიგის ფაქტები, რომელთაგან ერთს ხანგრძლივი დღესასწაული შეიცავს და მეორეს დღეობა ხანობა იძლევა.

I. ხანის კულტი ტრადიციულ ოჯახებში აუცილებლად სალამოს სრულდებოდა. როგორც ვიცით, დღეობა ხანობს საჭმელ-სასმლის თმობის ვადა მკეთრად იყო განსაზღვრული—ამ წესს დილიდან მზის ჩასვლამდე იცავდნენ, მზის ჩასვლის შემდეგ კი საღვთისმასაურო რიტუალს ჩატარებდნენ და პირს აიხსნიდნენ. დღესასწაულის დანარჩენ დღეებშიც ჩვეულებრივიდ საღამოს, ვახშმის წინ ხანის ხახელზე ფეტვის კვერებს შესწირავდნენ, მის სადიდებელ-საველრებლებს წარმოსთვევამდნენ და შენაწირს შექმენებდნენ. ისეთ ოჯახებშიც კი, საღაც ჟენზიერის ეს ჩვეულება შერყეული იყო და აღნიშნულ რიტუალს დღისით ატარებდნენ,—თუ ამგვარ ოჯახში თვალის ტკივილით იყო ვინმე დაგვადებული (ზოგან კი ამის გარეშეც), იქ ფეტვის ტაბლებს საღამოსაც გამოაცხობდნენ და სათანადო ლოცვა-ველრებით ხანს შინდღვნიდნენ<sup>1</sup>. ხანის მსახურება და თაყვანისცემა საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, მიუთითებს იმაზე, რომ ეს ციური არსება ღამის ბატონი უნდა ყოფილიყო.

II. ღვთაება ხანსა და მის სახელობის დღეობა ხანობს მოსახლეობა მჭიდროდ უკავშირებდა თვალისჩინსა (მხედველობას) და თვალის სწეულებას. როგორც დღეობის წესებმა და ხალხში დაცულმა გადმოცემებმა გვიჩვენეს, ხანობს უქმობა დაწესებული იყო არა მხოლოდ ფეტვის მოსავლის

<sup>1</sup> გ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი I, 23 ლკ, 15 ივ.

დასაბევებლად, არამედ თვალის ტკიფილის საჭინააღმდეგოდაც. ამას გარდა, სვანები ჯან წინასწარ აღუთქვამდნენ მის სახელობის დღეობაზე დილიდან საღმომდე საჭმელ-სასმლის თმობას, ოღონდ ღვთაების ისინი თვალის ტკიფილისაგან დაეცვა, და ამ აღთქმას ასრულებდნენ. ხანობს საჭმელ-სასმელს სთმობდნენ აღუთქმელადც—თვალის სნეულებით შეპყრობილი პირები, ზოგან ცალკეული საღრ ადამიანები, ზოგან ოჯახის ყველა წევრი, ბავშვებს გაროდა, და ზოგან კი მსხვილფეხა საქონელსაც აშიმშილებდნენ და საღმომდე წყალს არ ასმევდნენ. თვალის ტკიფილით შეპყრობილი პირები ამ წესს ასრულებდნენ ან მარჩიელის მითითებით და ან თავისი ნებით—გულდაჯერებული იმაში, რომ სნეულებისაგან განიკურნებოდნენ. უკველია, თვალის სნეულებისგან თავის დაზღვევასა და თვალთა შუქის გაძლიერების ემსახურებოდა ამ წესის შესრულება სხვა პირების მიერაც. ამ მიზნითვე ხდებოდა რიტუალური ტაბლების გამოცხობა საღი აღამიანებისა და საქონლის ბედზე, ხოლო თვალის ტკიფილით დასნეულებულთათვის— მათი განკურნების იმედით. დაბოლოს, ამ ტაბლებს ჯან სწირავდნენ შეტად მანიშნებელი შინაარსის ლოცვა-ევდრებით— შენგან წარმოგზავნილი ჭირი აგვაცილება, თვალის ტკიფილისაგან დაგვიცავი და თვალისა და გულის სიმხარულე მოგვანიშეო. ამ მონაცემებში ჯანი ისახება როგორც თვალის ტკიფილისაგან დამცველ-მურნალი და თვალის სინათლისა და გულის სიხარულის მიმნიჭებელი ღვთაება.

ამ ფუნქციით ჯანი უდიდეს მნათობს მზის ქალ-ღვთაებას ბარბარეს ანუ ქალბაბარს ხვდება. მზის ღვთაებაც, სვანების რწმენით, ხალხსა და საქონელს თვალის სინათლეს ანიჭებდა, თვალის ტკიფილისაგან იცავდა და ჰკურნაგდა და ამავე დროს სნეულების გამჩენიც თვით ის იყო<sup>1</sup>.

ჯანისა და ქალბაბარის ფუნქციების დამთხვევა იმით უნდა აისხებოდეს, რომ ორივე ღვთაება ციურ მნათობთა განსახიერებებს წარმოადგენდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ მზე, რომელიც ღვთაება ქალბაბარში იყო განსახიერებული, გარეგანი მოყვანილობით (სიმრგვლე) და შუქის გამოკრთობის, განათების, ბრწყინვალების თვისებებით, ე. ი. ამ მნათობის (და სავსე მთვარის) ყველაზე თვალსაჩინო ნიშანდობლივი მხარეებით, თვალთან შედარებული და დამსგავსებული იყო. ამავე დროს მზის თვისებების ორგარი— გათბობა-განათებისა და, მეორე მხრივ, წვა-ხრუკვის—გამოვლინების საფუძველზე შემუშავდა დუალისტური კონცეფცია, საღაც მნათობისა და თვალის ურთიერთმიმართების საკითხიც მკეთრ იდეებად ჩამოყალიბდა: მზე, როგორც სინათლის წყარო, თვალის შუქის გამჩენია და, მეორე მხრივ, იგივე მზე, ოღონდ პაპანაქება, მწველი მზე თავისი სხივებით ცეცხლის ალიგით ედება თვალებს, აზანებს, ასნეულებს, აქსობს<sup>2</sup>. ამ იდეებს მზის ფუნქციის ხასიათი, ბუნებრივია, უფრო მეტად იმ ხანიდან უნდა მინიჭებოდა, როდესაც ქალბაბარი უკვე ანთროპომორფულ ღვთაებად ჰყავდათ წარმოადგენილი.

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება-ბარბარ-ბაბარ), გვ. 46, 49.

<sup>2</sup> დას. ნაშრ., გვ. 54—59 შმდ.



საფიქრებელია, რომ ჩანის ფუნქციაც ანალოგიური წარმატებისთვის, ოღონდ აქ ჩანის მჭიდრო კავშირი უნდა იყარაუდებოდეს მთვარესთან. ზემოთ — ნაჩვენები ფაქტების მიხედვით ჩანი ღამის ღვთაებად წარმოისახა. ხოლო ღამის ციური ქმნილებებიდან ძველ კულტურულ ხალხთა სარწმუნოებაში მთვარე იყო თვალით შედარებული და დამსგავსებული<sup>1</sup>. ქართველებში მთვარის თვალთან და თვაჭისისინთან კავშირს ენობრივ მასალებზე ლინგვისტები არკვევდნენ.

ქართველი ტომების, მათ შორის ჩევნოვის ამეაბად პირველ რიგში საყურადღებო სვანების, წარმართულ რელიგიაში დუალისტური კონცეფცია, მზის ღვთაების გარდა, სათაყვანებელ ღამის დიდ მნათობზეც აჩვებოდა. უნდა აღინიშვნოს, რომ სვანებში მთვარის კულტი სულ უკანასკნელ დრომდე შემოინახა. ამ წამდენიმე წლის წინათ კიდევ გაიგონებდით სვანის ნათქვამს: აღამიანის ხე და კარგი მთვარიანს არისო („ამსვალდებული ხოლო ი ხოჩა დოშდულშვ ესერ ლი“), კარგ მთვარიანს ფეხი სიკეთისაკენ უდგასო („ხოჩა დოშდვლებში ჭიშხ ხოჩამთხესერ ხოგ“), მთვარის გარდა ყველაფერი ფუჭი ყოფილა („დოშდულგნეა მშგ ღალ ცვიდ ესერ ლგმბრ“), მთვარის გარეშე არაფერი არ იქნებათ (სიტყვა-სიტყვით: უმთვაროდ ნუ ვისს რა სჯერაო, — „დოშდულურ ნბსოლღ მშ ხაჯრავა“, მთვარის იმედი გქონდესო (სიტყვა-სიტყვით: მთვარესამც დაეიმედეო — „დოშდულს ესეროლვ ესმედან“) და სხვა მისთ. დანარჩენი ქართველი ტომების მსგავსად, სვანები „ბედნიერსა“, ანუ „კარგს“, და „უბედურს“, ანუ „ცუდ“, მთვარეს არჩევდნენ. ქალს რომ ბავშვი დაებადებოდა, მას (ბავშვს) დაღლუავდნენ — კარგი მთვარისა იყავიო („ხოჩა ესერ დოშდვლებ-შოლვ ლი“), შენი მთვარით გახარებულიყოს შენი დედ-მამაო („მიჩა დოშდულშვ ესეროლვ ლობიდელიხ მიჩა დი ი მუ“); ხოლო ბავშვის მშობლებს უფნებოდნენ — დაბადების გამჩენს (ეს ბავშვი) ბედნიერი მთვარისა გაეხადოს („დპბ-დპბიშ მგწსა, ბედნიერ ესეროლვ დოშდვლებშ ხოჩემინა“). ქორწილის ღამეს ნეფე-დედოფლის დალოცვის ჩვეულებრივი ფორმულა იყო: აღამიანის გამჩენს ბედნიერ მთვარეზე ვინც შეეყაროს, (იმ პირებად) თავად თქვენ გაეხადოთო („ამსოლდებულ მგწსა ბედნიერ დოშდულები ერვე ესერ ხოთხანენს, თხუმდ მინ ესეროლვ ხოჩემინა“). ახლად ჯვარდაწერილებს ულოცვავდნენ — ბედნიერ მთვარეზე ყოფილიყოს თქვენი შეერთო („ბედნიერ ლგმბრ დოშდულები ესეროლვ ათმარჯვას ლითხალ“). როდესაც ქალი კარგ კაცს მისთხოვდებოდა და კარგ ოჯახში შევიდოდა, მეზობლები იტყოდნენ — ბედნიერი მთვარისა ყოფილხარ, ისეთი ბედ-იღბალი მოვცემია („ბედნიერ ესერ დოშდვლებშ ლგმბრ, ეჯგბრ ესერ ლიორდე-ბედ ლაპოდენა“), კარგი მთვარისას ღმერთი და კაცი — ყველა სიკეთისაკენ წარმართიასო („ხოჩა ესერ დოშდვლებშ ლერმეთ ი მპრე — მშგ, ხოჩმდე ხომწვინე“). ხოლო, როცა ახლად გათხოვილ ქალს ქმარს უშუნებდნენ, მას ეტყოდნენ — დახრაკული მთვარისავ, რა ცუდ აღამიანზე გათხოვილხარო (სიტყვა-სიტყვით: დახრაკული შენი მთვარე! რა ცუდ აღამიანზე გათხოვილხარო — „ლგუბესერ მიჩა დოშდულ! მშ ხოლო მარათე როქვ ლწვილელი“). გულმოსული ქალი პატარძალს დასწევვლიდა — დამწვარ-დახრაკულ

<sup>1</sup> W. H. Roscher, Ausführl. Lexikon der griech. und röm. Mythologie, II, Mondgöttin.

მთვარეზე შემოგედგას ფეხი სამამამთილოშით („ლგშიხ-ლგუჩ დოშდულუსიამუხა“ როდე თხგა ჭიშ ლაშთილთელისგა“). მკვდარ შეიძლება დედა მოსთქვამდა— ქალებო, ჩემისთანა საბრალო მთვარისა ვინმე-სადმე იქნება?! („ლექრი დოშდ- ვლაშ, ხეგვარ, მიჩეშზ ირდი ესერ იმეგა“?!), დელილა, არ გეცოდება დედა შენი ცუდი მთვარისა („დიაჯო, მოღმ’ ესერ ხოერთა ხოლო დოშდვლაშ მიჩა დია“) და სხვა მისთ.

დუალისტური კონცეფცია „ბედნიერი“ ანუ „კარგი“ და „უბედური“ ანუ „ცუდი“ მთვარის შესახებ ამ მნათობის განახლებასთან, დალევასთან, საზოგადოდ მისი ფაზების ცვლასთან დაკავშირებით იყო შემუშავებული. „კარგსა“ და „ცუდ“ მთვარეს სვანები ამ მნათობის ფაზების მიხედვით არჩევდნენ და თავის სამეურნეო და სხვაგვარ საყოფაცხოვრებო საქმეებს მათთან შეფარდებით აწესრიგებდნენ. ზოგადად ახალი მთვარე „კარგ“, ხოლო ძველი მთვარე „ცუდ“ მნათობად ითვლებოდა. ახალ მთვარეზე ალმოცენებული პურეული, ნამატი საქონელი თუ სხვა რამ, ხალხის რწმენით, სწრაფად იზრდებოდა და ამასთანავე, მაგალითად, გოჭები მცყვირალა, საქონელი ფხიზელი გამოდიოდა. სამაგიეროდ ძველ მთვარეზე, განსაკუთრებით თვრამეტიდან ოცდასუთი დღის მთვარემდე, დაწყებული საქმე ნაკლულებანი და უბარაქო იყო. სვანს რომ ეფიქრა კიდეც ამ დღეების ნახელარიდან რაიმემ ეგების იხილოსო, ის მაიც დარწმუნებული იყო იმში, რომ მიღებული პროდუქტი სწრაფად დაელეოდა და გაუქრებოდა. ამის გარდა, „კარგი“ და „ცუდი“ მთვარე ამ მნათობის დღეების მიხედვით გაირჩოდა. „მეტად კარგი“ და „ბეღნიერი“ იყო ერთი, სამი და ხუთი დღის მთვარე. ექვსდღიანსაც არაუშავდა-რა, მაგრამ მას სიფიცხე ახასიათებდა და ამიტომ მნათობის ამ დღეებში მოსახლე სახლიდან არას გაიტანდა და არაფერს გაანათხოვრებდა. მიწის მეურნე ხვნა-თესვის რვა-ცხრა დღის მთვარეზე იწყებდა—ჯეჯილის ამოსვლისათვის კარგია. რვა-ცხრა დღის მთვარე, მისი აზრით, მსუბუქი იყო და მცენარის ზრდას ხელს უწყობდა. ამ დღეების მთვარე კარგი იყო ბავშვების ზრდისთვისაც. საერთოდ, იგი ყველაფრის ზრდასა და მატებას იწვევდა, ადამიანთათვის უარყოფითი მოვლენებისასც კი. ამიტომ ახალი მისაცვლით დატვირთულ კილობნებს მთვარის ამ დღეებში არავითარ შემთხვევებში პირველად არ გახსნიდნენ და ახალი მოსავლის ხშარებას არ დაიწყებ დნენ—დანაკლისი სწრაფად გაიზრდება და მარაგი მალე დაგველევოთ.

ახალი მოსავლის თვის ხარჯვის შეუდგებოდნენ და ხორბლის, ქერის და სხვა მარცვლეულისა და ფქვილის საცავ კიდობნებს პირველად გახსნიდნენ ათი ან თხუთმეტი დღის მთვარეზე, რადგან ამ მთვარეზე დაწყებული საქმე, სვანების ღრმა რწმენით, არც იზრდებოდა და არც კლებულობდა. ასევე სავსე მთვარეზე იცოდნენ სათანადო პურპელში მარცვლეულ ფქვილეულისა და თხიერის მოთავსება—ეს პურპელი დიდხანს სავსე იქნებაო. ხალხის ფიქრით, ათიდან თხუთმეტი რიცხვის მთვარის დღეებში გამოიტებული საქმე ისეთივე სრული და სავსე იქნებოდა, როგორიც ამ დროის მთვარე იყო. თხუთმეტი დღის მთვარის შემდეგ არც საშენ და არც სა-



ჭვავ მასალად ტყეში ხეს არ მოსცრიდნენ—გამძლეობა არა აქვსო. უკანას უკუთრებით „ცუდ“ მნათობად შვიდისა და ოცდაოთხი დღის მთვარე ითვლებოდა. უკანას კნელ მთვარეზე მოწეული პურეფლი სასიკეთო არ იყო და ამ დროს დაბადებული საქონელი არ გაიზრდებოდა. ამიტომ ამ საქონელს სვანები დაუზოგავად და უდროოდ დაჰკლივებულნენ ხოლმე. „ცუდ“ მთვარეზე დაბადებულ ადამიანსაც კი ავი ზე გამოყვებოდა.

საზოგადოდ, თუ რამ მარცხს განიცლიდა სვანი რომელიმე საქმის ჭამოწყებაში, თუ მას დაკალდებოდა რაიმე—„ცუდი“ მთვარის ბრალი იყო. ოჯახის გაჭირვების, არევ-დარევისა ან, პირიქით, მისი დოვლათიანობისა და შვიდობიანობის მიზეზიც „ცუდი“ და „კარგი“ მთვარე იყო. მონაცირე სანადიროდ „კარგ“ მთვარეზე ჭავიდოდა. სამგზავროდ სვანი „კარგ“ მთვარეს შეარჩევდა. საქონლის დაკოდვა, არაყის გამოხდა, სახლის საძირკვლის ჩაყრა, ქორწილის გადახდა და სხვა ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება „კარგ“ მთვარეზე ხდებოდა. ერთი სიტყვით, მთვარესთან დაკავშირებული და მთვარეზე დამოკიდებული იყო მცენარეებისა და ცხრველების ზრდაც, აგრარული და სხვა სახის სამეურნეო საქმიანობაც, ოჯახის ბარაქაც, აღმამათა შორის ავი თუ კეთილი ურთიერთდა-მოკიდებულებაც, მათი ზეობრივი თვისებებიცა და მრავალი სხვა მოვლენა.

როგორც ზემომოყვანილი სხვა გადმონაშთები, ისევე ეს მაგალითებიც თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდგილეში არის დამოწმებული და მათში ასახული დუალისტური კონცეფცია მსხვილფეხა საქონლისა და განვითარებული აგრარული მეურნეობის გარემოცვაში მცხოვრებ სვანებს ეკუთვნის. მაგრამ მთვარის დუალისტური ბუნება და შესაფერისი მოქმედებები გვენეტიკურად რელიგიური აზროვნებისა და პრაქტიკის უძველეს საფეხურს განეკუთვნებიან.

მაგალითების მიხედვით: ა. ახალი მთვარე ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, მთვარე თავის ზრდისა და მატების ფაზაში მცენარეების, ცხრველების, აღა-მიანთა (ბავშვების), საერთოდ ყველაფრის ზრდასა და მატებას იწვევს. საგსე მთვარე არც შატულობს, არც კლებულობს—სავსე მთვარის დღებში დაწყებული საქმეც ასევე არ შატულობს და არ კლებულობს; ამ დროის ნახელარი, მთვარის მსგავსად, საგსე და სრულია. ქველი მთვარე კლებულობს და იღევა, —ძველ მთვარეზე დაწყებულ საქმეს გამძლეობა არა აქვს; ამ დროის ნახელარი ნაკლულოვანი და უბარაქა. ჩვენი ენით რომ გამოვხატოთ ეს აზრები, ნიშნავს: მთვარე მაგიურად მოქმედობს; მისი გარკვეული სახის მოძრაობა და მდგრმარეობა გარეშე ბუნების აბიექტებისა და მოვლენების მსგავს მოძრაობასა და მდგრმარეობას იწვევს. მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს გვენეტიკურად რელიგიური აზროვნების იმ პრინციპთან, რომელსაც მსგავსების კანონი ეწოდება.

ბ. მიწის მეურნე სვანი ხენა-თესვას ახალ მთვარეზე იწყებდა—ნათესი იხარებს და გაიზრდებაო. საგსე მთვარის დღებში სვანი აკეთებდა ყველაფერს ისეთს, რის სისავსე და სისრულე სურდა; პურეულის საცავ კიდობნებს პირ-



ველად სავსე მთვარეზე ხსნიდა და მოსავლის ხარჯვას ამ ღრმას შემცირდებოდა დანაკლისი არ გამეზრდება; შესაფერის ჭურჭლებს მარცვლეულ-ფქვილეულითა და თხიერით ავსებდა—ჭურჭლები დიდხანს სავსე იქნებათ. ეს და მსგავსი (იხ. ზემოთ) მაგალითები გადმონაშორებია იმ წესებისა, რომლებიც ზემოაღნიშნული შეხედულების ზეგავლენით იყო შემუშავებული. მათი მიხედვით, როგორც ჩანს, ადამიანი ხელონგურად ქნიდა ისეთ წინაპირობებს, რომლებზეც მთვარის მაგიური ზემოქმედება მას (ადამიანს) კეთილდღეობას მიანიჭებდა.

გ. ახალ მთვარეზე სვანი პირველად არ გახსნიდა ახალი მოსავლით სავსე კიდობანს და მოსავლის ხარჯვას არ დაიწყებდა—მოსავლის დანაკლისი გაიზრდებათ. ის ძველ მთვარეზე ტყეში ხეს საშენ და საწვავ მასალად არ მოსჭრიდა—გამძლეობა არ ექნებათ; ამ დროს ჭურეულს არ დათესავდა, არ მომკიდა, შინ არ შეიტანდა—სასიკეთოდ არ მომზმარდებათ. თავისთვის ცხადია, რომ ეს მოქმედებები ტაბუს გამოხატავდნენ. ადამიანი კრძალავდა ყოველივე იმას, რაზეც მთვარის მაგიური ზემოქმედება მისთვის (ადამიანისათვის) საზიანო იყო.

ამგვარად, მოყვანილ მაგალითებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მთვარესთან დაკავშირებული დუალისტური იდეები თავისი წარმოშობით არქაული ხანის შეხედულების ნაყოფია და ამ იდეებისა და რწმენის შესატყვისი პრაქტიკაც მაგიურ მოქმედებათა,—იმიტატიური მაგიისა და ტაბუს, ე. ი. იმავე არქაული ხანიდან წარმომდინარე,—ნიმუშებს განასახიერებს.

შემდეგში ამ მნათობის მიმართ მაგიური დამოკიდებულება როგორ რელიგიურ წესებში გადაიზარდა, დუალისტური კონცეფციის ზეგავლენათ ყველგან ქართველ ტომებში და კერძოდ სვანებშიც ახალი მთვარისა და მისი მეოთხედების თაყვანისცემა განვითარდა და მთვარის ფაზებთან დაწესირებული დღეობები დაწესდა<sup>1</sup>. ამ დუალისტურმა კონცეფციამ, როგორც ირკვევა, თავი იჩინა მთვარისა და თვალის ურთიერთობიმართების საკითხშიც და, აღბათ, მთვარის ფაზების ძალის შესახებ რწმენის საფუძველზე სათავეანებელ მნათობლვთანას, ერთი მხრით, თვალის სისალის, მისი შუქის გადიდება-გაძლიერებისა და, მეორე მხრით, თვალის დასწეულებისა და თვალისჩინის დაკლება-გაქრობის ფუნქცია მიენიჭა<sup>2</sup>.

ამავე დროს მოყვანილმა მაგალითებმა ცხადჰყო, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა მიეწერებოდა მთვარეს სვანების აგრძარულ მეურნეობაში. მთვარე იწვევდა მცენარეების ზრდას; მთვარის დღეების მიხედვით აწარმოებდნენ სვანები ხენა-თესვას, მოსავლის აკრეფას, მის მოხმარებას, რადგან ხალხის რწმე-

<sup>1</sup> ამ დღეობათა აღწერილობა და ანალიზი მოცემულია ივ. ჯავახიშვილის მით. ნაშრ-ში, გვ. 46—52.

<sup>2</sup> ვინაიდნ ჩეკეში მთვარის მეოთხედებს შეტად დიდი მნიშვნელობა მიეწერებოდა, უნდა მოველიდეთ, რომ ქართველთა წარმართული რელიგიის ისტორიაში, მთვარის ფაზებზე დაკვირვების შედეგად, შემუშავებული იყო სწავლება მთვარის, ვითარცა მომაკვდავი და მკვდრეთ აღმდგომი დენაების შესახებ.



ნით მიწის შეურნეობის ავკარგიანობა მთვარესთან დაკავშირდებული მთვარეზე დამოკიჯობული იყო.

საფიქრებელია, ქართველებში მთვარის კულტის განვითარება წინ უსწრებდა მხის | შესახებ საღწმუნოებრივი წარმოებისა და სათანადო თაყვანის-ცემის ფორმების ჩამოყალიბებას. ყოველ შემთხვევაში, მთვარის კულტი ჩვენში, ფეტვის კულტის მსგავსად, უაღრესად ძველი წარმოშობისა ჩანს!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დამაჯერებლობას მოქლებული არ უნდა იყოს, როდესაც სვანური მონაცემების ანალიზის შედეგად ფეტვის შეურნეობაში და ფეტვის კულტთან დაკავშირებით მთვარის თაყვანისცემის ვაღენობა. ამასთანვე ჩვენს მასალებში ფეტვის კულტი და მთვარის კულტი პერსონიფირებულია: ხენშიერის შესწავლამ გაძოვლინა ფეტვის კულტურის მფარეველი ღვთაება; ხანბა დღის რიტუალისა და მასთან დაკავშირებული ხალხის რწმენის საფუძველზე მიკვლებულ იქნა ამ ღვთაების თვალისჩინთან და თვალის სნეულებასთან დაკავშირებული ფუნქცია; ხოლო ისევ ხანგრძლივი დღესასწაულის ყველა დღიებში — ხანბა, ჭკვდობასა და ჭიშლერობას — რიტუალის ჟაღმო უამს, მხის ჩასვლის შემდეგ შესრულების წესმა ნათელი გახდა, რომ ფეტვისა და თვალისჩინის მფარეველი ღვთაება მთვარე უნდა ყოფილიყო. ამ გზით სვანური მასალის ძირითადმა ფენამ ჩვენ მოგვცა საქმაოდ მკვეთრად ჩამოყალიბებული რელიგიური პერსონაჟი — ფეტვის ღვთაება, ვითარება ღამის დიდი შნაობის განსახიერება. უნდა ვიფიქროთ, რომ სვანების რელიგიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თანაარსებობის განვითარების გვთაების გარკვეულ საფეხურზე თანაარსებონ მთვარისა და ფეტვის კულტები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ. აღბათ, ამგვარი კავშირის შედეგად მოხდა ამ უძველესი მარცვლოვანი კულტურის უზენაესი ბატონ-ბატონისა და მფარველი ნათელი ღვთაების სახით ჩამოყალიბება.

მდგომარეობა როგორდება, როდესაც ჩვენ ღვთაების სახელის საკითხს ვეხებით. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, თუმცა აანი ხენშიერის ყველა დღეებში მოიხსენიება, მაგრამ ფორმალურად მის სახელთან უშუალო კავშირშია მხოლოდ ხანბი ანუ ხანაში, რამდენადაც ხანიდან ნაწარმოები არის მხოლოდ ამ დღის ეს სახელები — ხანაში ‘ხანისა’, ე. ი. აანის დღე, და ხანბი ‘ხანობა’, ხანის დღეობა. რაც შეეხება ხანგრძლივი დღესასწაულის სახელწოდებას, იგი ხანაში იდან არის წარმოებული (ხანაში → \* ხანაშიერ → ხან-

<sup>1</sup> ამ მნათობის თაყვანისცემის ცენტრს ძველ აღმოსავლეთში, როგორც ცნობილია, სუმერეთში — ური წარმოადგნდა. სასოგადოდ, მთვარის კულტის თავდაპირველ სამშობლოდ ძველ აღმოსავლეთში სამხრეთ ბაბრლონის დაბლობები ითვლება, ე. ი. ის ადგილი, სადღ ძველ აირველად სუმერების კულტურის აკვანი დაირჩა. აღსანიშნავა აგრეთვე, რომ ოლიიდის ისტორიაში მთვარის კულტი ნაწილობრივ დაკავშირებულია მესაქონლეობასთან, განსავითობით ცხელ ქვეყნებში. ცონბილია, რომ წინა აანაში, ცხელი ჰავის გამო, მესაქონლე ჩვეულებრივ ღრმით მოძრაობდა და მისი გზის მაჩვენებლები ამ ღროს მთვარე და ვარსკვალევები იყვნენ. ამიტომ იყო, რომ, მაგალითად, არაბებში ასტრონომიულ ცოდნა მესაქონლეობის ადგენული პერიოდიდან განვითარდა.



**შიგრ || ცეცშიერ).** ამ ვითარებიდან ისე გამოდის, თითქოს თავდაპირებული ხანის ძირითადი დღეობა ჰანობი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგში განისაკულტი დანარჩენ დღეებზეც გავრცელდა. ამავე დროს ზოგიერთი სხვა ფაქტები, რომელიც ქვემოთ მიღუთითებთ, მოითხოვნ. საკითხის გარკვევას: ეს ფეტვის ნათელი ღვთაების თავდაპირებული სახელია, თუ შემდეგში შერქმეული; ის აღილობრივი სახელშიდებაა თუ უცხო, გარედან შემოსული რელიგიური პერსონაჟისა, რომელმაც გარკვეული დროიდან ფეტვის ღვთაების ადგილი დაიტირა და მისი მასხურებისა და თავანისცემის მემკვიდრე გახდა. სამწუხაროდ, ამ საკითხის გადაწყვეტა ჩემს შესაძლებლობას აღემატება. არსებული მასალების საფუძველზე მხოლოდ იმ საპერსპექტივო გზის დასახვა ხერხდება, რომლითაც მომავალში ამ საკითხის კვლევა-ძიება უნდა წარიმართოს.

დასმულ საკითხთან დაკავშირებით დამაფიქრებელია შემდეგი შედარებითი შრომაცემები.

1. როგორც ირკვევა, სვანებში ფეტვისა და მისი უზენაესი ბატონ-ბატონის კულტი იონა წინასწარმეტყველთან არის დაკავშირებული. ლატალის ოქმის სოფელ იენაშისა და ლენჯერის თემის სოფელ ქაშვეთში ნანგრევების სახით შემონახულ იონას სახელობის ეკლესიებს სვანები დანის სალოცავს უწოდებენ. ჩემ მიერ შესტიაში ფიქსირებული ღლეობა ენაში ლოცვის ტექსტშიც ლატალის ეკლესიის წმინდანი დანის სახელით („დან ლატლებში“) მოიხსენიება. როგორც ჩანს, სვანებს თავისი რწმენა-წარმოდგენები წარმართული ღვთაების შესახებ იონა წინასწარმეტყველზე გადატანიათ და ამ გზით ქრისტიანობას გარკვეული წვლილი შეუტანია ფეტვისა და მთვარის კულტის ჩვენამდე დაცვის საქმეში.

რადგან იონა წინასწარმეტყველთან ფეტვის ღვთაების კავშირი ეჭვს გარეშე, ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ სახელი ეს იონას სვანური ფორმაა, რომელიც ამ წარმართულ ღვთაებას იონასთან დაკავშირების შედეგად გაუჩნდა. მაგრამ რას უნდა გამოიწვია ფეტვის ნათელი ღვთაების დაკავშირება მაინცდამაინც იონა წინასწარმეტყველთან? ქართველთა რელიგიის ისტორია აღსავსეა ქრისტიანულ წმინდანებთან წარმართული ღმერთების სინკრეტიზმის მაგალითებით. ამ მაგალითებზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ქრისტიანული მოძღვრებით წარმართულის შეცვლის ზოგად პროცესში გარკვეული წარმართული ღმერთების ადგილი იჭერდნენ თითქოს საგანგებოდ შერჩეული წარმართულთან ცოტად თუ ბევრად შესაფერისი ქრისტიანული წმინდანები. იონა წინასწარმეტყველს კი, სახელის გარდა, არაფერი უჩანს საერთო ფეტვის ნათელ ღვთაებასთან. ამიტომ შესაძლებელია იონა წინასწარმეტყველთან ფეტვის ღვთაების დაკავშირება უბრალო თანხმიერობის შედეგი იყო დანთან ებრ. თუ ან ბერძ. თუ ან იავან, თუ ან იავანა-ისა. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ იონა წინასწარმეტყველთან დაკავშირებამდეც ფეტვის ღვთაებას ეს ან ამის მსგავსი სახელი უნდა რქმეოდა.

მაგრამ შესაძლებელია ეს ბიბლიური პერსონაჟი ფეტვის ნათელი ღვთაების შემთხვევითი მემკვიდრე არ იყოს. საქმე ისაა, რომ იონა წინასწარმეტყველს სპეციალისტები<sup>1</sup> აკავშირებენ სუმერულ ოანქსის მითთან, რომელიც

<sup>1</sup> Hans Schmidt, Jona, Götting. 1907.



შოთხრობილი ჰქონდა ბეროზოს თვის ხალძისა აღასილიერდები. ეს მითი ქართველებისათვის ვერნებ უცხო არ უნდა აღმოჩნდეს. უძველესი კულტურული მარცვლოვანის—ფეტვის უზინაესი მფარველის კულტი, ჩვენის აზტურით ემაურება სუმერული ოანქსის მითის ზოგიერთ მონაცემს. ისე მაგარით, ემაურება სუმერული ოანქსის მითის ზოგიერთ მონაცემს. ისე მაგარით, ბეროზოსის თანახმად, ოანქსს მიაწერდნენ მცენარეების წარმოშობას. ამასთან ერთად ბეროზოსი მოვითხრობს, რომ ოანქსმა ხალხს მიწის დაწერა (კვალის გავლება), თესვა და ნაყოფის მომკა ასწავლაო<sup>1</sup>. შესაძლებელია ოანქსის მითის ანარეკლი ამირანის მითშიც მოინახოს. სხვა არა იყოს რა, საყურადღებოა, რომ ამირანის სწორედ სვანურ ვერსიაში ჩვენ ვხვდებით თხრობას ამანის ანუ დამანის შესახებ. მითის ზოგი ვარიანტით დამანი ამირანის („ამირმ“-ის) აღმხრდელია<sup>2</sup>, ზოგან კი ამანი ამირმის ძმად გვიპლინება.

2. გასარკვევია საკითხი სვანური დანისა და ძველი რომაული ლვთაების Janus-ის ურთიერთობის შესახებ. რომაული რელიგიური წლის პირველი დღე-თბა, რომელიც Janus-ის სახელზე იყო დაწესებული, წლის პირველ დღეს (Kalandae Januariae) მოდიოდა და ამ დღეობაზე ლვთაების მთავარ შესაწირავს გამომცხარი ტაბლები (Janual) შეადგენდა. Janus-ი მიჩნეული იყო ლვთაებრივ გამკარედ (ianus—კარი, კარში შესავალი), რომელსაც სალიების პიმნა მოუხ-მობლენ Clusius-ის ანუ Clusivius-ის (დამბშობი) და Patulcius-ის (გამლები) სახელებით. მის ატრიბუტს გასაღები და კვერთხი შეადგენდა. ამავე დროს Janus-ი აკველვარი საწყისის, ყოველ ძეტსა და მოვლენაში პირველი საფეხურისა და მომენტის მფარველი ითვლებოდა<sup>3</sup>.

სვანების დანისა და ძველი რომაული Janus-ის ურთიერთობის საკითხთან ერთად ეტრუსკული Janus-ი და Ani-ს საკითხიც ისტის. ეტრუსკული Ani შემონახული ყოფილა ბრინჯაოს ღვიძლის გამოსახულებაზე<sup>4</sup>. Janus-ი ეტრუსკულად ცას აღნიშნავდა;— შეადარეთ დანის ეპითეტი „ხან დეცეშ“ დანი ცისა. უნებლივთ გვაგონდება აგრეთვე ძველი-ბაზილონური პანთეონის დიადი ლვთაებრივი ტრიადის პირველი წევრი—სამხრეთ ბაბილონის მავარის ლვთაება, რომელსაც ურში თეყვანსა სცემდნენ როგორც „ცის მღუფეს“ Ani-ს<sup>5</sup>.

<sup>1</sup> Roscher, II, 577-580; H. Schmidt, 73-87.

<sup>2</sup> სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისის ამზან. ფამთცემა, № 4, 1893.

<sup>3</sup> Roscher, II, 15 შმდ.; ფრ. Л ю б к е р, Реальный словарь классической древности, 505-506.

<sup>4</sup> Müller, Etrusker<sup>2</sup>, II, 58—Roscher'-ის ლექსიკონის (II, 15) მიხედვით.

<sup>5</sup> Roscher, II, 15 შმდ.

<sup>6</sup> ეტრუსკების მცირებაზიური წარმოშობილობისა და ხუთურ-იბერულ საპაროსთ-ნათი კავშირის შეაგებ ინ. ენიმე—ის მამაში, ტ. I, ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტ ბარენი, იბერი; გ. ჩიტაია, რაჭული სახველი; აზეთვე F. Schachermeyer, Etruskische Frühgeschichte, Brl. u. Z., 1929.

ლ. ბოჭორიშვილი

## ხევსურული „ჯვარი“<sup>1</sup>

შორეულ წარსულში შექმნილი ბევრი მოკლენა ქართველმა ტომებმა გადმონაშოთ სახით უკანასნელ დრომდე მოიტანეა. კერძოდ, ქართველმა მთი- ულებმა ზოგიერთი ძათვანი თითქმის აღრინდელი ცროველმუყოფელობით შემო- ინაუეს (ამ შემთხვევაში, ძირითადად, რევოლუციამდელი საქართველოს ეთ- ნოგრაფიული ყოფა გვაქვს მხედველობაში).

უძველესი კულტურის მემკვიდრეობას წარმოადგენს მთიელთა რელიგი- ური სამყაროც; ხევსურების რელიგია, ამ მხრივ, კლასიკურ მაგალითად უნდა მიყიჩნიოთ.

ხევსურული რელიგიის წარმართული ხასიათი თითქმის ყველა მოგზაურ- მა და მკვლევარმა შენიშნა, ვინც კი ოქ იმოგზაურა ან ამ ტომის ეთნოგრა- ფიულ ყოფას შორიდან მაინც დააკვირდა. ზოგმა ის რამდენიმე სიტყვით და- ახასიათა, ზოგმა კი მასზე საგანგებოდ იმუშავა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია: მრავალმხრივ შემოწმებული ფაქტების საფუ- ძეელზე გაარკვიოს ხევსურთა წარმართული სარწმუნოების ზოგიერთი კონკრე- ტული თავისებურება.

სრული უკველობით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მთიელების რე- ლიგია ნამდვილად წარმართულია, ქრისტის მოძღვრება შესამჩნევად სუსტი და ადვილად გამოსაცალკევებელი დაიფენება. ხევისა და მთიულეთ-გულამაყრის იდეოლოგიურ სამყაროში შეიძლება, მართლაც, ქრისტიანობასთან შერწყმული წარმართული კულტების მძლავრი გადმონაშთები მოქმედებდა, მაგრამ ფშავში, თუშეთსა და განსაკუთრებით კი ხევსურეთში—წარმართული რელიგიის გად- მონაშთები კიდევ უფრო მეტად და მძლავრად იყო წარმოდგენილი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებული კვლევა-ძიების დაწყებამდე საჭი- როდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა საქართველოს მთიანეთის რელიგიურ წარ- სულზედაც ვთქვათ.

ძევლი ქართული მწერლობის ერთ-ერთ ძეგლში, ქართლის მოქცევას- თან ერთად, მთიელთა გაქრისტიანების პროცესიც არის აღწერილი. ცენტრა- ლურმა ხელისულებამ „მოულთა“ მოქცევაც გადაწყვიტა. ამ მისის შესასრუ- ლებლად „წარვიდა ნინო და ებისკოპოსი იოვანე, წარვიდა მეჟე და ერისთავი ერთი; მივიღეს და დადგეს წობენს და მოეწოდეს მთეულთა, პირუტყურ სა- ხეთა მათ კაცთა, ჭართალელთა, ფხოველთა, წიაღ-ლაკასანელთა და გუდამა-

<sup>1</sup> წინამდებარე წერილში გადმოცემულია 1944 წ. დამშავებული და 1947 წ. უგვისტული ნაშრომის ბოლო შინაარსი, შინენებად წაითხული 1948 წ. მაისში, აკად. ივ. ჯავახიშვილის სსორინისადმი მიღებილ სამეცნიერო სესიაზე.



ყრელთა, და უქადაგეს მათ სჯული ქრისტიანეთა ჭეშმარიტი, მიძყანებელი ცხოვრებად საუკუნოდ.

ხოლო მათ არა ინებეს ნათლისლება. მაშინ ერისთავმან ქართლისამან მცირელი წარმართა მახუილი მათ ზედა, ძლევით შემუსრნეს კერპნი მათნი. გარდა მოვიდეს მუნით, და დადგეს უალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს. ხოლო ფხოველთა დაუტევეს ჭუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარეი, ოდეს არა ინებეს ნათლის-ლება. არამედ წარკრძეს იგინი და შესცოტეს, და რომელნიმე უკანასკნელ - მოაქცივნა აბიბოს ნეკრძესლმან და რომელნიმე მათგანნი დარჩეს წარმართობასევე შინა დღეს-აქამძღვე<sup>1</sup>.

ქართველი მემატიანის ეს თხზულება, როგორც ცნობილია, ზღაპრულ ცნობებსაც შეიცავს, მაგრამ ზოგი რამ მაინც ისტორიული ამბების ანარეკლს წარმოადგენს.

ქართველ მთიელთა, კერძოდ ფხოველთა, წარმართობაზე მოგვითხრობს თამარის ისტორიკოსიც, როდესაც ის სამეცო სპისა და განდგომილ ფხოველ-დიდოთა ლაშქრის შებრძოლების ამბავს აგვიწერს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, „ფხოველებში“ („ფხოველებში“) თანამედროვე ხევსურები და ფშავლები უნდა ვიგულოთ ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ისტორიული მონაცემების გათვალისწინება უფლებას გვაძლევს, რომ ქართველი მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრება ჩვენ სამართლიანად მივიჩნიოთ<sup>2</sup>.

მშვიდობიანი გზით გავრცელებულმა თუ ცეცხლითა და მახვილით შექრილმა ქრისტიანობამ მთიელთა სარწმუნოებაზე ხელოლდ ზერელება მოახდინა, გაბატონებული რელიგიის ადგილი მან ვერ დაიკავა. წარმართი მთიელი „ქრისტიანის“ სახელით მოინათლა, მაგრამ თავისი მამა-პაპის რელიგიას მან არ ულალატა. საუკუნეების მანძილზე ქართულ ეკლესიასა და მთიელთა წარმართულ ხატს შორის დაუსრულებელი ბრძოლა წარმოებდა. ჩვენი ქვეყნის მთიანეთმა, კერძოდ კი ხევსურეთმა, წინა ქრისტიანული რელიგიის გამომნაშთი მტკიცედ დაიცვა და მე-20 საუკუნემდეც კი მოიტანა. ფშავლებისა და ხევსურების რელიგიური მრწავისის თავისებურება კარგად გაითვალისწინა ვახუშტი ბაგრატიონმა და იგი საგანგებოდ აღნიშნა: „და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რო-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, თბილისი, 1942, გვ. 80 (შდრ. ქართლის ცხოვრება, ნაწ. პირევლი, ბრძოლს გამ., სანკტპეტერბურლი, 1849, გვ. 97—98).

<sup>2</sup> ვა ა შ შ რ ი, აღწერა სამეცნიეროსა საქართველოსა, თ. ლომიურის და ბ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 86, 93; А. Панидзе, Отчет о летней командировке в Душетский и Тбилисский уезды Тиф. губ. для изучения грузинских говоров, Изв. ИА Наук., с. VI, № 18, С.-Петербург, 1913, გვ. 1072; ივ. ჯავახ იშვილი, ქართველი ერის იურიდიკი, შიგნი მეორე, ტფილისი, 1914, გვ. 301, 304; Н. Я. Марр, Кавказские племенные названия и местные параллели, Петроград, 1922; ს. ჯანაშია, საქართველო ადრნდელი ფეოდალიზაციის გზაზე, ტფილისი, 1937, გვ. 99; ს. მაკალათია, ხევსურეთი, ტფილისი, 1935.

მელი წამოდგების კაცი უცები და ვითარება ხელქმნილი, და ღალადებს მრავალსა მავირად წმიდის გიორგისა, და რასა იგი იტყვის, სონავთ და ჯერ იჩენენ უმეტეს ჰეშმარიტებისასა<sup>1</sup>.

ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ წარსულ საუკუნეში ქრისტიანული ეკლესიები თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში ააშენა, მაგრამ ამ ხერხმა წარმართული რელიგიის გაძმონაშობი ოდნავათაც ვერ შეარყია. მიმდინარე საუკუნეში მომხდარი რევოლუციური გარდატების შემდგომ ქრისტიანული ტაძარი უმტკივნეულოდ გაუქმდა, წარმართულმა ხატმა კი, მცირე დროის მანძილზე მაინც, კვლავ შეინარჩუნა სიცოცხლე.

ჯვრის გამოსახულების საკითხმა 1942 წელს მიიქცია ჩვენი ყურადღება. „ხევსურული ტალავარის“ ირგვლივ წაკითხულ მოხსენებაში ჯვართან დაკავშირებულ საქითხსაც შევეხეთ და, ეთნოგრაფიული მასალებისა და ძველ ქართულ მწერლობაში (თამარის ისტორიკოსის თხზულებაში) დაცული ცნობების საფუძველზე, სავარაუდო მოსაზრება წამოვაყენეთ. 1943—44 წლებში, ბულებრივ სურეთსა და არხოოტის თემში შეკრებილმა ეთნოგრაფიულმა მასალამ აღნიშნულ მოსაზრებას დამაჯერებელი დასაკრძლენი შეუქმნა, სავარაუდო მოსაზრება გაამართლა. ამის შემდგომ უკვე ძნელი აღარ იყო სხვა საკითხების რეგვლივ დაწერილ ეთნოგრაფიულ ნარკვევებში ჩატანით საყურადღებო ფაქტები. დაგვენახა და ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივში დაცული ხელთანაშერი მასალებიც ამ თვალსაზრისით გაგვეთვალისწინებინა.

აღრინდელი სამყაროს ცივილიზებულ ხალხთა მიწა-წყალზე მოპოვებული ძეგლები ცხადჰყოფენ, რომ ქრისტიანული მოძღვრების სიმბოლოდ აღიარებული ჯვარი ქრისტიანული ეპოქის ქმნილებას არ წარმოადგენს. კარგად არის ცნობილი, რომ ჯვრის გამოსახულება წინაქრისტიანულ ხანას განეკუთვნება, მისი წარმოშობის საწყისები ძველი დროის საუკუნეთა სილრმეში იძებნება<sup>2</sup>.

ჯვრის გვარეობის ყოველგვარ ნიშანს, რა თქმა უნდა, ყოველთვის ჯვრის გამოსახულებად ვერ მივიჩნევთ. ეს გამოსახულება მხოლოდ იმ შემთხვევაში იმსახურებს „ჯვარის“ სახელშიდებას, თუ მას, ორგორც ორნამენტს, დამოუკიდებელი არსებობა აქვს და, უმთავრესად კი, მაშინ, როდესაც იდეოლოგიური გააზრიანებაც ახლავს.

ხეთური დამწერლობის ერთი იეროგლიფთაგანი სამმხრივ კუთხოვნად შემოზღუდული ჯვრის სახით არის წარმოდგენილი, ერთ-ერთი იეროგლიფი კი ჯვრის სახესხვაობად მიჩნეული გახატულით, ე. ი. ირიბი ჯვრით, არის წარმოსახული. არც ერთი ამ ნიშანთაგანი, შინაარსობრივად, ჯვართან არ არის

<sup>1</sup> ვა ბ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 92.

<sup>2</sup> ჯვარის საკითხთან დაკავშირებით იხ. ვ. ბარდაველი და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, ტ. 1, ხევსურული, თბილისი, 1939 წ., გვ. 5; ალ. ჯავახიშვილი, კულტო-მემორიაльные памятники Грузии древне-христианского времени, Тбилиси, 1950 г. (автореферат).

ճայացՇօրեծիլուն. Յորպելո մատგանո, Ֆրանքոս մոխեգոտ, Սասակելց յամռեա-  
Ծացս, մըռհր նօնան յո, օմազը մըբնոյրոս ճասկվնոտ, յանսանցրունո սունունու-  
րութեցս ալննինցաւ<sup>1</sup>. Օմցարանցու շնդա օյնեց յաճնուոանցծունո ֆրեշի մոռացեծու-  
լո գրուեծիւնցունո չշրկուս ուս սամո յամռուսանցունո ապ, հռմելու յցազիթիւն էց-  
լո սամցուս ճրուոնցու յրու սუհատչ արուս ալմեյթունու: Եցարիթուրո սամռտես  
սլույնատ մոռուս յորոցլունուրո ֆարշիրապա ֆահմուցցունու և նեմոնեցնցու-  
լո չշրկունցու սեցաձասեցս Շինահանուս յամռմեանցու յորոցլունու յորոցլունու  
մոյւցունու<sup>2</sup>. Եցարիթուրո ամ նօնան ՝յալոյիս” ալսաննինցացա եմարունցնեն.  
Ամնանու չշրկու, ոյ յը յանանցնելո յահացունո սաხուս յորոցլունու յցերունու  
օյնեցու ալննինցու, ՝մըմբուսուս” և ածուցուսու ՝սաելլթուցցեցնաւ յամռեա-  
Ծացնցնեն. Եցարիթուր յորոցլունու մոռուս եցուրո յաხանցունու մըցացս նօնանու  
չցեցունցա, մացհամ, ամ նեմտեցցամու, ուս սանցրուս յամռմեանցու դամթյուրու-  
նուս յրու-յրու յլոյմենթա յցազունցնեցա<sup>3</sup>.

Ճշրուս մոպցանունունուս յցելո արյուղունուրո նուտու և մեսանցրունուս յնուու  
յալմուցունու յցելո ճշրուսեցնուրո սացանու յորոցլունու ճշրուս յանսանցուր-  
ծաց յըր օյնեցա միհնեցունո (մաց., յայցասումու մոռոցցեցնու ծրունջանու յամարնե-  
ամոցցուունո յրմուս յահացունու ծորմելու ճշրուս սաելլունու յըր օյնեցա մոլու-  
նունու<sup>4</sup>).

Ճշրու, հռցորու նեմուու յութու, ֆահմահունու հրմեննատ ծաթոնունունու  
եանամո առնամենքիսաւ ֆահմացցենցա և նոց նեմտեցցամու, հռցորու իսնե, հր-  
լոցուրո յմելունուս հռուսաւ սերուլունցու. Օմցարո յուտահունուս ճամացասանցու-  
ծեցու արյուղունուրո մասալո յացասու—յցելո ալմուսացլունու Ծըրուուրունուանց-  
դաց օյնա նեսունու և յցրունուս նոցույրո յուտեշի ֆահմունցու յատերունուս  
դրուսաւ ալմոհնցա<sup>5</sup>.

Սլույնամու ալմոհնունու յերամունցու յորոցմենթիւ ՝յասերույաս” սաելլթուցցեցնու  
ցնունունո յցրեցա յամռունունու և յրու-յրու յըս սացանցելու, լուտայեա մար-  
դոյսուս յամռուսանցրունուստան յրուա, յցասերույա արուս ամոյւրունու<sup>6</sup>. յցուարուս մունց-  
մոյցեմու սուցու ծացունու (Paghous) արյուղունուրո յատերունուս լորուս մոռոցց-  
նունո յուրիշլուս յորոցմենթիւ յունու յցասաննինցա ուսուարունուտ նյսրունընունու  
յցրեցա մոխանցու<sup>7</sup>.

<sup>1</sup> Б. Грозный, Об одной интересной „хеттской“ иероглифической надписи, Вестник древней истории, I (2), Москва, 1938, 83. 83. 24, 26.

<sup>2</sup> Б. А. Тураев, История Древнего Востока, т. I, Ленинград, 1936, 83. 188.

<sup>3</sup> A. Erman, Aegyptische Grammatik, Berlin, 1894, 83. 83. 13, 41, 56; Թուոցց, Die Hieroglyphen, Berlin und Leipzig, 83. 83. 26, 120.

<sup>4</sup> Ж. д е - М о р г а н, Доисторическое человечество, Москва-Ленинград, 1926, 83. 292.

<sup>5</sup> Ed. Meyer, Reich und Kultur der Chetiter, Berlin, 1914; D. Fimmen, Die Kretisch-Mykenische Kultur, Leipzig-Berlin, 1921; G. de Mortillet, Le singe de la croix avant le christianisme, Paris-Reinwald, 1866.

<sup>6</sup> Y. de Morgan, La Préhistoire Orientale, t. II, Paris, 1926, 83. 83. 266, 305.

<sup>7</sup> New Chalcolithic Material of samarran, Jype, Journal of Near Eastern Studies, 1944, I.



მკლავებმოხრილი ჯვრის სახეები სამხრეთ კავკასიის ბრინჯაოსტენიურ მაცუ ამქობს და ტალიშში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ერთ-ერთ ორნამენტსაც სვასტიკისებური ჯვარი წარმოადგენს<sup>1</sup>.

ჯვრის გამოსახულების აღრინდელობა საქართველოში წარმოებულმა გათხრებმაც დაადასტურა: თრიალეთზე<sup>2</sup>, დაბლაგომსაც და ნაცარგორაზე აღმოჩენილ კერამიკულ საგნებზე ჯვრის ნიშნებია ჰოცემული — ზოგ შემთხვევაში ის აღმართ თრიამენტია, ზოგ შემთხვევაში კი აპოთროპეული დანიშნულების გამოსახულება. თრიალეთ-დაბლაგომისა და ნაცარგორას კერამიკულ ნივთებზე დამოწმებული ჯვრების მნიშვნელობა შეიძლება კიდევ მოითხოვდეს გარკვევის, მაგრამ ნაცარგორას საკურთხეველზე გაკეთებული ჯვრის რელიგიური მნიშვნელობა, თვით გათხრების შეთაურის — გ. გობეჯიშვილის აზრი რომ გავიმეოროთ, ეკვსაც კი არ იწვევს<sup>3</sup>.

რეტრენული წარმოშობის სურათის ერთ-ერთი პერსონაჟის კოსტუმზე მარტოცენ ერთი ჯვარია მოცემული და მეორე, აგრეთვე ძველ-აღმოსახულურ, სურათზე წარმოდგენილ მამკაცთა საგულეებზედაც თითო ჯვარია გამოსახული. ორივე შემთხვევაში ჯვარი, „ქართული ხალხური თრიამენტის“ ავტორთა შენიშვნის მიხედვით, მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულებისაა<sup>4</sup>.

ყურადღების ღირსია ხენის პროცესის ერთი ბაბილონური სურათიც: გუთანაბზი შებმული ხარებისა და გუთნისდევა-მეხრეების გამოხატულებათა თავზე სამმაგი ჯვარია შოთავებული. საფიქრებელია, ის აქაც რელიგიური მნიშვნელობის მქონეა<sup>5</sup>.

ძველი აღმოსახულეთის მონაცემთა გათვალისწინების დროს ჩვენი ყურადღება ჯვრის ერთმა სახეობამაც მიიპყრო. ამ ჯვარს, სწორემკლავებიანი ჯვრისაგან განსხვავებით, თავი მომრგვალებული აქვს. ეგვიპტური ლერტების დიდი უმრავლესობა, კვერთხის მოვალეობის შემსრულებელ ხელჯოხთინ ერთად, ჯვარისებური საგნითაც არის შეიარაღებული. ხელჯოხით შექურვილ ამონ-რას, რას, ხონსუს, ტუმს, ანუბისს, ღებს, ლერტექალ ხატის, სოხმეტს, მაატსა და ნეიტს ზემოაღნიშნული ჯვარი მარჯვენა ხელში უკავიათ (ისიდას კი მარცხენა ხელი აქვს მოკიდებული)<sup>6</sup>. კარნაჟის ხონსუს ტაძრის კედელზე განსახიერებულ ცნობილ ღვთაებებსაც მარცხენა ხელში უჭირავთ, მარჯვენა ხელში

<sup>1</sup> Ж. ле-Морган, Древнейшее человечество, Москва—Ленинград, 1926, 83. 83. 222, 223.

<sup>2</sup> Б. А. Купгин, Археологические раскопки в Триалети, АН Груз. ССР, 1941 (თრიალეთში აღმოჩენილი ნივთები აკად. ს. ჯანშიას სახ. საქ. მუზეუმშია დაცული).

<sup>3</sup> არქეოლოგიური ნავთები, რომლებიც აკად. ს. ბერძნიშვილის ეკლემდეველობით მომუშავე ჯგუფმა დაბლაგომი მოიპოვა, აკად. ს. ჯანშიას სახ. საქ. იუნიუმშია დაცული. ამ მასალების მასზე დაიხსერა ბ. ხოშტარის საბიურტული ნაშრომი (Древнее поселение в Дабла-оми).

<sup>4</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები სამხრეთ-ისეთში (თეხისები).

<sup>5</sup> გ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური თრიამენტი (ხევსურული), თბილისი, 1939, 83. 83. 7, 15.

<sup>6</sup> История Древнего Мира, т. 1 (Древний Восток), Москва, 1937, 83. 14.

<sup>7</sup> Б. А. Тураев, История Древнего Востока, т. 1, Ленинград, 1936, 83. 83. 180, 884, 285; История Древнего Мира, т. 1, 83. 83. 205, 210.



კი— ხსენებული ჯვარი<sup>1</sup>. ეგვიპტის სიძეველეთა შორის „მიცვალებულთა ჭარების“ დებულებათა მიხედვით შედგენილი სურათებიც გვხვდება<sup>2</sup>. ამნაირ სურათებზე საიქიოს გამგზავრებულ აღამიანთა გასამართლებაა ინსცენირებული. გასამართლების მონაწილე ღმერთებს—ზოგან ანუბისა და ხონსუს, ზოგ შემთხვევაში კი ანუბისს, ხონსუსა და ნეიტს—ჯვარი უპყრიათ ხელთ. თავდამრგვალებული ჯვარი ეგვიპტური იეროგლიფის ფუნქციასაც ასრულებდა, წაკითხვის დროს ის ცნო—დ გამოითქმოდა და შინაარსობრივად „სიცოცხლეს“ — „ცხოვრებას“ აღნიშნავდა<sup>3</sup>.

ღვთაებათა ხელში წარმოდგენილი ჯვარი და სიცოცხლის გამოშხატველი იეროგლიფი შეიძლება გენეტიურად ერთმანეთს დაუკავშირდეს; ეგვიპტური ჯვარი, იქნებ, სიცოცხლის მომნიჭებელი ღვთაების დამახასიათებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

ჯვრის ამგვარი დანიშნულება აშკარად ჩანს ეგვიპტის ახალი სამეფოს ხანაში გადაკეთებულ თუ ახლად აგებულ ტაძართა მხატვრული გაფორმებილან. ცნობილია, რომ მეორე ათასეულის შუა წლებში, ამენხოტეპ IV-ს მიერ გატარებულ რეფორმათა შედეგად, ეგვიპტურმა რელიგიამ დიდი ცვლილებები განიცალა. ამენხოტეპმ ეგვიპტურთა რელიგიური სამყაროდან ყველა ღმერთი განდევნა და ერთადერთ უზენაეს ღვთაებად „ატონის“ სახელწოდებით ცნობილი მზე გამოაცხადა. დიდი ამონიც განდევნილ ღმერთებში მოჰყვა და თავის საკუთარ სახელადაც მეფე-რეფორმატორმა ამონის სახელთან დაკავშირებულ ამენხოტეპს ნაცვლად ეხნატონი აირჩია. საკულტო ხასიათის მხატვრობაში აღრინდელი ზეარსებების აღგილი ხელებიანი სხივებით გარემოცულმა მზის დისკომ დაიკავა. იმღროინდელ ორ სურათზე, მზის გამოსახულების ქვემოთ, თვით ეხნატონიც არის წარმოდგენილი ოჯახის წევრებთან და ქვეშევრდომებთან ერთად. ერთ სურათზე განსახიერებულ მზის დისკომზე თავმრგვალი ჯვარიც არის მოცემული, მეორე სურათის მიხედვით კი ამგვარი ჯვრები მზის სხივთა ხელებზედაც არის ჩამოკიდებული. შეიძლება აქ რელიგიური ტრადიციის გაგრძელებასთან გვკონდეს საქმე: ძველი ღმერთების საბრძანებელი ატონმა დაიჭირა და ღვთაების ატრიბუტიც, ჯვრის სახით წარმოდგენილი, მან მიითვისა.

განხილული მცირევადები მასალაც კი ცხადჰყოფს, რომ ორნამენტისა და სარწმუნოებრივი ემბლემის როლში წარმოდგენილი ჯვარი ქრისტიანობის გაბატონებამდეც არსებობდა. „სასიკვდილოთ კაცთა დასამსქუალავად“ გარდა-ჭრობილ ძელსაც ხომ ცივილიზებული კაცობრიობა ქრისტეს ჯვარცმამდე იცნობდა. „ქრისტიანობამ, აკად. ს. ჯანაშიას სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოიყნა ის, გამგრცელა ხალხის ფართო მასებში ეს ემბლემა და მას თავისი სამსახური დააკისრა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> Б. А. Тураев и И. Н. Бороздин, Древний Мир.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8; 8. В. А. Тураев, История Древнего Мира, т. 1, 83. 303.

<sup>3</sup> A. Erman, Die Hieroglyphen, გვ. გვ. 18, 20, 26, 27, 64.

<sup>4</sup> „ჯვარი, როგორც ფერდალური რელიგიისა და იდეოლოგიის სიმბოლო“, განხილულია აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომში—საქართველო აღრინდელი ფერდალურიცის გზაზე, ტფილისი, 1937, გვ. 96 (აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომის ამ ადგილზე მიგვითოთ დოც. ვ. ბარ და გვ. ლი იდებ); ვ. თ ფ უ რ ი ა, ქვა-ჯვარანი საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკა-სიის ისტორიისათვის, ნაკვ. 4, თბილისი, 1942 წ.

ხევსურული ჯვრის შესწავლა, ამ მხრივ, უფრო საყურადღებო კულტურულ არკვევეს. ხევსურეთის რელიგიურ სინამდვილეში, როგორც ქვემოთაც დავინაზაფთ, ჯვრის კულტი მეფობს.

ჯვრის გამოსახულების რელიგიური თუ ესთეტიკური გამოყენების ფაქტი, მეტნაკლები გავრცელებულობით, თითქმის ყველა ქართველი ტომის ყოფაშია დამოწმებული, მაგრამ ყველაზედ ღრმა ფესვები მას ხევსურეთში აქვს გადგმული. ხევსურული ტალავარის ყოველ ელემენტზე ჯვრის სახეებია ამოქარგული, სამკაულთა შორის ჯვარის საპატიო აღგილი აქვს დათმობილი, ავეჯზე ჯვრებია მოჩქერთმებული, ხევსურთა სულიერ სამყაროში ჯვარია გაბატონებული<sup>1</sup>. ამიტომაც არის, რომ ნაშრომში შემდევნაირი თანმიმდევრობაა დაკული: ჯვარი — ორნამენტი, ჯვარი — საჩრდინოებრივი სიმბოლო და ჯვარი — ღვთაება.

ხევსურები ჯვრს „ხატსა“ და „ჯვარს“ უწოდებენ, ამავე სახელებით იცნობენ მას სხვა მეზობელი ქართველი მთიელებიც. „ჯვარად“ იხსენიებენ ამ გამოსახულებას საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრნიც, მათ შორის — სვანურად და მეგრულად მოლაპარაკე ქართველი ტომებიც. ჯვრის აღმნიშვნელი მეორე ტერმინი „ხატი“, როგორც ვხედავთ, მხოლოდ აღმ. საქართველოს მთიელებში გახვდება.

წერილობითი წყაროებიდან ვტყუ მიღებობთ, რომ ძველ საქართველოშიც ამგვარ ნიშანს აგრეთვე უჯვარი უწოდებოდა, „ხატი“ კი სახის, ანუ, საბას სიტყვით რომ ვთქვათ, „მსგავსი სახე“-ს, იღსანიშნავად იხმარებოდა.

ხევსურული ორნამენტის გაბატონებულ სახეობას, როგორც ვთქვით, ჯვარი, ანუ ხატი, წარმოადგენს. ჯვრის სახეებით არის შექმობილი დიაკის ტალავარი: სათაურა, მანდელი (თავსაბურავის ელემენტებია<sup>2</sup>), ხალიაცო<sup>3</sup>, ქოქლო, ფაფანაგი, ქათიბი, ტყაფი (ტანსაცმლის ელემენტებია), ზაჭიჭები და თათები (ეს ორი უკანასკნელი, ქალაბნებთან ერთად, ფეხსაცმლის ელემენტებია).

ჯვრის სახეებია აპოქარგული მამაკაცის ტალავარზედაც: ქუდაზე (თავსახურია), ბერანგზე, ტანსაცმელზე, ანუ ზალვარზე, ტუაზზე (ტანსაცმლის

<sup>1</sup> ხევსური მამაკაცის შეიარაღების, ჩატულობის ცალკეულ ელემენტთა ჭრილისა და კერძოდ კი მასხე გამოსახული ჯვრის ორნამენტის საფუძველზე ზისერმანია. როგორც ცნობილია, ხევსურების წარმოშობასთან დაკავშირებული თეორიაც კი წამოაყენა: ხევსურები მან ჯვაროსან მეომრთა შთამომავლობად მიჩნა (A. L. Зиссерман, Двадцать пять лет на Кавказе). ზისერმანის ეს შეხედულება წარსულ საუკუნეშიც უარყოფის (P. Эристов, О тупи-но-шаво-хевсурском окружге, Зап. КОИРГО, кн. III, Тифлис, 1855; Г. Рэлле, Хевсурия и хевсуры, Тифлис, 1881; Гр. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, вып. X, Москва, 1904), მაგრამ მომდევნო პერიოდის შოგანურებმა — ჯვრის ორნამენტის სიუპარითა და მრავალნაირობით განციფრებულებმა — ზისერმანის თეორიის მსგავსი შეხედულება კვლავ გაიმეორეს. განმა ხევსურები ეპონაცელი ჯვაროსნების მემკვდრეობად არ ჩასთვალა, მაგრამ ჯვრის გამოსახულების გავრცელებულობის ფაქტი მაინც მათ ზეგავლენას მიაწერა — ხევსურების წინააღმდი, ალპათ, ჯვაროსანთა ომებში იღებდნენ მონაშილობას (K. F. Ган, Путешествие в страну шпавлов, хевсур, кистин и ингушей, КВ, 1900, 4—6). ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძებამ ზისერმანის დაუსაბუთებიალ თეორიას საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი: ხევსურები არიან არა ჯვაროსანთა ნარჩენები, არამედ ქართველი ტომები — წერილობით წყაროებში სხვენებული ფხოველების შთამომავალი. შდრ. ბარ და გელი და ჩი ტა ი ა, მითითებული ნაშრ., გვ. 4.

<sup>2</sup> ზოგიერთი ქალი ამგამად სათაურას ქვეშ თაფშალსაც იხვევს.

<sup>3</sup> სადაცაცონებ ხარტყელს ირტყამენ.



ელემენტებია), ბაჭიჭვებსა და თათებზე (ეს ორი უკანასკნელი, ქალაქში მცხოვრილ ჯღანებობან ერთად, ფეხსაცმლის ელემენტებია).

ჯვრის და საერთოდ სატალივრე ორნამენტის მოსაქარგვად ნაირფეროვანი და მაირსახოვანი მასალაა გამოყენებული; ჯვრის ამა თუ იმ სახელწოდებაში, ზოგჯერ, მასალის შინაარსია ჩაქსოვილი.

ხევსური ვაჟკაცებიცა და მნიშვნელობიც მუქი ფერის ტალავარს ატარებენ, განსაკუთრებულ უბირატესობას ლურჯ ფერს ანიჭებენ<sup>1</sup>. ამეამად ერთობ გავრცელებული ლურჯი ფერი, როვორც ჩანს, ძეელადაც გაბატონებულ ფერად უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

ტანისამოსის ცალკეულ ნაწილთა დამაკავშირებელ საშუალებად ნაჭერს, ანუ მატყლის ძაფსა, ხმარობენ, მოქარვებს კი ნაჭრითა და აბრეშუმის ძაფის მეშვეობით ჭარმართავენ. ნაჭრით დაკერულს, ანუ ნაჭრით მოქარგულს, ნაჭრით ნაჭრელა ჰქვია, აბრეშუმით დაკერულს კი აბრეშუმით ნაჭრელას — აბრაშუნით ნაჭრელას ეძინან. ნაჭრით მოქარგული ორნამენტის თითოეული ზოლი შიბად წოდებულ გრეხილს წარმოიდგენს, იმის გამო ნაჭრის ნაჭრელის შიბათ დაკერულიც ეწოდება. ხევსურულ ტალავარზე, ნაჭრელა ორნამენტის გვერდით, ხშირად სკლატისა და სხვა გვარეობის ქსოვილთაგან გამოყვანილ ორნამენტსაც ვხვდებით. ტალავარზე მრავალნაირი მძიებების, ლილების, ლითონის მონეტებისა და ლითონისავე ბურცულა-ფირფიტებისაგან შედგენილ სახეებსაც ვამოწმებთ. ეს უკანასკნელი ზოგ შემთხვევაში ნაქარგ ორნამენტში არიან ჩაყოლებული, ზოგჯერ კი მხოლოდ თეთონ აფორმებენ ამა თუ იმ სახეობის ორნამენტს. ქარვის ხელოვნებაში კარგად გაწროთვნილი ხევსურის ქალები მოქირგვის დროს მტკიცედ დადგენილ ტრადიციის იცვევენ: ორნამენტის სახეთა შერჩევისთან ერთად, ისინი საორნამენტო მასალის ფერების შერჩევა-შესაბასაც დიდ ყურადღებას აქცვევენ. ხევსურული ორნამენტის ფერები დიდი გემოვნებით არის შეხამებული, ყველაზე მეტად შავი, თეთრი, ყვითელი, წითელი, ცისფერი, სისვი და ლურჯი ფერებია მოწონებული.

ტალავარის ორნამენტირება მმ შინაპირობებთან არის დაკავშირებული, ჯვრის გამოსახულებათა დახასიათების დროსაც ზემოთქმული უნდა იქნეს გათვალისწინებული.

შემადგენელ ხაზთა მიმართულების მიხედვით, ჯვრის ორი ძირითადი სახეობის ასებობას ვადასტურები: ვერტიკალური და პორჩიზ ნტალური ხაზების გადაჯვარედინებას ხატი ეწოდება, ირაბად გადაჯვარედინებულს კი — გახატული. ჯვრის სახელწოდებაში, ზოგჯერ, სიდიდე-სიბატარავის მომენტიც ივარაუდება: პატარა ჯვარის ხატულა — ხატულას ეძახიან, მოზრდილი ჯვარი კი საკუთრივ ხატის სახელით აღინიშნება. „ხატისა“ და „გაზატულის“ შინაარსში, ზოგჯერ, ჩვეულებრივი ხატისა და გახატულისაგან განსხვავებულ ხატებსაც ვარაუდობენ: მაგ., ფრთხებდაკუთხული კუთხანის ხატიცა და ორტოპაბოლინი ხატიც ხშირად მხოლოდ „ხატის“ სახელს ატარებს. ირიბად გადაჭდობილ რამდენიმე ხასხა და ორმბისებური ოთხკუთხედის გვერდების დამა-

<sup>1</sup> ფართოდ გავრცელებული ლურჯი ტალავრის გვერდით ხევსურეთში შავსა და მოწითალო ფერის ტალავარსაც შევხვდებით.

კაგშირებელ ჯვარედინსაც, რომელიც გახატულ კრიალთაც იხსენიებს; „შეზობურ  
 ვე გახატულს ეტყვიან.

ჯვრის დანიარჩენი სახესხვაობების სახელშოღებანიც ამ ძირითადი სახე-  
 ლების საფუძველზეა შემუშავებული: რამდენიმე პატარა ჯვრისაგან შემდგარი  
 მწკრივი ხატულანია და ერთმანეთში ჩამჭვდარი ხატულებიც ჰატულანია.  
 ზოგი ხატი რამდენიმე საფეხურისაგან შესღება, ერთს მაღალ ვერტიკალურ  
 ზოლზე რამდენიმე ჯვარია გამოსახული, ამგვარ ხატს ხატნისაც ეძინიან და  
 გახატულსაც. მის სახელშოღებას, ზოგ შემთხვევაში, ხატების რაოდენობის  
 მიხედვითაც საზღვრავენ: სამკვარიან ხატს, მაგალითად, საჩხატს უშოღებენ.  
 თუ ხატისა და გახატულის მკლავებზეც ხატებია გამოსახული, მაშინ მათ ხატის-  
 ხატნის სახელით მოიხსენიებენ.

ჯვართა სახელშოღებაში, როგორც ზემოთაც ეთქვით, გამაფორმებელი  
 მასალის შინაარისაც არის ხოლმე გააზრიანებული. თუ რომელიმე სახეობის  
 ჯვარი შიბას ზოლით არის შემოვარგლული,—ეს მის სახელშოღებაშიც იძო-  
 ვის ადგილს, ხშირად გვეიკონებთ ჯვარ-ხატთა შემდეგნაირ სახელებს: ხატი  
 შიბანშემოვლებული, ხატული შიბანშემოვლებული, ხატი შიბანშემოვლე-  
 ბულის, ხატისხატნი შიბანშემოვლებული.

ტალავარზე სკლატისაგან გიმოვრის ხატებსაც აქრებენ, ამის გამო მათ  
 სკლატის ხატის, სკლატის ხატულას და სხვა შესაცერისი სახელშოღებით აღ-  
 ნიშნავენ. თუ სკლატის ხატი (ან ხატული) მძივებითა და ლილებითაც არის  
 შეკრიბილი, მასზე იტყვიან: სკლატის ხატი მძივ-ლილახთო. თუ სკლატის ხატზე  
 მხოლოდ ძვლის ლილებია მიკერბებული, ის იქნება სკლატის ხატი ძვალის ლი-  
 ლახთ. ირგვლივ მძივებშემოყოლებული სკლატის ხატი არის სკლატ-ს ხატი  
 თითოებით მძივგაჟრული, ძაფზე ასხმული მძივის ჩანჩქებით გაფორმებული  
 სკლატის ხატი კი არის სკლატის ხატი მძივ-ქუჩრუმახთ ან ხატი მძივ-ბურჯლუ-  
 შით.

ზოგი ხატი თუ მისი რომელიმე სახე მარტონდენ მძივ-ლილებით  
 არის გაფორმებული, ზოგი მხოლოდ მძივებით ან მხოლოდ ლილებით არის  
 გამოყენილი. ყოველ აბათვანს, ხშირად, შიგაღაშვი მონეტებიც აქვთ ხოლ-  
 მე ჩატანებული. ამ უკანასკნელთაც მოხაზულობის მაუწყებელი სახელშოღე-  
 ბებით გამოხატავენ და დამატებით მასალის აღნიშვნელ სიტყვასაც ურთავენ.

ჯვარი, ძალიან ხშირად, ორნამენტის სხვა სახეებთან ორგანულად არის  
 ხოლმე გადაჯავეული. ასეთი რთული ორნამენტის სახელშოღებაში, ჯვრის  
 აღმნიშვნელი ტერმინის გვერდით, სხვა ელემენტთა სახელებიც არის ნავარა-  
 ულევი. ამგვარი ხატების განხილვა შემდეგნაირ სურათს იძლევა: ხატი დაკა-  
 ბილული, ხატულა დაკბილული, დაკაცკაულის ხატი, დაკაცკაულის ხატულა,  
 თაგმასრილი ხატი, თაგვერანილი ხატი, ხატი დაკოჭვილით, ანუ ხატი ჩამო-  
 კოჭვილით, ხატი რქანით, ხატიანა, თვალიათ გახატული, თხთხალის ხატუ-  
 ლაი, კვერა გახატული რქანით, კვერაში ჩამაყრილი ხატი, კვერაში ჩამაყრი-  
 ლი ხატულა, ოხეკუთხაი გახატულით და მირგვალით, ოხეკუთხაი გახა-  
 ტულით, მირგვალი ხატით ჩაწერილი, ხატი სიმირგვლიგ შემოწერილი, ხატი  
 სიმირგვლიგ ხატულანით, მირგვალა დაკაცკაულით გახატული, მირგვალი-



ხატულაით, ჯვარ-რქიან მარტულელაი, გახატული ხუთანი, ხატიანა და სხვა მრავალი<sup>1</sup>.

ჯვრის გამოსახულება ფართოდ გაშლილ ნაჭრელაშიც არის ჩართული. ქალისა და ვაჟკაცის თათ-ბაჭიშებისა, სალიაცის ფარაგისა და მამაკაცის პერანგის საბეჭურის მრავალსახოვან ნაქარგში ის სხვა სახეებთან დაკავშირებით არის მოცემული. ასეთი როული შედგენილობის ნაჭრელაშიც მისი ორსებობა არ იჩქმალება, ნაჭრელას თავისებურების აღნიშვნის დროს ჯვრის სახელიც მოიხსენიება: ასეთია მაგ., ნაჭრელაი კვერან-ხატულანით და ნაჭრელაი ჯვრით ანუ ნაჭრელაი ხატით.

ისიც შეიძლება, რომ ხატი, ზოგჯერ, სხვა სახის ორნამენტს დაუკავშირდეს და სახელწოდების წარმოოქმის დროს კი ყოველთვის არ დასახელდეს. რქა ჩამახრილ მარტულელასა, ყელგრძელასა, კვერა-თავნახარასა, შიბაის შწყლიანასა, ოთხთვალასა, ყურისთვალასა და სხვაგვარ როულ ორნამენტი ჯვარსაც ანსახიერებენ, მაგრამ დასახელების დროს მასზე ყოველთვის არ მიუთითებენ ხოლმე<sup>2</sup>.

ზემოდასახელებულ ჯვართა ესა თუ ის სახე, როგორც უკვე ითქვა, ხევ-სურული ტალავარის თითქმის ყველა ელემენტზეა გამოსახული; ზოგიერთი მათგანი სამკაულის სახითაც არის წარმოდგენილი. ხის ძველი, და საერთოდ ხისგან დამზადებული თითქმის ყველა ნივთიც, მრავალნაირი ორნამენტით არის მოჩქმურითმიერული. კარიადებზე, კართანულებზე, გრძელ სკამებზე, ფართულებზე, მაქალოზებზე, ფანდურებზე, სახრელებზე, გალიებზე, საჭიროებსა და ხევსურთა საოჯახო ყოფაში დამოწმებულ სხვა საგნებზე, ძალიან ხშირად, ხატ-გახატულებია ხოლმე ამოკვეთილი.

ჯვარად სახელდებულ ორნამენტს აღმ. საქართველოს მთიანეთის სხვა ტომთა ჩაცმულობაზედაც ვაღასტურებთ, მაგრამ ჯვრის გამოსახულებათა სიუხვითა და მრავალფეროვანებით ვერც ერთი მათგანი ხევსურულს ვერ შეედრება, ამ საყურადღებო გამოსახულებას საპატიო ადგილი უკავია ფშავური, თუშური, მთიულ-გუდამაყრული და მოხევური საფენების ორნამენტშიც და ხის საგნებზე ამოჭრილ ჩუქურთმაშიც. ჯვარი, ამ შემთხვევაშიც, სხვადასხვანაირი ვარიაციებით გვევლინება. ამ ტომების ორნამენტაციაში დამოწმებული ზოგი მონაცემი საყურადღებო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

ხევსურეთში მოგზაურობის დროს ჯვრებიან საგნებს ხშირად ვნახულობით, ჯვრებიან ტალავარში გამოწყობილ ხევსურს ყოველ ფეხის გრძადგმაზე გხვდებოდით. ხატებიანი ტალავარის ცოცხალი გამოფენა ვინახულეთ ხევსურულ დღეობებზე: ქერს სწვერის წილად გიორგობას მაწმიოში, ფუძის ანგელოზობას უკანახოში და ათენგვნობას არხოტში.

ხევსურეთის სინამდვილეში ჯვარი ძირითადად რელიგიურ ემბლემას წარმოადგენს.

<sup>1</sup> ორნამენტ ჯვრის სახესწაობის დადგნის დროს გათვალისწინებულ იქნა ვ. ბარ და ვ ე ლ ი ძის და გ. ჩიტა იას მითითებული ნაშროვი.

<sup>2</sup> ს. მაკალათია, ხევსურეთი.



ხატის, როგორც ორნამენტისა და აპოთროპეული გამოსახულების უკანასკნელი გვნებისა და მიზნების შესაბამისობის მიზნით თუ სხვა გარემოების გამო, თმის შეკრეპა თანდათან წესად იქცა და ნაჭაპნიანი ქალიც ხევსურეთის სინამდვილიდან გაჰქირდა. ხევსურეთში მოვზაურობის დროს ჩვენ მხოლოდ ერთი გრძელობიანი ქალი შეგვხვდა, ნაჭაპნები ახილაში მცხოვრებ — 75 წლის ნანუკა ნარიზაულს ჰქონდა. თუ ხევსურების გადმოცემას დაგუჯვრებთ, ნანუკა ნარიზაული მთელი ხევსურეთის მასშტაბითაც ერთადერთი ნაჭაპნიანი მანდილოსანია. თმის შეკრეპის წესს ძევლი დროის ხევსურეთიც იცნობდა, მაგრამ მაშინ მას სხვაგვარი მიზეზი ედვა საფუძვლიდ. ქალი, თუ ერთადერთი ძმა მოუკვდებოდა, ნაჭაპნებს შეიქრიდა და ძმის საფლავში ჩაყოლებდა, უძმოდ დარჩენილი ქალი უთმოც უნდა ყოფილიყო, ძმიანი ქალები კი „თმადახვეულებ“ ყოფილან. თმის, თურმე, რვა-ათ ნაჭაპნად დაიწნავდნენ, ორ ჯვალუად გაყოფილ ნაწნავებს შუბლზე ჯვარედინად გადაიტარებდნენ და მათ ბოლოებს თავზევე მიიღიარებდნენ. ერთი სიტყვით, შუბლზედაც კი ჯვარი უნდა გამოესახათ, შუბლთან თმებს „ხატიდ დაიკუთიან“.

განსახლებულ ჰასაკე, ჯვრის გამოსახულება ხევსური გაუის თავზედაც ჩნდება. გაუის თავზე წარმოდგენილი ჯვარი წმინდა რელიგიურ ფუნქციას ასრულებს, ის „გაუის თავ-მისაპარსავ სახმთოსთან“ არის დაკავშირებული. გაუს, როდესაც სამი ან ხუთი წელი შეუსრულდება, ოჯახში „თავმასაპარსავი სახმთო“ უნდა გადაიხადოს. სათანადო ღრეობისა და „დამწყალობნების“ შემდეგ, ერთერთი მამაკაცი გაუის თავს სამართებელს შეახებს. თუ ბავშვი ხუთი წლისაა—მას თავს მოლიანად მოუშიშვლებს, მაგრამ თუ ის მხოლოდ სამი წლისაა—თავის შუა ადგილზე თმას ჯვარედინად ამოპარსავს<sup>2</sup>. ჯვრის გამოსახულება ბავშვის თვითმოქმედი იარაღის სამსახურს უწევს, ის იცავს პატარა გაუს ბორტ ძალთა გნებისაგან.

ორნამენტიდ მიჩნეულ ჯვართან ერთად, როგორც ორა ერთგზის აღვნიშნეთ, არსებობს ხელშესახები საგანი ჯვარიც. საგანდ გამოკვეთილი ჯვარი— ხატი—ან ხატა — ჯარჯ-ყულსადებთა შემა დაგნენობაშიც გვხვდება და ობლად სატარებელ ნივთადაც გვევლინება<sup>3</sup>. ჯვრის ტარების ფაქტში, ესთეტიკურ მხარესთან ერთად, მისი ბაგიურ-აპოთროპეული ძალაც ივარაუდება; ზოგი ჯვარი, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, მხოლოდ ამ დანიშნულებას ემსახურება. ხშირად შევხვდებით ხევსურს „ჯვარი გამაცვლილი“ ან „უმძრავი“ მჭედლის მიერ დამზადებული ხატით შემკობილს, პირველი აშვარად ჩანს და შეორეს კი ტალავარი ფარავს.

<sup>1</sup> იბ. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუხეუშში ხევსურეთის ენონგრაფიულ გამოფენაზე სტენდი „ხევსურული სათაურის ეკოლუცია“. ნაჭაპნიანი ხევსური ქალის პორტრეტი მერცხბახერის ჩაშომშია დაბეჭდილი. ეს პორტრეტი ს. მაკალათიამაც გამოაქვეყნა თავის წიგნში (ს. მაკალა თი ა, ხევსურეთი).

<sup>2</sup> გ. ბარდაველი იქ, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმომხროვლი, ტ. I, 1949 წ., გვ. 142-143. ისტ. ინსტ. ეთნოგრ. განყოფილების არქივი,— მ. ბალი იაური, ბავშვის დაბადება-აღზრდის წესები ხევსურეთში, გვ. 211.

<sup>3</sup> ხატი დიდი ბატია, ხატა კი—პატარა. ტერმინი ხატულა ხელშესახები ჯვარის მიმართ არ იხსარება.



ადამიანს, თუ სიზმარში რალაც აშინებს ან გაუჩევევილი მიზეზშიც ჯუმა  
შო ავაღმყოფობს, ჯვარიდან წამოღებულ ჯვარს ანუ ხატს ჩამოკიდებენ. ჯვარის  
კელოსანს ფულს ან რაიმე ნივრს მოუტანენ და მის ნაცვლად ხატში განწმენ-  
დილ ჯვარს ან სხვა რომელიმე საგანს გამოართოენ. ამგვარივე მიზეზის გა-  
მო, ზოგჯერ, მჰედელსაც მიმართავენ: „უმძრახ“ ამდგარი მჰედელი დიდ ხუთ-  
შაბათს ხატიან ყალადებს გააკეთებს და სათანადო შელოცვის შემთხვევა მას  
ავაღმყოფე ჩამოიკიდებს. ამნაირი ხატებით შექურვილ ადამიანს უფერი მოს-  
ცილდება, ეშმაკი ფერარ მოერევაო.

ხევსურის სიყარული და რელიგიური მოკრძალებულობა ჯვრის წინაშე  
მის სამეურნეო ცხოვრებაშიც იჩენს თავს, კულტის მსახურების სფეროში  
ხომ ის მთელი სიძლიერით აშკრიადება. „ხევსური—ქართული ხალხური ორ-  
ნამენტი“-ს ავტორთა სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ—ჯვარს გამოიყენდა იმ  
ნანგრევზე, საღაც ბოროტი ძალების („დობილები“-ს) სამყოფი ეგულებოდა.  
ასევე იქცოდა ის სახლში: სახლის კარზე და ქრიზე ჯვარს გახატავდა“. ხევ-  
სურულ ღუმელზედაც კი ჯვრის ნიშანია დადებული, პურის საცხობ სიპაჟ  
ჯვარია ძმოლარული.

აღმ. საქართველოს მთიელებში საყოველთაოდ გაგრცელებულ ჩეულე-  
ბას, მიწის მოხენა-დათესვასთან დაკავშირებულს, ხევსურებიც ტრადიციული  
წესით ასრულებენ. სახატო მიწების მოხენის ცერემონიალში ხატის ხუცესიც  
ღებულობს მონაწილეობას, მოხნულ მიწაზე ის მარჯვენა ხელით სამგზის ჯვარს  
გამოსახავს, ლოცვა-ცელების წარმოოქმის შემდეგ ქრისაც სამჯერ გადა-  
შლის ჯვარედინად და ქუდოოხდილი თესვას შეუდგება. დაფარცხვის შემ-  
დევაც კვლავ სამ ჯვარს აღბეჭდივს და საველრებელსაც ხელიხლად წარმოს-  
თქვამს<sup>1</sup>. ხატისა და მისი ყმების საიფქლე მამულების მოხენის დაწყებამდე,  
უღელზე საგანგებოდ ამ საჭიროებისათვის გამოცხობილი ქადა უნდა გასჭრან.  
„უღელზე გასჭრელ“ ქადას გუთანმში შებმული ხარების უღელზე მოათავსებენ,  
ჯვარედინად—ხატად გასჭრიან და ღმერთსა და იღვილობრივ სალოცავს  
მაღლს მოსთხოვენ<sup>2</sup>. ქადა სახატო ყნების მომკის წინ მოწყობილს რი-  
ტუალშიც მონაწილეობს: ხუცესმა „დამის სამთელო ქადა“ ჯვარედინად უნდა  
გაგვეთოს და თან ღვთისშვილისა და ჯვარიონთ საღებელო შესვას.

ჯვარდაწერით დათესილსა და აღებულ მოსავალს, სახატო მიწების შე-  
თვალყურენიცა და საკუთარი მიწების მომვლელი ხატის ყმებიც, მომკის  
შემდეგაც ხატის გარევნობას ანიჭებენ: 21 ძნისაგან შედგენილ წერილას ჯვა-  
რედინად სდგამენ.

ჯვარი რიტუალური პურების დამახასიათებელი ნიშანიც არის<sup>3</sup>: „ქრის-  
ტე“-ს დღესასწაულისათვის დამზადებულ საჯვარო ხმიაღზე გახატული ხუთანი

<sup>1</sup> ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩაური, რელიგია ბაცალი-  
გოში, რვ. 20, გვ. გვ. 392, 393.

<sup>2</sup> ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩაური, ხევსურეთის წარ-  
სული ამბები, რვ. 3, გვ. 25, 26; მისივე, რელიგია პირიქით ხევსურეთში (არდატი), რვ.  
18, გვ. 215.

<sup>3</sup> ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩაური, ხევსურეთის  
წარსული ამბები, რვ. 13, გვ. 147; რვ. 39, გვ. 467; რვ. 40, გვ. 468; რვ. 50, გვ. 595, 695,  
598; მისივე, რელიგია რომელში, რვ. 17, გვ. 362; მისივე, რელიგია სახამში, რვ. 2, გვ. 20;  
მისივე, რელიგია უკან ხადუში, რვ. 4, გვ. 66; რვ. 7, გვ. 141; რვ. 9, გვ. 150.

გამოჰყავთ (არხოტი), სულთაკრეფისათვის გამოცხობილ ხშირზე ჯაჭვების განლაგებულ ვარსკვლავებს აღმერდავენ (უკანნადუ), მარიებ წმიდაში წასალებად გაცემებულს—ხმიაღივით მრგვალსა და „მაჭრეხილ“ ნაპირებიან ქადის-კვერსაც ჯვარის სახედ დაწყობილი ვარსკვლავებით აქრელებენ (როშკა). არხოტის ჯვარის ღიასახლისი საათენგვენოდ, ხმიაღებთან ერთად, მასანთოვბად და საკვირაოებად სახელდებულ მრგვალ პურებსაც აცხობს. მასანთოვბურთ აღგილას თითოთ ჩსკლეტს გახატულის ყაიდაზე, საკვირაოზე კი ხატად დაწყობილი ხუთი თიკინისყურა გამოჰყავთ.

ოჯახის ღიასახლისი სახალისებროვან ჯვრით დაღარულ სამეცვლეოს ამზადებს, ჯვარის სახე კერს თოხ ნაწილად ჰყოფს: თითოეული მათგანი, ცალკეული სახელდებით, კაცისა და მისი მეურნეობის ღარგო ბედ-ილბლისათვის არის განკუთვნილი.

რიტუალური ხასიათის ნამცხვართა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას ჯვარისებური პური იმსახურებს. ამნაირი მოყვანილობის პურებს ე. შ. გაცებს გარდაცვლილი ბავშვის პატრონები აცხობენ და სულთაკრეფის გაცობას მართავენ. ვაცობაში მხოლოდ ბავშვები მონაწილეობენ: რომელი ბავშვიც მოახვედრებს ისარს განსაზღვრულ აღგილზე დაყენებულ ვაცს,—ვაციცა და ვაცობისათვის დაწესებული ჯილდოც მას რჩება. „სამანატურო“ ვაჟიშვილის მშობლები,—ერთად-ერთი ვაჟიშვილის, ვეინა შეძენილი ვაჟიშვილის მშობლები,—ვიღრე ბავშვი სემი-ოთხი წლის ასაქს მიაღწიედეს, საზომის ვაცს ძეგნებენ. საზომის ვაცად წოდებული პურის ჯვარი ბავშვის ზომისა უნდა იყოს: ჯვრის სიმაღლე ბავშვის სიმაღლეს უნდა შეესატყვისებოდეს, ჯვრის სიგანე კი, ე. ი. მისი პორიზონტალური მელავების ზომა, ბავშვის გაშლილი ხელების ზომას უნდა იტევდეს.

სარწმუნოებრივი ელფერით შემოსილი ვაცი—ჯვარი, იქნებ, აღამიანის, ამ შემთხვევაში პატარა ვაჟის, სტილიზებულ განსახიერებასაც წარმოადგენდეს.

ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჯვრის სიმბოლური გამოყენების მრავალ სხვა ფაქტსაც ვადასტურებთ. ხევსურეთში დამოწმებულ ფაქტთა დიდი უმრავლესობა ხევსურების მომებ მთიელების ყოფაშიც გვხვდება: ზოგჯერ—სრული მსგავსებით, ზოგჯერ კი—თავისებური სახესხვაობით.

რელიგიური თაყენისცემის ობიექტსაც, ხევსურეთში, ფშავში, თუშეთში, ხევსა და მთიულეთ-გუდამბყარში, იგრეთვე ხატი და ჯვარი ეწოდება. ეს სახელშოდებანი, გადატანითი მნიშვნელობით, სამლოცველო ნაგებობათა კომპლექსის აღსანიშნავიდ იხმარება.

სიზუსტე მოკლებულად უნდა ჩავთვალოთ ერისთავის, უვაროვას, კოვალევსკისა და სხვა მცვლებების მიერ ხმარებული ის გამოთქმები, საღაც ხევსურული „ხატი“ ძირითადად საკულტო ნაგებობასთან (კამიუ) არის გაიგიებული, ზოგ გამოთქმაში მხოლოდ მისი პირდაპირი თარგმანია მოცემული (ინგლეშის აღსანიშნავიდ იხმარება).

<sup>1</sup> Р. Эристов, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе.; Гр. Уварова; Поездка в Пшави, Хевсуретию и Сванетию...; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, Москва, 1890.



აღმნიშვნელი სიტყვის, შინაარსი ურბნელს და ასევე სწორედ ესმიშვილის მიხედვით ეპრსკოპოსსაც<sup>1</sup>.

უფანასენელ წლებში გამოცემულ ეთნოგრაფიულ ნაშრომებშიც ეს ტერმინები ორივენარი გაგებით იხმარება, თუმცა ივარაუდება და ზოგჯერ ჩანს კიდეც, რომ ავტორებმა კარგად იციან ხატ-ჯვრის პირველიც და მეორად მნიშვნელობათა შესახებ<sup>2</sup>.

გამოსახულება ხატი ღვთაება ხატს შინაარსითაც უკავშირდება, ჯვრის წარმოშობის საწყისები ხევსურთა სარწმუნოებრივ სამყაროში იძებნება<sup>3</sup>.

ქართველი მთიელების, კერძოდ ხევსურების, წარმართულ რწმენასთან დაკავშირებული ცნობები, როგორც ცნობილია, ძალა. ივ. ჯვარიშვილმა სათანადოდ გაითვალისწინა და თავის ცნობილ გამოკვლევაში საყურადღებო დასკვნები გააკეთა<sup>4</sup>.

ხევსურეთის მიწა-წყალი საკულტო ნიშებით არის მოთვენილი, ყოველ სოფელში ერთი ან რამდენიმე ხატის საბრძანებელია მოწყობილი. ხევსური, საგვარო-სასოფლო ხატებთან ერთად, სათემო-სატომო ხატებსაც ლოცულობდა, ერთდროულად ის რამდენიმე ხატს ემორჩილებოდა. ხევსურეთში არსებულ მრავალრიცხვან ხატთაგან, მაგალითისათვის, შეიძლება რამდენიმე მათგანი დავასახელოთ: ქვითარ-ოჩიაურების ჯვარების ჯვარების გორისა (ახიელა), ცისკარაულების მთის ვეშავი (ახიელა), ბერდიშვილების იაგარი ხევთად ჩამოსული (ამღა) და მრავალი სხვა—საგვარო ხატებია. ამღის ლალი იაგარი, ქიმღის ჭიშველი, კვირიწმიდის მიქეილ წყალშუას მებურთვალი, ბაცალიგოს ბირქუში ცეცხლის-ალიანი და ცხრაფესებ მათრაჯიანი, უკან-ხალუს მფრინავი ანგელოზი სანება ცროლის წევრისა, ხახაბოს გორგი წყაროს გორისა, მაჭაოს დევექერპთად მებრძოლი ქერის წევრის წმ. გიორგი და სხვანი—სასოფლო ხატებია. რომელის დიდგორის ჯვარი, ანატონის ჯვარი, ქვეშვირ ჯვარადაც სახელდებული დიდი არხოტის ჯვარი და ბევრიც სხვა—სათემო ხატებია. სახმთო გუდანის ჯვარი, კარატის ჯვარი—გმირი კობალა ლაქტიანი და ხახმატის ჯვარი—გიორგი ნალორშვენიერი სატომო ხატებად ჩაითვლებიან. ამ უკანასენელთა რელიგიური ავტორიტეტი ფრთხისა, თუშეთსა და ნაწილობრივ გუდამაყარზედაც ვრცელდება.

<sup>1</sup> ნ. უ რ ბ ნ ე ლი (ჩინანაშვილი), ეთნოგრაფიული ნაწერები, თბილისი, 1940 (მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, II); Антоний, Епископ Горийский, Религиозно-этнографический очерк Пшаво-Тушини, Тифлис, 1914.

<sup>2</sup> შდრ. გ. ბარდავალიძე, სვანურ დღეობათა კალენდარი, I, თბ., 1939, გვ. 200 და მისივე, ვამელი მემკვიდრეობა და მემკვიდრეობა სამელი და მემკვიდრეობა და ხახმატის ჯვარი—გიორგი ნალორშვენიერი სატომო ხატებად ჩაითვლებიან. ამ უკანასენელთა რელიგიური ავტორიტეტი ფრთხისა, თუშეთსა და ნაწილობრივ გუდამაყარზედაც ვრცელდება.

<sup>3</sup> ოსებიც, ალბათ ქართველი ტომების ზეგალენით, ღვთაებას ძუარს ეძახიან, თუმცა სარწმუნოებრივ ასპარეზზედაც ჯვართა მთელი პლატა მოქმედდებს (კილი-ძუარ, ფირი-ძუარ, რაგი-ძუარ, მუხინა-ძუარ) და თვით უმაღლესი ღვთაებაც კი ჯვარის სახელს არარებს (ხიცაუ-ძუარ)—Б. Гатиев, Суверерие и предрасудки у осетин (Сб. сб. о кавказских горцах, IX, Тифлис, 1876); С. Шульгин, Из Осетинской народной словесности—Предание о рае (СМОПК, გ. 27—й, Тифлис, 1900); Гр. Уварова, Кавказ, Путевые заметки, Москва, 1887.

<sup>4</sup> ივ. ჯვარიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნ I, ტფილისი, 1928—ქართველების წარმართობა.

ხევსურული ხატი, უფრო სწორედ რომ ვთქვათ ხატის საბანისი, მშრალად ნაგები რამდენიმე ნიშის, მრავალწლოვანი ხეებისა და მიჯნებით განსაზღვრული კარმილამოს კომპლექსს წარმოადგენს. დარჩაზი, ხაქვაზე, ხაკოდე-ბელელი, დროშის საბანისი, ანუ ხადროშა კოშკი, და კვრივი—სახატო ნაგებობანია. ყველა ხატი, ძირითადად, ერთი ტიპისაა, მაგრამ ყველა მათგანი ყოველმხრივ ერთგვარად არ არის მოწყობილი: წმინდა ხეების ჯვუფი ყველა ხატის კარმილამოს არ ჩრდილავს და საკულტო შენიბათა სრული კომპლექსიც ყველა ხატს არ გააჩნია.

დროშები და ხახუცო კოჭბები, წესით, ხატს უნდა ჰქონდეს. თუ რომელიმე ხატს კულტისმსახურების ეს აუცილებელი ატრიბუტებიც არ მოეპოვება,— მაშინ ის მოძმებ ხატის დროშებითა და კოჭბებით სარგებლობს. დიდი მნიშვნელობის ხატებს დროშები, თასები, ჯვრები და სხვა სახის განძეულობაც საკმაოდ მრავლად მოეპოვებათ. დიდი ხატების განძითა შორის ყავარჯვენი და იშვიათობად ქცეული ძველებური ხმლებიც შეგვხვდება.

რომელის დიდგორის ჯვარი, გუდანის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, აკუშოს ჯვარი, ანატორის ჯვარი და ზოვი სხვა ჯვარიც, თურმე, მდიდარი საგანძურის მფლობელ ხატებს წარმოადგენდნენ. მათ, როგორც ჩანს, დროთა ვითარებაში ბევრი რამ დაკარგეს და საუკუნეთა მანძილზე დაგროვებული ნივთები ჩვენს დრომდე სისრულით ველარ შემოინახეს.

ხევსურულ ხატს თავისი ჟელკაცები ჰყავს, სახატო საქმეებს გარკვეულ პირთაგან შემდგარი ჯვარიონი—ხატიონი უძღვება. ხუცესი—გამძლო, მკადრე—შედროშე და დასტური თითქმის ყველა ხატის იერარქიაში არიან წარმოდგენილნი; ზოგიერთი ხატის მსახურთა შორის კი, ზემოდასახელებულ პირებთან ერთად, მეხატე, შულტა, მესაფუტრე და დიასახლისიც შეგვხვდება. ერთს ძირითად პრინციპშე აგებული ხევსურული რელიგია, ალბათ დროთა სვლით შექმნილი ვითარების გამო, სხვადასხვა თეში სხვადასხვა თავისებურებით აშეარავდება; კულტის მსახურთა სახელწოდებებსა და უფლება-მოვალეობებშიც თემური თავისებურება შეიმჩნევა.

საკულტო ხატთან დაკავშირებით ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იძალება: რა არის „ჯვარი“—„ხატი“? რას უნდა აღნიშნავდეს ის „ჯვარი“ თუ „ხატი“, რომელიც ასე ხშირად გვხვდება ხევსურულ გამოთქმებში: „ჯვარიონი“, „ხატიონი“, „ჯვარის ჟელკაცი“, „ჯვარის ჟელოსანი“, „ჯვარის ხუცესი“, „მეხატე“, „ჯვარის ყანანი“, „ხატის ყანანი“, „სახატო მამულები“, „ჯვარის მთა“, „ჯვარის ტყე“, „ჯვარის საქაბე“, „ხატის საქაბე“, „საჯვარო ქვაბები“, „საჯვარო ქადები“, „ჯვარის კარი“, „ჯვარის სახელი“, „ჯვართ ენა“, „ჯვარის სტუმრება“, „ხატის რისხვა“, „ხატის წყალობა“, „ჯვარის დავლათი“, „ჯვარის ძალით დალიშვნა“, „ჯვარით დაკოშვა“, „ჯვარში მიბარება“, „ჯვარში შავდომა“ და სხვა მრავალი.

ირკვევა, რომ ჯვარი—ხატი „ხთიშვილების“ სახელით ცნობილ ზეციერ არსებათა ზოგად სახელწოდებას წარმოადგენს. ხევსურის ჩრმენით, ქვეყანას მარიგე ღმერთი და მისგან „გამაშობილი“ ხთიშვილი განავებენ, სამყაროს



უზენაესი ღვთაებისაგან — ღვთისაგან მინიჭებული უფლებით აუმჯობესებული ჯვარი ანუ ზატი მართავენ.

იმგვარი გაგებით იხსენიებენ ჯვარს ხევსურეთის მოლექსეები<sup>1</sup>, ანაირად განვიმარტავენ ჯვარის შინაარსს ხევსური მოხრობლები. ჯვარი უბრძანებს ყმებს, დაახლოვებული ხელკაცის პირით ის მათ თავის ნება-სურვილს გადასცემს.

— „ქადგობს გაიდაური: ბრძანებს გუდარის ჯვარიო“;

— „ეხლა თქვენ იცით ფშავლებო! — ბრძანებს ლაშარის ჯვარია“; ან კიდევ: „გიქადებსთ გამარჯვებასა დიდი არხოტის ჯვარია“.

ჯვარი ყოველმხრივ უმართავს ხელს თავის საყმოს, ის ზოგჯერ ლაშერობაშიც კი მოხაწილეობს, როგორც მეომარი და მხედართმთავარი.

— „ემზადე გუდანის ჯვარო, წელთ შამაირტყი ქმალია!

თავის საფერე შახვაზმე, ოქროს დააკარ ნალია!“

ბუდე-ხევსურეთის ლაშერი, გუდანის ჯვრის ბრძანებით, სათარეშოდ არხოტისაკენ გაემართა. არხოტელი ხევსურებიც ჯვრის ლაშერის დასახვედრად მოემზადნენ: „გაიგა არხოტის ჯვარმა წელთ შამაირტყა ქმალიო“;

„სრუ ჟუდამ არხვატის ჯვარსა წელთ სრტყავ სისხლიან ქმალიო“.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქისტებისა და არხოტივნების შებრძოლების ამსახველი ხალხური ლექსი:

„ხომ არ დასკილდა ლილღვლებსა, სამანს რომ დგემდეს ძვლისასა?

თეთრ ტიაჭოსანს ხედევდეს სახეს არხოტის ჯვრისასა“...

ჯვარს, ადამიანის მსგავსად, ტირილიც შეუძლია და ყვირილიც:

„ლაღნო, სად მიზდით, წევსურნო, სად მიხერით ქარებულასა?

წინ გიდგასთ გუდანის ჯვარი, ყვიროდა ქარებულასა;

მიგვყებისთ ქამატის ჯვარი, ტიროდა ქალებურასა“.

ჯვარი შეიძლება, ზოგჯერ, საფრთხეშიც ჩავარდეს და სხვათა დახმარება დასჭირდეს. ძალგულოვანმა იაქსარმა დევების რაზმი ამოწყვიტა და უკანას-ქნელი — თვალებგამოთხრილი დევის დევნაში აბუდელაურის ტბაში ჩავარდა. საკუთარი ძალით ამოსვლა მან ვერ შესძლო და ყმანი დააღონა: „ხატი დაგვრჩება ტბაშია“ — დაღონდნენ ჩემნი ძმინა“.

ზოგიერთ ხალხურ ლექსში ღვთისშვილი აშკარად არის გაიგივებული ხატია:

„ღვთის კარზე შავიყარენით ღთიშვილნ სამოცდა-ცხრანიო.

ქვემოთ, ბოლოში ჩამოვჯე მე, ხატი იაქსარიო“, ანდა —

„ვინ იცის, კიცუო რემაო, შენის თექალთოს კეცება?

აგრევე, ჯვარო ხთიშვილო, მემრ შენის გულის კერძება?“

ხევსურული პოეზია ღმერთისა და ჯვარის ნათელი დაპირისპირების მაგალითებსაც გვაძლევს:

„აქსენებს ბედიანია ჯვარსა და ღმერთსა, — ორსავე“-ო; — „დღე — მუდამ ლოცვენ შამყრელსა ჯერ ღმერთსა მემრ კი ჯვარსაო“.

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული), გვ. გვ. 1, 3, 5, 13, 16, 18, 24, 40, 50, 60, 69, 70, 73, 77, 82, 95, 108, 111, 115, 141, 150, 152, 167, 199, 208, 212, 215.

ხევსური ჩვეულებრივი საუბრის დროს „ხატსა“ და „ჯვარი“, შემთხვევაში „ხატის“ ნამდვილ განმარტებას მოსთხოვ—ის ყოველთვის ზებუნებრივი ძალის მქონე ცრესებას დაასახელებს. ჩვენი მთხოობებიც „ხატ-ჯვარის“ შინაარსს ამარილ განმარტავდნენ და ხატ-ლვთაების სამყოფის სახელწოდებად კი „ჯვარის კარს“ ასახელებდნენ.

ხატისა და ღვთისშვილის იდენტურობა ძველებური ხევსურული თქმულების მიხედვითაც დასტურდება: გუდანის ჯვრის მკადრე—ჭორმეშიონი გახუა მეგრელაური „წაუყვანავ ხთიშვილთ გერგეტის თავად შაუყვანავ ბეთლემის სახლში. რო შავედივ, თქვისავ გახუამავ, სავსე იყვავ ის სახლივ ხატებითაოდ, თამაშობდესავ. ზოგ ხატებივ ტრედებივით იყვაოდ, ირეოდავ ერთმანეთშიავ. იმთვენ იყვავ ხატებივ, რომ ბუზებივით გად-გამადლიოდა“<sup>1</sup>.

უდავოა, რომ „ხატი“ წმინდანია, ღვთისიავან „გამაშობილი“ არსებაა. გამოსახულებისა და წმინდანის აღმნიშვნელი ხევსურული „ხატი“ და „ჯვარი“ ქრისტიანული „ხატის“ გაგებას არ შეესატყვისება.

ჯვარი ზეციერი მმართველია, ხევსური კი მისი მსახურია. ჯვარი ბატონია, ხევსური კი, როკორც ნ. ურბნელიც შენიშნავს, მისი ყმაა. ყოველგვარი რელიგიური რიტუალის შესრულების დროს ხევსური ჯვართ შესთხოვს შეველასა და მადლს. გაქირვებაში ჩავარდნილი ხევსური დახმარებისათვის „ჯვართ შასძახნებს“. დამნაშავეს ჯვრის სახელით ამისხებენ, მლოცველს ჯვრის სახელით ამწყალობნებენ. ბავშვებს ჯვარს აბარებენ, ივადმყოფს ჯვარს აკოჭვიებენ. თავდებად ჯვარს იყენებენ, ბრალდებულს ჯვრის წინაშე აფიცებენ.

სახლში წასასკლელად გამზადებული მეზღვნე, სათანადო ცერემონიალის შესრულების შემდგომ, ჯვარ-ჯვარიონს უნდა გამოემშვიდობოს, ჯვარიონმა მას ჯვრის წყალობა უნდა გააყოლოს. გამომშვიდობების დროს მეზღვნენი ყველა ხევსურისათვის ცნობილ სიტყვებს შესძახებენ: „ჯვარ გეწერასთ, ჯვარიონო, ჯვარსაც და კაცსაც“, „აშენდით ჯვარიონნო, წალმამც წაგივათ დღეი დღეობაი“.

„წყალობა წაილით ჩვენის ჯვარისა, წალმ გამაგყვასთ ჩვენი ჯვარის დავლათი“—უპასუხებენ ჯვარის წელკაცები.

ხუცესმა ხუცობის დროს ჯვარნი უნდა „გაადიდოს“—ჯვრებს გამარჯვება უნდა უსუროს. ლუდის შესმის წინ, ხატიონის დანარჩენი წევრებიც ხატების სადლეგრძელოს წარმოსთვემენ, „ჯვართ დიდებას“ და „მეხევეშურთ წყალობას“ უსურვებენ. კეთილდღეობის მომნიშებელ ჯვარს ჩვეულებრივი საუბრის დროსაც კი არ ივიწყებენ: „არხოტის ჯვარის გამარჯვებამ“, „გუდანის ჯვარის გამარჯვებამ:“ და სხვა ამის მსგავს გამოთქმებს ხევსურეთში ხშირად გავიგონებთ.

<sup>1</sup> ისტ. იმპტიტუტის ეთნოგრ. განყ. არქივი—ალ. ოჩიაური, სწადასხვა თქმულებები, რვ. 34, გვ. 559, 560.



ხევსურული ხუცობა, როგორც ცნობილია, ქრისტიანული და წარმართული საგალობლების ნარევს წარმოადგენს<sup>1</sup>. ორივე რელიგიის ელემენტები უცნაურობაშიც გადასხვაუერებული, მაგრამ მასში ბევრი საყურადღებო ფორმულაც არის დაცული. სამების წარმოოქმის ღროს ხევსურეთის არც ერთ თემში სულიწმიდას არ იხსენიებენ. სულიწმიდის მაგიერ ყოველთვის ჯვარს ასახელებენ ხოლმე: „მამაო შაგვინდე, ძეო, ჯვარო წმიდაო“; „შაგვინდევ მამაო, შაგვინდევ ძეო, ჯვარო წმიდაო“; „გვიწყალენ მამაო, ძეო, ჯვარო წმიდაო“; „თაყონისცემა მამისა, ძისა, ჯვარისა წმიდისა“. ჯვრის თაყვანის-მცემელმა ხევსურმა, როგორც ვხედავთ, ჯვარის მოსახსენებელი აღილი აქაც გამონახა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხუცობაში შემორჩენილი – სამებათან დაკავშირებული გამოთქმანი, ისევე როგორც ქრისტიანული რწმენის სხვა დებულებანიც, ხევსურეთის კულტისმსახურებსაც კი კარგად არ ესმით. „სამებად“ სახელლებული ზეარსებაც მათთვის ჩვეულებრივი ჯვარია და არა სამპიროვანი შეოქმედი.

ჯვრის ბუნების გარკვევის შემდეგაც კვლავ ისმის კითხვა: რა მიზეზმა წარმოშვა გამოსახულებისა და ღვთაების საერთო სახელი?

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ცნობები მოგვაწოდეს: ამლელმა ხირჩება ნისლაურმა, ახილელმა გიორგი ჯაბუშანურმა აბიქა არაბულმა. ამ ცნობების ჟეშმარიტება სხვა მთხრობლების გადმოცემამაც დაადასტურა.

ჯვრის სურვილი ხალხს ქადაგმა თუ ქადაგად დაცემულმა მკადრები უნდა გადასცეს<sup>2</sup>. ქადაგს ურთიერთობა აქვს დამყარებული ჯვართან. საჭიროების ღროს მას პაერში მცხოვრები უხილავი ძალა—ჯვარი, „ღმრთისგნივ მოუკა“. ჯვარი „სამყადრეო“ გადაფენილ ხელზე, „ხელისახოც—ჭრელ ქანილა“ გადაფენილ ხელზე დაუბანდება. „ჩამოვიდის ისი და დაიწყებდ გელზე ფრიალს“. სამკადრეოზე დაბანებული ჯვარი თავს გვერდზე დაიჭრდა, ქადაგს პირდაპირ შეხედავდა, იღუმალი ხმით ქადაგთან საუბარს გააბამდა. განზრახულის შეტყობინების შემდეგ ჯვარი გაფრინდებოდა და ქადაგი „ჯვართ ენით“ ალაბარაკდებოდა.

ქადაგს ჯვარი-ღვთაება ჯვარის სახით მოსდის, ზოგჯერ მტრედის სახითაც მოუფრინდება ხოლმე. ჯვარად მობრძანებული ღვთაება ყოველმხრივ ჯვრის გამოსახულებისა ყოფილა. ცოცხალ ჯვარს ბოლოზე შიბი ჰქონია ჩამოკიდებული, ზემოთა ფრთის წევრზე კი აღამიანის თავი ჰქონია მობმული. ხევსურულ სალოცავებში დაცული ჯვრები—ღროშის თავად წარმოადგენილი ჯვრებიცა და უტარო ჯვრებიც—ზეცაში მობინადრე ჯვრის მსგავსი ყოფილა. ზეციერ ჯვარს თავისი მსგავსი მატერიალური ჯვარი ძლიერ ჰყვარებია.

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები; მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, I, ტფილისი, 1938; სულის ხუცობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, III, თბილისი, 1940, გვ. 81—86.

<sup>2</sup> ჯერჯერობით კარგად არ არის გარკვეული ქადაგისა და მკადრების ურთიერთობის საკითხი: ქადაგობა და მკადრეობა ერთმანეთსაგან დამოუკიდებლად არსებული რელიგიური ინსტიტუტებს წარმოადგენდა თუ ორივე ერთი პიროვნების უფლება-მოვლეობაში იყო გაერთიანებული? ამ საკითხაზე ის. თ. თხითაურის „Из истории древнегрузинских верований (калагоба в Хевсуретии)“, Тбилиси, 1950 г. (автореферат).



ალბათ ჯვარისებური ხატ-ღვთაების მოსვლაზე უნდა იყოს ლიტერატურული თქმულებაშიც, რომელიც ჭორმეშიონ გახუას შეეხება. გახუა მეგრელურის გულანის ჯვარი, თურმე, ხან მტრედის სახით მოსდიოდა, ხან კი ხატად ევლი-ნებოდა.

აკუშოელ წიქა ლიქოკელის გაღმოცემითაც, კარატის ჯვარი ლიქოკში პირველად ვე „ხატის აღით ჩამასულა“. მწერეს ქალსა და ვაჟს კარატის მთაზე საქონელი უძოვებიათ მუღმივად. სამწყემსო საქიროებისათვის მათ ერთი პატარა ქვის კოშკი აუშენებიათ. მეორე დღეს, საძოვარზე რომ მისულან, კოშკთან ხატი შეუმჩნევიათ — „კოშკზე დაყულებულ ხატ ყოფილ“. მფრინავი ხატი კოშკზე ხელშესახებ ჯვარად ყოფილიყო მიყუდებული, ბოლოზე მობმული შიბი კი ცაზე ჰქონდა ჩამოკიდებული. გაოცებულ ბავშვებს ხატისათვის ხელი უტაციათ, ხელის შეხებისთანავე შიბი გაწყვეტილა, მისი უდიდესი ნაწილი ცაში ამხტარა და მოკლეშიბიანი ჯვარი კი ცელში შერჩენიათ. წილის ყრის შედეგით, შიბი ვაჟს შეხვედრია, ქალს კი ჯვარი რგებია. ამის შემდეგ ხატსა და ქალს ერთად დაუტყიათ მოგზაურობა. მფრინავი ხატი და გაქადაგებული ქალი კახეთში, თუშეთსა და დიდოეთში გადასულან და სახატო ბეგარა დაუდირათ. ხანგრძლივი ბრძოლისა და მოგზაურობის შემდეგ კარატეზე ხატის საბრძანებელი მოუწყვიათ და დღეობაც დაუწესებიათ<sup>1</sup>.

იმდენად დიდია ჯვრის გამოსახულების ძალა, რომ იმა თუ იმ ღვთისშვილის სახელზე გაეთებული, ადამიანის ხელით ჩამოსხმული ჯვარიც კი შეიძლება ზებუნებრივი თვისებებით აღიმუროს და ხატის საბაზოს შემდეგ კარატეზე ხატის საბრძანებელი მოუწყვიათ და დღეობაც დაუწესებიათ<sup>2</sup>.

ხახაბოელ მამია მინდიკაურის გაღმოცემით, ხახაბოს „გიორგი წყაროს გორისა“ კახეთიდან გამოქცეულ ბატარიას დაუარსებია. სამშობლო კუთხითადან წამოსულ ბატარიას თან გიორგის ჯვარი წამოულია. თოვლიან მთებზე სიარულით დაღლილი ახალწლის დილით ხახაბოში მოსულა, ხახაბოს „წყაროს გორისა“-თვის რომ მოუღწევია, ხელში ნაკერი ჯვარი გაჰქრენია. ხახაბოელებს შეუმჩნევიათ უცხო, ფეხშიშველ-თავშიშველი კაცი და მზესავით განათებული ხატი. სახელდახელოდ ქვის კოშკი აუგიათ და მბრძყინავი ხატიც მაშინვე შიგ შეპრანანებულა<sup>3</sup>.

შუაფხუელ ბიჭურ ბადრიშვილისაგან გავონილი თქმულების მიხედვით, ფშავლებს ფშაველი ოქრომჭედლის მიერ ჩამოსხმული ჯვარი დაპკარგვიათ. დაკარგული „აღვის ტანი“-ს ხატი ფშაველ ქალსა და ვაჟს ქალაში აღმოუჩენიათ. ფშავლებს ლიქოკელი ხევსურები გამოსღვევებიან, ხატი დაუტემებიათ. ჯვარი კარატეზე წაუბრძანებიათ და საღავო საქმეც იქ გაურჩევიათ. საღავო საკითხი თვითონ ხატს გადაუწყვეტია, ქადაგის პირით ფშაველი დაბრუნება უბრძანებია. ჯვარი მედროშავე თორლვას წამოულია და მიწაში დაუმალავს. შემდგომი დროის ხევისბერს — ჯვრის მიერ დაჭერილ შიოლაშვილს

<sup>1</sup> ეს თქმულება ჩაიწერა და გაღმოავა ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების უმცრ. მეცნ. თან. თ. ოჩიაუ რ.მ.ა.

<sup>2</sup> ისტ. ინსტიტუტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ალ. ოჩიაუ რ.ი, რელიგია პირი-ჭით ხევსურეთში, რვ. I, გვ. 1, 2.



ჯვარი მიწიდან ამოუღია და შიბებმრავალი მბრწყინავი ხატისათვეს ქართველი პიშლილი მხუჩენია<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში, ჩენ საქმე უნდა გვექონდეს არა უტარო ჯვრის, არა-მედ ლროშაზე წარმოდგენილი ჯვრის ამბავთან, რადგან „ალვის ტანი“, რო-გორც იყალ. ნ. ბერძენიშვილმა ღლიაშვილის ეთნოგრაფიის განყოფილების საჯარო სხდომაზე, ტლის ტანია და ალვის ტანის ხატიც, მაშასადამე, დროშის ხატია.

ჯვარ-ღვთაების მოგზაურობის ამბავი უცხო არ არის თუშეთის, ხევისა და მთიულეთ-გუდამაყრის წარმართული რელიგიისათვისაც. გადმოცემების მიხედვით, ზოგიერთი ხატის დაარსება ძექარად ჯვარღვთაების ნებით გამ-გზავრებასთან თუ ძალით წაკანასთან არის დაკავშირებული. ამგვარი წარ-სულის მქონე ხატთა რიცხვში ექცევიან: მაგ., ალეან-წოვათას ხანების ხატი და ლაშარის ჯვარი — თუშეთში, ლომისის ხატი და ცეცხლის ჯვარი — მთიუ-ლეთში, პარიშხე-ფუძისანგელოზი — გუდამაყარში და სპარსანგელოზის ხა-ტი — ხევში<sup>2</sup>.

ჯვრებსა და დროშებს ხევსურეთში კერძების ადგილი აქვთ დაკავებუ-ლი, ღვთაების თაყვანისცემა დროშის თაყვანისცემაშია გამოვლინებული. დრო-შა, ანუ ბორაყი, დაახლოვებით ადამიანის სიმაღლისაა. მას აქვს ხის ტარი, ტარზე შემოხეული რამდენიმე ხელმანლილი, ანუ სამკადრეო, გერცხლის ბურთ-ვი და ჯვრის ან შუბის სახით წარმოდგენილი თავი. ჯვაროსან დროშასაც და შუბოსან დროშასაც თავისი მცველი ანგელოზი ჰყავს, დროშის მებორაჟე ანგელოზი იცავს.

დროშის სამკადრეო იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ქადაგის ხელშე გადაფენილი — ჯვარ-ღვთაების დასაბრძანებლად განკუთხნილი სამკადრეო. დროშის სამკადრეოზედაც უხილავი ღვთაების ძალით ღლჭურვილი ჯვარის გა-მოსახულებაა დაბრძანებული. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მედროშებს ბუდე ხევსურეთში მყადრეც ეწოდება. ხევსური დროშას ხელის შეხებას ვერ შექარებს, მედროშეს როლს ვერ შეასრულებს, თუ ის წინასწარ საკლავით არ გაინათლა, თუ მან ხაველო არ გადაისადა.

ხევსურული დროშა ორნაირია: ჯვერიანი და შუბიანი. ჯვაროსან დრო-შას, შუბოსანი დროშისავან განსხვავებით, ბურთის ძირში ზარიც ჰქილია. ხევსურების ხატების ურავლესობას სამ-სამი დროშა აქვს, ზოგიერთ ხატს სამშე მეტი დროშაც მოეპოვება (მაგ., როშეის დიდგორის ჯვარში ხუთი დროშაა), ზოგიერთ პატარა ხატს კი ერთიც არ მოეპოვება (მაგ., ახიელის მთის ვეშაგს). ჯვრიან-ზარიანი დროშა მგზავრი დროშაა, შუბიანი დროშების ფუნქციები და სახელშილებები კი ყოველთვის დაზუსტებული არ არის<sup>3</sup>. ღმისთვეებზე მგზავრი დროშა დადის, საყმოს ძოსალოცავათა და ბეგრის ასაღებადაც მგზავ-

<sup>1</sup> ეს თქმულება ჩაიწერა და გადონვეცა ისტ. ინსტიტუტის ეთნოგ. განყოფილების უმცრ. მეცნ. თან. თ. ანიაურმა.

<sup>2</sup> შდრ. ვ. ბარდაველიძე, სვანური საგალობელი «ბარბალ-დოლაში», „ენიმკის“-ს მოამბე V—VI ტ., 1940 წ., გვ. 555 და შემდეგ.

<sup>3</sup> არღოტის ჯვრის შუბიან დროშებს, როგორც ჩანს, გარკვეული სახელები აქვთ შერ-ქმეული (სამშეცალობან-სამრისხველ დროშა, სალაშერო დროშა), არსოტის ჯვრის შუბიან დროშები კი უსახელონი არიან.



რი დროშა დაბრძანდება. ხატს შეიძლება შუბიანი დროშები არა იმართებოდება მაგრამ ჯვრიანი დროშა, დღეობების პერიოდში მაინც, უკეთელად უნდა „ჰყავდეს“. თუ რომელიმე ხატს დროშა საერთოდ არ გააჩნია, მას მოძრე ხატი მგზავრი დროშის წარგზავნით ეხმარება. ყველაზე მდიდრულად მგზავრ დროშას ამკობენ და ყველაზე მეტი პატივისცემითაც მას ეცყრობიან. გამობრძანებულ დროშათა შორის მგზავრ დროშას ცენტრალური აღგაილი აქვს დაკავებული, შუბიანი დროშები მას ყაჩაულებივით უდგანან აქეთ-იქით. ხევსურეთის სალოცავებში დაცულ შუბიან დროშათა შორის, გუდანის ჯვრის სალაშერო დროშა ერთადერთი შუბიანი დროშაა, რომელიც მგზავრი დროშის თანაბარი პატივისცემით სარგებლობს და პოლიტიკური სახელგანთქმულობით კი ყველაზე მაღლა დგას. გუდანის სალაშერო დროშის გარშემო იკრიბებოდა ხევსურეთის ლაშქარი, გუდანის დროშის წინაშე სლებდნენ ერთგულების ფიცს პირაქეთ-პირიქით ხევსურნი, მტრის უკუსავდებად წარმართულ ჯარს გუდანის ჯვრის სალაშერო დროშა მიუძღვოდა წინ.

დროშების მოკაზმულობა სახატო ტაგრუცებში აქვთ შენახული. მათი „ამობრძანების“ დროს მედროშე ჯერ ჯვართ უნდა შეეხვეწოს და მერე დროშის აბმა დაიწყოს, დროშის მორთვის დამთავრების შემდეგაც მან კვლავ ჯვართაღმი მიმართული სავედრებელი უნდა წარმოსთქვას. გამზადებულ დროშას მეტროშე ჯერ დარბაზში შემოატარებს, შემდეგ კი გარეთ „გამოიყვანს“ და დიდი მოკრძალებით საღროშა კოშკზე მიაყუდებს. დაბრძანებული დროშის წინაშე პირჯვარს გამოისახავს და უკუსვლის ხერხით, ზურგშეუქცევლად, უკან გამობრუნდება. ხევსურეთის ზოგიერთ თემში დაცული რელიგიური წესების მიხედვით (მავ., ორდოტში), მეტროშეს ევალება, რომ საღროშა ადგილთან მუხლზე სიარულით მიყიდეს, დროშის მიყენების შემდეგ მის ტარს ეამბოროს, მიწას ემთხვიოს და უკუსვლაც მუხლზე დაჩიქილმა მოახდინოს. მოკრძალებულობას დროშის წინაშე ყველა ხევსური იჩენს: ხატში მისვლისა თუ გამომშვიდობების დროს ის დროშას ზურგს არ შეუქცევს. გამობრძანებულ დროშებს არასოდეს უყარაულოდ არ დასტურებენ: თუ ზაფხულია, — ჯვარივნები დროშების ახლოს იძინებენ, ზამთარში კი მათთან ერთ კაცს მაინც „გასწირავენ“ ხოლმე. ჯვარში მყოფი ხევსური შუღლს ერიდება, მას დროშისა ეშინია და ეკრძალება. ხატის კარზე თუ შუღლი მაინც მოხდა, დამნაშავეს დროშის სახელით დააჯარიმებენ: ვიდრე დასჯილი ჯარიმას არ გადაიხდის, დროშა დარბაზში არ შეპრძანდება, ურჩი ყმის სამრისსველოდ ის გარედ დარჩება, დროშის „კარში გაწირვა“ ჯვრის განრისხებას და დამნაშავეს დაზარალებას იწვევს. იმდენად დიდია მა მოძრავი კერპის ძალა, რომ არ-ხოტელი ქალები, საახალწლოდ გამობრძანებული დროშების პატივისაც ცემად, რამდენიმე დღის განმავლობაში ხელსაქმესაც კი არ აკეთებენ<sup>1</sup>.

„სულთ მასხბა“ დროშის შემწეობით სწარმოებს, „ჯვარში დაკოჭვა“, „ჯვარში მიბარება“ და ყოველგვარი სამსხვერპლოს შეწირვა დროშის ორ-

<sup>1</sup> ისტ. ინტერიუსტის ეთნოგრ. განყოფილების არქივი—ა. ოჩიაური, ხევსურეთის წარსული ამბები, რვ. 14, გვ. 160.



გვლივ ხდება; „ჯვარის სტუმრებაც“, ხომ, ფაქტიურად დროშის სტუმრებია გვლივ ხდება; დამღრჩებალი და თავმოკლული ადამიანის სულს, ხევსურის რწმენით, ბოროტი ძალა ეპატრონება. „სულის წამოყვანის“ მიზნით, უბედური შემთხვევის ადგილს კარატის ჯვრის დროშას მიიყვანენ და მისი დახმარებით მავნეს მიერ შეპყრობილ სულს გაანთავისუფლებენ.

დროშა სულით დააგადებულის განკურნებაშიც იღებს მონაწილეობას: ავადმყოფს დროშის ქვეშ აჩინებენ და დროშის ტარის შეხების გზით, რომელსაც თან ახლავს ხუცობისა თუ საკლავის დაკვლის ცერემონიალი, მას „ჯვარს აკოჭვიებენ“.

ვაჟი, ვიდრე მას ერთი შელი შეუსრულდება, ჯვარს უნდა „მიაბარონ“: ჯვარში მიბარება დროშის ქვეშ ბავშვის სამჯერ შეგორებაში გამოიხატება; ხუცობა და მსხვერპლის შეწირვა ამ შემთხვევაშიც ხდება.

გაჭირვებული ხევსური ჯვარს სახლში მოშვევასაც შეპირდება ხოლმე, ამ მეტად გავრცელებულ რიტუალს „ჯვარის სტუმრება“ ეწოდება. ჯვრის სტუმრობასთან დაკავშირებულ ღამის თევაზე, როგორც უკვე აღნიაშნეთ, მგზავრი დროშა დაბრძანდება. რამდენი ჯვრის მოპატიუებასაც გადასწყვეტს ხევსური, დროშაც იმდენი ესტუმრება, ჯვრის წარმომადგენლობა დროშას ეკისრება. დროშის წამობრძანების დროს, ღამის მთევლის მიერ წარგზავნილი მაწვევარი წინ მოდის და დროშიანი პროცესია კი უკან მოჰყვება. დროშის აუქსტარებლად მოაბრძანებენ და თან ზარს აწკარუნებენ, დროშა წმიდა გზებით მოჰყვეთ. მოპატიუებულ დროშებს სახლის ბანზე შემოატარებენ და სათანადო ცერემონიალის შესრულების შემდეგ აქვთ დაბაძნებენ. ღამისთვის პროცესის დამთავრებამდე დროშანი ბანზე იმყოფებიან, სტუმრობის დასასრულს კი კვლავ ხატში ბრუნდებიან.

ხევსურეთის ზოგიერთ თემა და სოფელში, დროშის თავზე განსახიერებულ ჯვართან ერთად, უდროშო ჯვრებსაც ეთაყვანებიან, ეს უკანასკნელნიც საწესო რიტუალის შესრულების დროს თითქმის დროშის უფლებებით სარგებლობენ<sup>1</sup>.

ჯვრის თაყვანისცემისთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს ხევსურული საბავშვო დღეობებიც. აზიელელი ბავშვები, მაგ., მარიეტშილობას დღესასწაულობენ. დასტურ-კელოსნებს თავის წრეშივე ირჩევენ და დღეობასთან დაკავშირებულ ყველა საჯვარო საქმესაც თვითონ უძღვებიან. ღამისთვის ბავშვებს სოფლიდან ზღვენს უგზავნიან, ზღვენის მომტანს მასპინძლება ამწყალობნებენ, საქონლის გამრავლებასა და ნაწველის ბარაქის შესთხოვენ ჯვარს. სათაყვანებელი კერპის ფუნქციას აქ ჯვარი ასრულებს. ჯვარი ხისაა, შემკობილია შეწირული სათმეებითა და მძივებით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ალ. ოჩიაურის ცნობით, სოფ. ზარაბოს ზატში, დროშებთან ერთად, ორი ჯვარიც ყოფილა. ეს ჯვრები, ღვთავება—ჯვრის დაგალებით, ერთ-ერთ მეხატეს ჭერით ჩაბარებული. დღესასწაულების დროს მეხატე, თურმე, ორივე ჯვარს ხელში დაიკავებს და გარეთ გამოაბრძანებს.

<sup>2</sup> ისტორიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების არქივი—ა. ოჩიაური, ხევსურეთის წარსული ამბები, რვ. 2, გვ. 502.

ხევსური ხუცესი ყელზე ჩამოკიდებულ ვერცხლის ჯვარს ატარებს. ჯვრის დროებით ნიშნებს, სამსხვერპლო ცხოველის დაქვლის დროს, ის ჯვრის ყმებსაც უკეთებს: მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, ხუცესი სისხლში თითს დაისველებს და სამსხვერპლოს მომყვანს („საქელოსთან“ იქნება ეს დაქავშირებული, „ჯვარში მიბარებასთან“ თუ სხვა ხასიათის ზღვნობასთან — სულერთია) შუბლსა და გულზე სისხლიან ჯვარს გამოსახავს. ჯვაროსნები ყოველნაირად ცდილობენ, რომ ჯვრის გამოსახულება დიღხანს შერჩეთ. ჯვრის სისხლიანი ნიშნების წინაშეც კი მოკრძალებას გრძნობენ. ზოგ სოფელში, სისხლით გამოხატული ჯვრების წყალობით, მეზოვნენი ჯვარივნებს თანამესუფრებას უწევენ. სისხლით ნახატი ჯვრების ძალა იმდენად დიდია, რომ მიბარებული ბავშვის შუბლსა და გულზე აღბეჭდილი ჯვრები დედამ რამდენიმე დღის შემდეგ თბილი წყლით უნდა ჩამობანოს. ნაბაბ წყალს მოფარებულ ადგილს დაღვრის, რათა მას ადამიანის ფეხი არ მოხვდეს და ამით სისხლის ხატების სიწმინდე არ შეილიახოს.

ხევსურეთში, როგორც ვხედავთ, ჯვრის გამოსახულება სრულიად განსაკუთრებული პატივისცემით არის გარემოცული. კერძად მიჩნეულ დროშის ხატში და საერთოდ საგნად გამოკვეთილ ყოველგვარ ხატში ჯვარღვთაების ძალაა ჩაქროვილი.

რეალური ჯვარი ციური ჯვრის გამოხატულებაა, ის მართლაც რომ ღვთისშეილის ხატია — მისი მატერიალური განსახიერებაა. იქნებ დროშის პირვანდელ სახელწოდებას სწორედ ხათი წარმოადგენდა? მთიულეთში ხომ დროშას, ამ ერთობ გავრცელებულ სახელთან ერთად, ხატიც ეწოდება. ეგებ ამგვარ კერძ-დროშათა შესახებ იყოს ლაპარაკი ქართლის მოქცევაში: „მყის უკუ წარვიდა წმიდა ნინო ხილვად არმაზისსა, და აღივსნეს ჟევნი იგი დრო-შებითა და ერთოთა, ვითარცა ველნი, ყუავილთა“-ო — ნათქვამია დასახელებულ ძეგლში.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფშავლების, თუშების, მოხევე-ებისა და მთიულ-გულამყრელების სარწმუნოებრივ ყოფაშიც მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე: ჯვრის კულტის გარდმონაშთები მათ რელიგიურ ყოფაშიც ბოლო დრომდე სიცოცხლეს განაგრძობდა.

ქართველი მთიელების, კერძოდ კი ხევსურების, რელიგიური რწმენის ძირითადი არის ჯვრად წარმოსახული ღვთისშეილების თაყვანისცემაში მდგომარეობს. თამარის ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ „ფხოელნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობას იჩემებენ“<sup>1</sup>—ო სრულყოფილ დადასტურებას პპოულობს რევოლუციამდელი ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ზემომოყვანილი მასალისა და ჩვენ გათვალისწინებული

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ნაწილი პირველი, ბროსეს გამ., გვ. 333 (თამარის ისტორიკოსის ეს ცნობა თავისებურად არის გაგებული აკად. ს. ჯანაშიას ნაშრომში — „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“).

სხვა ცნობების მიხედვით სავარაუდოდ შეიძლება ითქვას, რომ ჯვართთაყვანისმცემლობა ერთ დროს კავკასიელი ხალხების საერთო რელიგიას წარმოადგენდა<sup>1</sup>. მომზადი კვლევა-ძიების დროს ეს საკითხი უფრო ღრმად გაირკვევა და კავკასიაში აღმოჩენილი არაქრისტიანული ქვაჯვრებიც, სხვა მონაცემებთან ერთად, აღბათ ჯვართთაყვანისმცემლობას დაუკავშირდება.

---

<sup>1</sup> ჩევენი შელნაწერი ნაშრომის ერთი ნაწილი ჩრ. გაგკასური მასალების განხილვას აქვს დათმობილი (ამასთან დაკავშირებით იხ. ს. ჭანაშია, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გსახე“, გვ. 15).

## შ 0 6 1 5 6 0

1. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობა გურიაში.....	5
2. ს. ბედუკაძე, ქვის დამუშავება მთიულეთში.....	33
3. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორი- იდან. IV. დან დეცემბერ .....	51
4. ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული „ჯვარი“.....	67

Հանձնվեցած սայարտակալու և սևը մշտնուրեցատա պահպանին  
սահեց.-սագամոմբ. սածեռս դադցենուղեծիտ

\*

Հյանականութեան: Երանք. Ց. հ օ ւ ա ո ա

\*

Ընդհանականութեան ճ. չ ա ց ա ն օ մ ց  
գործադրութեան ը. օ ա ն յ ո Շ ց օ լ ո  
կոնքրետական-կառուցել. ռ. ց օ ռ ը ց ա մ ց  
ցամոմիցեծո ց. ս օ ե ա ր ս լ ո մ ց

ցալայցա չափմութա 19.5.51. եղլմութ. դասածնեցադ 31.1.52. յալալդ.  
նոմա 70×108 1/16. յալալդ. ցուրց. 2,8. սածեց. ցուրց. 7,53.  
սացե. ցուրց. 5. սագամոմբ. ցուրց. 5,9.  
Ցագ. № 1156. ց 01314. ընթայո 1000.  
ցասո 6 ման.

Սայարտակալու և սևը մշտնուրեցատա պահպանին ցամոմցեմլութեան կողմէա  
տակալութեան, ա. Պյուրետութեան ց. 3/5.

